

მ ი ჯ ნ ა

№4 (15) აგვისტო, 2019 წელი



„წაშ ეენცის 25“ - თავისუფლებისა და
ღირსებისთვის ბრძოლის სიმბოლო

მიჯნა

საზოგადოებრივი ჟურნალი, № 4 (15), აპრილი, 2019

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:
თავისუფალ შემოქმედთა გაერთიანება და შპს „გამომცემლობა
„მიჯნა“, რეგისტრაციის
№ B12127840

რედაქტორ-
გამომცემელი
მურმან ზაქარაია

რედაქტორი
ჯემალ შონია

მისამართი:
ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ.
№25, ბ. 1, ტელ./ფაქსი
2-38-03-11

ISSN
მიჯნა 2449-237X



ს ა რ ჩ ე ვ ი

ტაშკენტის 25

მურმან ზაქარაია

„ტაშკენტის 25“ – თავისუფლებისა და ღირსებისათვის ბრძოლის სიმბოლო 3

ლუარა გამყრელიძე – 80 20

ზაურ მოლაშხია

ქვეყნისთვის იწვი, როგორც სანთელი..... 22

ჯემალ შონია

თავისუფლების თავშესაფრის დედაბოძი..... 23

ნემო გურჭულაძე

მადლობა, მადლობა, მადლობა!..... 28

ირინე ტალიაშვილი

მრავალჟამიერ! 28

ლაშა გვასალია

ჩვენ, ტაშკენტელები... 29

რობერტ პატრიაშვილი

ერთი „უმნეო“, უმნიკვლო მოციმციმე სხივი 34

ურა ოქროპირიძე

ბათუმური ძალისხმევა 36

ჯემალ შონია

ეროვნული თანხმობის იდეა და ტაშკენტის ოცდახუთი..... 38

ლეილა ცომაია

უანგარობისა და სათნოების მაცნე..... 40

გიორგი სიჭინავა

ჩაუქრობელი სინათლე..... 41

თენგიზ კუბლაშვილი

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შტაბბინა და მისი დიასახლისი 43

თენგიზ სურამელი

„ჭყონდიდელის“ მისია 44

კახა ქეცავია

ეროვნული სულიერების კერა..... 45

ნალენჯიხელი

მსხვერპლი, რომელიც გაიღო ამ ეპოქის საქართველომ 47

სოხელი

ხობელების სახელით!..... 47

მანგული ხუზა

ტაშკენტის 25 48

ედეგ კვიციანი

ქალბატონ ლუარა გამყრელიძეს 50

სოსო ლავილაძე

ვალში ვართ თქვენ წინაშე..... 50

გულიკო ურუშაძე

მუდამ სიკეთისა და სიმართლის გვერდით 51

ზაურ და ზაზა ჩქვანაშვილი

ეპოქის ძალა 52

თეა, ლაშა გვასალია

გილოცავთ!..... 52

ტაშკენტის 25-ის მოღვაწენი..... 53

პოეზია

ჯემალ შონია

ლექსები 57

პროზა

რაისა მუზიჩენკო

მოთხრობები (თარგმნა გ. სიჭინავამ) 63

ხსოვნა

გოგი ხაფთანის გახსენება..... 66

მურმან ზაქარაია

„ტაშკენტის 25“ – თავისუფლებისა და ღირსებისათვის ბრძოლის სიმბოლო

ჩვეულებრივ, ჩვენი ჟურნალის ყოველი ახალი ნომერი იხსნება რუბრიკით „კლასიკა“. ეს ტრადიცია მემკვიდრეობით მივიღეთ ჟურნალ „მიჯნას“ აღდგენამდე, ჩვენივე გამომცემლობაში, ლაშა გვასალიას რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ „მწერლობა-XXI“-დან. დღევანდელ სპეცნომერში ვარღვევთ ამ ტრადიციას და ნომერს ვინწყებთ სარედაქციო წერილით, რათა მკითხველს, კანონიერებისა და სამართლიანობისთვის ბრძოლაში უდიდესი ტანჯვა-წამება გამოვლილ საზოგადოებას, ზოგად შტრიხებში წარმოვუდგინოთ დათრგუნული ღირსების აღდგენისთვის ბრძოლის საზრისი – გააზრებული „ტაშკენტის 25-ის“ იდეაში, რომლის ფორმირების სათავეებთან გვეგულების ჩვენი იუბილარი – ლუარა (დოდო) გამყრელიძე.

ამდენად, ამჯერად „კლასიკას“ შევანუხებთ ოდენ გადატანითი მნიშვნელობით, ადამიანური ვნებებისა და განსაცდელთა უზომო ტანჯვა-წამების ატანის უნარის შეფასების თვალსაზრისიდან.

„აღდგომის“ ოდისეა

ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაზოგადოებრივი პუტჩისტური ალიანსის მიერ მონყობილი სახელმწიფო გადატრიალების გზით დამხობილი და ქვეყნიდან განდევნილი პრეზიდენტისა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის გაშლილი სახალხო ბრძოლის პირველივე ეტაპზე, ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანში – აფხაზეთში დაბადებული ამ გაზეთის მძიმე განსაცდელებით აღსავსე გზის შედარება ოდისევსის საზღვაო ხეტიალთან – ტროადან ითაკაში დასაბრუნებლად, ალბათ მრავალრიცხოვან განსაცდელთა თვალსაზრისით თუა შესაძლებელი, რომელიც თავს გადახდათ ამ გაზეთის მესვეურთ, მათ გვერდით მდგომ, კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის მებრძოლთ, პროსაბჭოური (პრორუსული), მოღალატე კოლაბორაციონელებთან უთანასწორო, მაგრამ ღირსებით აღსავსე ბრძოლაში. ამიტომ „აღდგომის“ დევნისა და მისი „ხეტიალის“ რეალური ისტორია ალაღად შეიძლება მივუსადაგოთ განსაცდელთა დაძლევის სიმბოლოდ მიღებულ ამ პოეტურ შედეგს.

თუ ოდისევსს წინ ეღობებოდა მისი ცოლობის მოსურნე ნიმიფა კალიფსო და ღმერთთაგან ერთადერთი პოსეიდონი, მაშინ როცა ყოვლის შემძლე ზევსი და ოლიმპოს ღმერთთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი მფარველობდა, ის მაინც ვერ ასცდა განსაცდელებს.¹

„აღდგომის“ მტერთა და მდევნელთა რიცხვი შეუდარებლად დიდი და მრავალფეროვანი იყო. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ოდისევსის მოწინააღმდეგენი, მოირას მორჩილნი, განსაზღვრულ წესსა და რიგს ვერ გადაუხვევდნენ, მაშინ როცა „აღდგომის“ მტრებისთვის არც ღმერთი და არც ხატი არ არსებობდა, მით უმეტეს, ზნეობრიობა, არაფერი რომ არ ვთქვათ კანონსა და ღირსებაზე (მართლმსაჯულებაზე), რომელიც დაყრუებული და დაბრმავებული დასავლური დემოკრატიის თვალწინ ფეხქვეშ გათელეს.²

ამდენად, „აღდგომის“ გზა, მოღალატეთა მიერ ომის ქარცეცხლში გახვეული აფხაზეთიდან (იაშთხვიდან) ტაშკენტის 25-მდე, არის რეალური და დაუნდობელი ბრძოლის სამწლიანი გზა. ამ გზაზე ცალთვალა ციკლოპების ნაცვლად ჩასაფრებული იყვნენ სუკური გამოცდილებით

¹ ნიმიფა კალიფსომ დიდი ხნით გამოკეტა გამოქვაბულში, ხოლო იქიდან თავდაღწეულს, კოლხმა კირკემ, აიეტის დამ, მისი ნაქები მხედრობა სულადაც ღორებად უქცია, არაფერი რომ არ ვთქვათ პოსეიდონისგან მიყენებულ დარტყმებზე.

² დემოკრატიის ეს მამები, დიდად ჩვენი ძალისხმევითაც სასიკვდილოდ დაჭრილი საბჭოთა იმპერიის ამ უგრძობელ ცხედარს მისეოდნენ და მისი გაფცქვნით იყვნენ დაკავებული და ხმა-კრინტის ამოღების უფლებას არ აძლევდნენ სსრკ-ის წინააღმდეგ, ვინიცობაა, არ გაელვიდა ამ მომაკვდავ მასას და არ მოესპო მათთვის მაროდორობის შესაძლებლობა.

„დამძიმებული“ შევარდნაძის ემისრები: კომუნისტურ-ნომენკლატურული კოლაბორაციონალისტები; რუსული იარაღით აღჭურვილი და ინსპექტირებული, სსრკ გენშტაბის მარიონეტი კიტოვანის „ხალხი“; ჯაბასეული „მხედრიონი“, მისი მიმყოფი ქურდულ-კრიმინალური სამყარო; მაგრამ ყველაზე უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენდა დაუნდობელი, ბუნებით ორპირი, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე მოფიქრალი „ნითელი ინტელიგენცია“, რუსულ-კომუნისტური იდეოლოგიით ტვინნალრძობი და გონმოშხამული მასა. განსაკუთრებით მძიმე იყო და არის ამ უკანასკნელთა უზნეობასთან და „ანგლობასთან“ ბრძოლა, მაგრამ გაზეთმა ეს ბრძოლაც ღირსეულად გადაიტანა და როცა დადგა ჟამი, ის ფენიქსივით აღდგა ტაშკენტის 25-ში ჩვენი იუბილარის თანადგომით.

ამ სამწლიანი განსაცდელის გამოვლით მიადგა „აღდგომა“ ტაშკენტის 25-ს, სადაც მას პირველი ნომრის გამოსვლის დღიდან ყოველი კვირის ბოლოს მოელოდნენ. ის მათთვის თავისუფლებისთვის უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვების იმედს ასხივებდა კანონიერების აღდგენისთვის მებრძოლი აფხაზეთიდან და სოხუმიდან .

ამჟამად, 1995 წლის თებერვალში „აღდგომა“ ტაშკენტის 25-ს ეწვია არა მუშტაიდის პარკში ნაშოვნი ერთი ეგზემპლარით, არამედ თითქმის ორწლიანი ბრძოლის შემდეგ განახლებული გაზეთის მთელი ტირაჟით დატვირთული ფურგონით და „მთელი რედაქციით“, რომელიც „შედგებოდა“ ერთადერთი პასუხისმგებელი პირისგან – წინამდებარე წერილის ავტორისგან.

ძვირფასო მკითხველო, ეს მთელი ისტორიანად რომელსაც ეძღვნება ეს წერილი და მთლიანად ნომერიც, ვინაიდან ამ დღიდან იწყება ტაშკენტის 25-ის, როგორც პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას გარეშე კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის თავგანწირული, პერმანენტული ბრძოლის ერთ-ერთი სრულყოფილი კერის ორგანიზაციულად ფორმირება.

ეს იყო ჯოჯოხეთური ბრძოლა ეშმაკის მოციქულთა წინააღმდეგ – ვინც სულიერად გაუძლო ამ ბრძოლას და საბოლოოდ არ ჩაიკარგა პუტჩისტური ალიანსის შედეგად ფორმირებული ფსევდოსოციალისტური ლაბირინთებში, მისთვის ეს კერა არასდროს ჩაქრება. თუ პრაქტიკული

საქმიანობა (პოლიტიკური) ბევრ მიზეზთა შედეგად შენედა, უნდა გჯეროდეთ, რომ აქ მიმდინარე მრავალწლიანი ბრძოლის მაგალითზე სულიერ საზრდოს მუდამ იპოვიან თანამედროვე თუ მომავალი თაობები; რომელთათვის:

– ძვირფასია იმპერიის მსახურალი ხელიდან გამოგლეჯილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა და თავისუფლების იდეა;

– ძვირფასია ზვიად გამსახურდიას გენიალური იდეები, სამშობლოს ერთგულებაზე – პატრიოტობაზე, თავისუფლებაზე, „...სადაც თავისუფლება იქნება შეხედულების, რწმენის, აღმსარებლობის, რელიგიის; იდეალი-სრული თავისუფლება, სრული შემწყნარებლობა“ (ზ.გ.) ... მიზანი, ისეთი სახელმწიფოსა და საზოგადოების ფორმირება, სადაც „პირველნი (უნდა) ვიყოთ დემოკრატიაში, ადამიანის უფლების პატივისცემასა და ლოცვაში“ (ზ.გ.). ამ დიდი მიზნის განხორციელებისთვის აუცილებელი პირობაა ორიენტირად გვყავდეს დასავლეთი. „ჩვენი ერთადერთი იმედი დასავლეთია – მხოლოდ დემოკრატია დასავლეთის ჩვენი დაცვა“ (ზ.გ.).

– გაიგებენ იმას, რომ იმ მოღალატური გადატრიალებით აგვაცდინეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის ამ გეზს. სოციალისტური საზოგადოებისთვის სრულიად უცხო ახალი პოლიტიკური კულტურის ათვისების ნაცვლად აღმოვჩნდით პოსტსაბჭოური რუსული ანტიკულტურის ზონაში და ვიხრჩობით ფსევდოდემოკრატის ქაობში, ამიტომ აუცილებელია ზვიად გამსახურდიას ამ პროგრამულ მითითებათა ამოქმედება.

ამ სულიერ საზრდოს ჰპირდება ტაშკენტის 25-ის იდეა იმათ, ვისთვისაც ძვირფასია ეს გარდაუვალი ღირებულებები, ვისთვისაც სიცოცხლის საზრისია თავისუფლება, მრავალგზის დათრგუნვილი პიროვნული და ეროვნული (სახელმწიფოებრივი) ღირსების აღდგენა. ახლა კი ისევ მივუბრუნდებით „აღდგომის“ ოდისეის საკითხს და რამდენიმე შტრიხით, რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით შევთავაზებთ მკითხველს იმ ისტორიულ წინაპირობას, რომლის ნიადაგზეც იშვა ეს ღირსების იდეა.

1992 წლის შობის დღესასწაულზე სოხუმში, „ჩერნომორეცის“ მოედანზე დიდი მიტინგით დაწყებული სახალხო მოძრაობა დევნილი

პრეზიდენტის და კანონიერი ხელისუფლების მხარდასაჭერად სულ უფრო იკრებდა ძალას და მოითხოვდა ორგანიზებას. კოორდინირება უნდა მომხდარიყო დასავლეთ საქართველოში თანდათანობით გაშლილი წინააღმდეგობის მოძრაობებთან, განსაკუთრებით სამეგრელოში ფორმირებადი ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტთან.

აფხაზეთში ხუნტის საწინააღმდეგო სახალხო გამოსვლების ორგანიზაციულად მონაწილეობა მით უფრო საშური იყო, რომ აქ მოეყარა თავი უზენაესი საბჭოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების საკმაოდ დიდ კონტიგენტს, რომლებიც აფხაზეთის ხელისუფლების ორმაგი თამაშის პრობლემაში ნახევრად არალეგალურ პირობებში ცხოვრობდნენ და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ უწყვეტად მიმდინარე მიტინგებსა თუ სხვა იატაკქვეშა საქმიანობებში ჩართვას, რომელთაც, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადად ადგილობრივი პატრიოტები წარმართავდნენ.

საკმაოდ დეტალური შემზადების შემდეგ, რომლის აქტიური მონაწილე იყო ანზორ გვარამია, სოხუმის ცენტრიდან (ქალაქის საბჭო) სამი კილომეტრში, მიმინოშვილის ქუჩის ბოლოს, სამი გზის გასაყარზე მდებარე სახლში, რომლისგანაც დღეს ქვა ქვაზე არაა დატოვებული, გაიმართა ფართომასშტაბიანი საორგანიზაციო სხდომა, რომელშიც აფხაზეთში მოქმედ აქტივისტებთან და კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონის და იქ თავშეფარებული დევნილი ხელისუფლების წარმომადგენლებიც.

სხდომის მონაწილეს წინა პერიოდში მწვავედ დადგა საკითხი გაზეთის გამოცემისა, ვინაიდან მაშინდელ პრობლემაში ხალხის ხმის წარმოჩენა მხოლოდ დამოუკიდებელი არაკონტროლირებადი გაზეთის მეშვეობით თუ იყო შესაძლებელი. მართალია, „აფხაზეთის ხმის“ რედაქცია, პირველ ხანებში მაინც, თამამად ბეჭდავდა უკანონო ხელისუფლების საწინააღმდეგო წერილებს, მაგრამ ყველამ ვუნწყოდით, რომ არც თბილისური უკანონო და არც ადგილობრივი, ჯერაც მოთამაშე, ხელისუფლება არ დაუშვებდა სახელმწიფო გაზეთის თავნებობას. იყო მოსაზრება, რომ უნდა გამოგვეცა ერთჯერადი გაზეთი თუ გაზეთები, რაც კანონით ნებადართული იყო, ვინაიდან ქართული გაზეთის

გამოცემას არც ადგილობრივი ხელისუფლება, მისი აფსუური ფრთა, რომელთა ხელში იყო გამოცემათა რეგისტრირების ყველა ბერკეტი და, მით უმეტეს, ხუნტისტური სახელმწიფო საბჭო არ დაუშვებდა. მაგრამ მაინც ბრძოლის გზით სიარული ვამჯობინეთ და სხდომის წინა დღეებში თითქმის ფორმირებული იყო საინიციატივო ჯგუფი. ამიტომ პირველივე სხდომის ბოლოს გაჟღერებულ იქნა ეს საკითხი. მიუხედავად მეტ-ნაკლები სკეპტიციზმისა, შემდგომი სხდომისთვის საკითხის მომზადება დაგვევალა საინიციატივო ჯგუფს.

მეორე სხდომაზე დეტალურად განხილულ იქნა ეს საკითხი და ორგანიზაციული საკითხების მოგვარება დაევალა იმავე ჯგუფს: ანზორ გვარამიას, მურმან ზაქარაიას, სერგო (სერგი) საჯაიას, გიორგი (გვანჯი) სიჭინავას.

საკმაოდ ემოციურად წარმართა გაზეთის სახელდების საკითხის განხილვა. მიუხედავად ხანგრძლივი კამათისა, იმ საღამოს ეს საკითხი ვერ გადაწყდა. მეორე დღეს საგაფიცვო შტაბთან გ. სიჭინავამ შემომთავაზა წინა ღამით განხილულ სახელდებებთან სრულიად განსხვავებული სახელწოდება მომავალი გაზეთისა – „**აღდგომა**“. მან იქვე ორი სიტყვით ამიხსნა, რომ ამ სახელდების უმთავრესი არსი, მიუხედავად მისი რელიგიური ჟღერადობისა, იყო პუტჩისტური გადატრიალების შედეგად დევნილი ხელისუფლების, უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ხალხის მიერ მონიჭებულ სრულ უფლებებში აღდგენა. ეს ხაზგასმა პრეზიდენტზე იმ პერიოდში აუცილებელი იყო, ვინაიდან მოლაღატე-კოლაბორაციონალისტთა ხროვას დიდი ხანი იყო გადმოეგდო ლოზუნგი „ყველა პრეზიდენტ გამსახურდიას გარდა“. რა თქმა უნდა, ალბათ რალაც მეტაფიზიკური ძალის მომძლავრებით, მე ეს სახელწოდება გაჟღერებისთანავე, ახსნის გარეშედაც ავიტაცე („აღდგომის“ ფილოსოფიაზე ჩვენ თავის ადგილას კიდევ შევჩერდებით).

იმავე ღამეს სხდომაზე წარმოვადგინეთ სახელდების ეს ვარიანტი, რომელიც საბოლოოდ მიღებულ იქნა. იქვე მიღებულ იქნა მომავალი რედკოლეგიის წარმომადგენელთა მიერ შემოთავაზებული წინადადება, რომ ის უნდა ყოფილიყო „თავისუფალ ჟურნალისტთა გაზეთი“. გაზეთის რედაქტორად იქვე არჩეულ იქნა გ.სიჭინავა. ამდენად, შეიძლება ითქვას, შუქი ანთო გაზეთის გამოცემას.

* * *

აფხაზეთის ხელისუფლების ორპირობის მიუხედავად, იმ ეტაპზე ის იყო დამოუკიდებელი საქართველოს გარდამავალი (შესწორებული) კონსტიტუციისა და საერთაშორისო ნორმების საფუძველზე სახალხო არჩევნებით არჩეული ხელისუფლება. ამიტომ, ავტონომიური რესპუბლიკის (ასევე შესწორებული და საქართველოს გარდამავალი კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანილი) კანონების დაცვა ჩვენი აუცილებელი მოვალეობა იყო (ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, თუ როგორ თელავდა ფეხქვეშ ამ აუცილებელ ნორმას შევარდნაძის ხელისუფლება). ამიტომ გაზეთის რედკოლეგიის ფორმირების კვალდაკვალ მიმდინარეობდა მუშაობა მისი რეგისტრაციისთვის.

არავის არ ჰქონდა იმის ილუზია, რომ აფხაზეთის ხელისუფლება უპრობლემოდ დასთანხმებოდა, თუნდაც თბილისისადმი ოპოზიციური, ქართული გაზეთის გამოცემას, მაშინ როცა „აფხაზეთის ხმა“ ყურს ძლიერ სჭრიდათ. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მის გამოცემას აფხაზეთის ხელისუფლებაში თუ სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო და ე.წ. შემოქმედებით კავშირებში მოკალათებული შევარდნაძის ქართველი ემისრები ენინააღმდეგებოდნენ, ალბათ უფრო აქტიურადაც, ვიდრე ეროვნულად აფხაზი ნაწილი.

ჩვენი დელეგაცია ა. გვარამიას, მ. ზაქარაიას, რ. კუპრაავას, ს. საჯაიას, გ. საჭინავას შემადგენლობით ვენვიეთ აფხაზეთის იუსტიციის მინისტრს ლაკობას. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ვიზიტს რაიმე ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია. მართალია, საბუთები ჩაიბარეს, მაგრამ მინისტრთან საუბარი ჩვეულებრივ სტუმარ-მასპინძლურ ეტიკეტს არ გასცდენია. აშკარა იყო, მინისტრი იმთავითვე დროის გაჭიმვის ტაქტიკას დაადგა, მით უმეტეს, კარგად უნყოდა, რომ თბილისიდან რეაქცია არ დააყოვნებდა, რაც მათ ხელ-ფეხს გაუხსნიდა, **კანონის დარღვევით** არ გაეტარებინათ რეგისტრაციაში გაზეთი. ამიტომ რეაქციაში დაბრუნებისთანავე გადავწყვიტეთ, რეგისტრაციის გარეშე გვეცადა გაზეთის გამოცემა. უდავოა, ეს ძალიან დიდ სირთულეებთან იქნებოდა დაკავშირებული, ვინაიდან სოხუმში ყველა საგამომცემლო სტრუქტურას და ყველა სტამბას აფხაზი ეროვნების პირი ხელმძღვანელობდა, რომლებიც ამ არეულობის

ყამს ორმხრივად კონტროლდებოდნენ. მართალია, ეს ტექნიკური პრობლემა იყო, მაგრამ უმთავრესი. რამდენადაც გაზეთის გამოცემის საკითხის მოგვარება მე დამევალა, ამიტომ ამ კანონსაწინააღმდეგო საქმის მოგვარებაც მე უნდა მეკისრა.

უფრო წარმატებით მიმდინარეობდა სარედაქციო საქმიანობა, სადაც ძირითადად თავი მოიყარეს „აფხაზეთის ხმის“ ჭეშმარიტად პროფესიონალმა, პატრიოტმა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის თავგადადებულმა მებრძოლებმა. გაზეთის პასუხისმგებელი მდივობა ითავა „აფხაზეთის ხმის“ პასუხისმგებელმა მდივანმა, უპატიოსნესმა პიროვნებამ ბატონმა გოგი ხაფთანმა, მაგრამ გაზეთის წამყვან ძალას მაინც წარმოადგენდნენ დები: ნონა და ნანა ქობალიები, სასიქადულო პიროვნების, პოეტის და მეცნიერის (ლექსიკოგრაფის) ალიო ქობალიას ქალიშვილები, გაზეთ „აფხაზეთის ხმის“ თანამშრომლები; მაშინდელ საგამომცემლო შესძლებლობათა გათვალისწინებით (ხელის საბეჭდი მანქანა) დიდ დახმარებას გვინევდა ნუნუ თოდუა. სარედაქციო-შემოქმედებით საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართული „აფხაზეთის ხმის“ სხვა მოღვაწენიც, პოეტები რამაზ კუპრაავა, რენე კალანდია, პოლიტიკური მოღვაწე ზურაბ კვარაცხელია და სხვ. რა თქმა უნდა, სარედაქციო-შემოქმედებითი საქმიანობის გარეშე არც საინიციატივო ჯგუფის წევრები იყვნენ.

გამოცემა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად თითქმის გადაულახავი ბარიერებისა, მაინც შევძელით საერთო ენის გამონახვა სტამბასთან, რა თქმა უნდა, ასეთი რისკისთვის შესაბამისი საზღაურით. გაზეთი დაიბეჭდა იმ სტამბაში, სადაც იბეჭდებოდა ოფიციალური რესპუბლიკური გაზეთები აფხაზურ, რუსულ და ქართულ ენებზე. ამიტომ „აღდგომის“ პირველი ნომრები (მთელ აფხაზეთურ პერიოდში) გამოდიოდა, უკვე იმ ჟამისთვის ძველმოდურად ქცეული, დიდი – **A1** ფორმატით.

გაზეთის პირველი ნომრის გამოცემასთან დაკავშირებით ისევ მივუბრუნდებით მის სახელდების საკითხს.

„აღდგომას“, როგორც აღვნიშნეთ, არავითარი კავშირი არ ჰქონდა ბრწყინვალე დღე-



სასწაულთან – მაცხოვრის ჩვენის იესო ქრისტეს ჯვარცმასთან და მკვდრეთით აღდგომასთან. ავტორისავე განმარტებით და შემდეგში საყოველთაოდ მიღებული გააზრებით, მასში იგულისხმება ბოროტების იმპერიისგან მისივე მძლავრობის პირობებში თავდახსნა და დამოუკიდებელი **სახელმწიფოებრიობის ფენიქსივით აღდგომა** 1990 წლის 28 ოქტომბრის საყოველთაო არჩევნების გზით ფორმირებული უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის დეკლარირება. ეს იყო გაზეთის სახელდების ისტორიული ფაბულა.

პრაქტიკულ ღონისძიებათა თვალსაზრისით, ის წარმოადგენდა ნომენკლატურულ-კრიმინალურ რევანშისტთა მიერ სამხედრო გადატრიალების გზით დამხობილი პრეზიდენტისა და ხელისუფლების **აღდგომის** აუცილებლობისკენ მოწოდებას. ამდენად, ეს სახელდება ასახავდა არა მარტო გაზეთის იდეურ არსს, არამედ, თავისთავად, წარმოადგენდა **ლოზუნგს, მოწოდებას** – კანონიერი ხელისუფლების აღდგენისა და თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოს გადარჩენისთვის საერთო-სახალხო ბრძოლისკენ. მისი ეს მისია შემდგომში მთლიანად შეითვისა და შეისისხლხორცა ტაშკენტის 25-ის იდეამ.

„აღდგომის“ ასეთი წმინდა რაციონალური დატვირთულობის მიუხედავად, მას არასდროს უთქვია უარი ამ სიტყვის რელიგიური ცნებაზე, ვინაიდან, როგორც ზვიად გამსახურდიას პროგრამული დებულებით იყო გაცხადებული, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი ღირებულებები დემოკრატიასთან ერთად, როგორც ზემოთაც ითქვა, უნდა დაჰფუძნებოდა ადამიანის უფლებათა დაცვას და **ლოცვას**. ასე რომ, გაზეთის სახელდების საზრისში მუდამ ვითვალისწინებდით მის ამ რელიგიურ (სარწმუნოებრივ) საზრისს, რაც კიდევ უფრო ზრდიდა გაზეთის ისედაც საკმაოდ გამოკვეთილ ზნეობრივი სინამდის ასპექტს. ამიტომ, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, გადავწყვიტეთ, რომ გაზეთის

პირველი ნომრის გამოსვლა დაგვემთხვია მოახლოებული აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისთვის, რაც გარდა ამ სარწმუნოებრივი დატვირთვისა, პრაქტიკული თვალსაზრისითაც ძალზე მომგებიანი უნდა ყოფილიყო იმ მძიმე პერიოდში.

ღვთის წყალობით, ყველა ბარიერი გადაილახა და 1992 წლის 26 აპრილს, აღდგომის დადგომამდე ცოტახნით ადრე გაზეთის მთელი ტირაჟით მივაღებეთ სოხუმის საკათედრო ტაძარს, სადაც მიმდინარეობდა შევარდნაძის არაკანონიერი სახელმწიფო საბჭოს წინააღმდეგ გამართული საშიშპილო აქცია. აქ თავმოყრილი იყვნენ, როგორც კანონიერი ხელისუფლების მომხრეები, ასევე შევარდნაძისტულ-სუკისტური ამქარი. ვნებათაღელვა პიკს აღწევდა.

იმ ღამეს კანონიერების აღდგენისათვის მებრძოლი საზოგადოება დღესასწაულობდა აღდგომის წმინდა დღესასწაულს და სამშობლოს გადარჩენისთვის მებრძოლი გაზეთის – **„აღდგომის“ დაბადებას**. ეს იყო ქვეყნისა და სახელმწიფოს ინტერესთა გამყიდველი კომუნისტ-რევანშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში (რომელიც დღემდე გრძელდება) ერთ-ერთი პატარა, მაგრამ მაინც გამარჯვება აფხაზეთში.


ოზიციალური ალიარება

ყველას კარგად გვესმოდა, რომ გაზეთის წინააღმდეგ შემოტევა ედ.შევარდნაძის საყმოდან კიდევ უფრო გამძაფრდებოდა, რითაც ისარგებლებდა ხელისუფლების აფსუური დაჯგუფება და გაზეთის რეგისტრაციისთვის ყველა კუთხე-კუნჭულს დაგმანავდა. ამიტომ ყველაფერს ვლონობდით იმისათვის, რომ გაზეთის არალეგალურად გამოცემა არ შეწყვეტილიყო. ასეც მოხდა, გაზეთი რეგულარულად კვირაში ერთხელ გამოდიოდა. პუტჩისტური ალიანსის ხელისუფლება ცოფებს ყრიდა, მაგრამ არც ჩვენ ვიხევდით უკან. ბოლოს ამ საქმეში პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ჩაერ-

თო. გროზნოსთან გაზეთის კავშირს კურირებდა ბატონი ანზორ გვარამია და რამდენადაც ვიცი, ამ საკითხის მოგვარებაში ჩართული იყო ჯოჰარ დუდაევიც.

მოკლედ, აფხაზეთის იუსტიციის სამინისტრო (იგულისხმებ – მთელი ხელისუფლება) იძულებული გახადეს, კანონიერება დაეცვათ და გაზეთი რეგისტრაციაში გაეტარებინათ. ყველაფერი კეთილად დასრულდა იუსტიციის მინისტრის მოადგილის ბატონი ოთარ ბენიძის კაბინეტში.

გაზეთი რეგისტრაციაში გაატარეს აფხაზეთის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით, თავისუფალ ჟურნალისტთა გაზეთი „აღდგომა“ რეგისტრირებულია 1992 წლის 15 მაისს. რეგისტრაციის №6.



შპს-თა წესდების თანახმად, დამფუძნებელთა კრების პირველი ოქმით დადგინდა დამფუძნებელთა საბჭო ოთხი კაცის შემადგენლობით: მწერალი გიორგი სიჭინავა, მწერალი ანზორ გვარამია, პედაგოგი და ჟურნალისტი სერგო (სერგი) საჯავია, პედაგოგი და პუბლიცისტი მურმან ზაქარაია. საწესდებო ფონდი განსაზღვრული იყო ორი ათასი მანეთით, იმავე ოქმით დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მურმან ზაქარა-

ია (წარადგინა ანზორ გვარამიამ).

გაზეთის ეს ლეგალიზაცია არა მარტო ფინანსური და პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით იყო შევება, არამედ პოლიტიკურადაც მომგებიანი. აფხაზეთის ხელისუფლება ამ აქტით აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას და დევნილი პრეზიდენტისა და კანონიერი ხელისუფლების კანონიერ უფლებებს.

* * *

ეს კომუნისტურ-მაფიოზური რევანშისტები „აფხაზების“ წამოგდებას და ვითარების გამწვავებას ახდენდნენ. ოღონდაც კანონიერი ხელისუფლება არ დაბრუნებულიყო და ყველაფერზე წამსვლელნი იყვნენ, არც თბილისს და არც ადგილობრივ რევანშისტებს აწყობდათ აქ კანონიერი ხელისუფლების არსებობა. ორივე მხარე: რუსულ-აფსუური და ქართულ-რევანშისტული აახლოებდა კატასტროფას.

გაზეთმა „აღდგომა“ მთელი თავისი ძალისხმევა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის ბრძოლისა აფხაზეთში ამ კატასტროფის თავიდან აცილების მიმართულებით წარმართა. კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მიერ სხვადასხვა მიტინგებსა და ღონისძიებებში მრავალგზის იყო გაცხადებული, რომ თუკი სამეგრელოს ხუთგზის დალაშქრისა და ანიოკების მსგავსი ღონისძიების ენგურს გაღმა გადატანას შეეცდება უკანონო სახელმწიფო საბჭო, ყველაფერი დიდი ტრაგედიით დასრულდება.

ამდენად, გაზეთის ლოზუნგად იქცა გაფრთხილება: „თუ აფხაზეთში უკანონო ხელისუფლების მხრიდან თუნდაც ერთი ტყვია გავარდება, აფხაზეთი დაიკარგება“. მაგრამ რუსეთსა და მარიონეტ სეპარატისტებს, ქართველ კოლაბორაციონალ-რევანშისტებს სწორედ რომ კანონიერი ხელისუფლების მოშლა სურდათ, რათა საქართველოში საყოველთაო არჩევნებით არჩეული და საერთაშორისო ნორმებით აღიარებული სახელმწიფოებრიობის კვალიც არ დარჩენილიყო (რუსეთი აჭარას ფაქტობრივად ოკუპირებულად განიხილავდა). ამიტომ ყველაფერი წარიმართა რუსული დაკვეთით და გენშტაბის გეგმით. აფხაზეთში გააჩაღეს ომი, რომლის კატასტროფულ დასასრულზედაც არცერთ გონიერ ადამიანს იმთავიდანვე არ ეპარებოდა ეჭვი. შევარდნაძე



კი ამ ყველაფრის საფასურად მიიღებდა ლეგიტიმაციას „იმედის არჩევნების“ გზით.

ომი და გაჯეთი

რევანშისტები და მათი იდეოლოგები ანადგურებდნენ დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების ჭეშმარიტად სახალხო იდეას. საშინელება ის იყო, რომ ეს პუტჩისტური ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი ალიანსი მოქმედება დემოკრატიის სახელით, ჯაბასეული ლოზუნგით: „დემოკრატია ლობიობა ხომ არ გგონიათ“. ისინი თავიანთი საქმიანობის ყველა საფეხურზე, ყველა ეტაპზე ახდენდნენ „დიდი იდეების დეფორმაციას“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად გამოსაყოფია რუსეთის ხელისუფლების დაკვეთითა და გენშტაბის გეგმით აფხაზეთში გაჩაღებული ე.წ. ომი. ეს იყო სისხლიანი თამაში, მიმართული ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ,

რომელიც ხორციელდებოდა მარიონეტი შვეარდნაძისა და არძინბას ხელით.

1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში გავარდნილ პირველი ტყვიას მოჰყვა ჯაჭვური რეაქცია და, როგორც ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ვაფრთხილებდით არაკანონიერ ხელისუფლებას, გაჩაღდა ძმათამკვლელი ომი. ხარობდა კრემლი, ხოლო პუტჩისტური ალიანსი ემზადებოდა „იმედის არჩევნებისათვის“.

ეს ზედსახელი, რომელიც შემოაჩერეს მასებს, როგორც იმედი მომავლისა, სინამდვილეში გულისხმობდა პუტჩისტური ალიანსისა და მის ბაზაზე ფორმირებულ კოლაბორაციონალისტთა იმედს, მიეღოთ ლეგიტიმაცია. ეს იყო სუფთად რუსული ვარიანტი ზვიად გამსახურდიას ლიდერობით ქართველი ხალხის მიერ ბოროტების იმპერიაზე მოპოვებულ დიდ გამარჯვებაზე რევანშისა ქართველ მოღალატეთა ხელით.¹

¹ რუსეთმა უფრო გვიან ეს „იმედის“ თამაში ისევ გააჩაღა საქართველოში. ახლა უკვე პოლიტიკური ორგანიზაცია „იმედის“ და მისი საინფორმაციო საშუალებების ტელევიზია „იმედის“ სახით, რომელმაც ისევე, როგორც აფხაზეთის ომმა და „იმედის არჩევნებმა“ თავის დროზე, დიდი ზიანი მიაყენა ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების პროცესს. ხელახლა იწყეს რევოლუციის შედეგად წელში გატეხილმა



„ომის“ სოხუმში გადმოტანით, ხელისუფლებამ პირველ რიგში დარტყმა მიაყენა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის მეზობელ ქალებს. შეწყდა 116-დღიანი უწყვეტი მიტინგი. ნახევრად არალეგალურ პირობებში მყოფი კანონიერი ხელისუფლების დიდი ნაწილი ტოვებს ქალაქს. იწყება ემიგრაციის ახალი ტალღა. ქალაქს სამხედრო კომენდანტად ევლინება გ. გულუა. დაბნეულობა პიკს აღწევს. ძალიან ძნელი ხდება სწორი პოზიციის დაკავება. მიუხედავად ამისა, „აღდგომის“ მორიგი ნომერი დროულად გამოიცა, მაშინ როცა „აფხაზეთის ხმის“ გამოცემა შეფერხდა უქალაქობის გამო. ამიტომ, სტამბის დირექტორის ჭოლარიას თხოვნით, ჩვენი რეზერვიდან მივეცი ქალაქი და დაგვიანებით, მაგრამ მაინც გამოვიდა „აფხაზეთის ხმა“.

ამასობაში კარს მოგვადგა მორიგი ნომრის გამოცემის დროც, არეულობის გამო ახლა უკვე

სარედაქციო საქმიანობის წარმართვაც ჭირდა. ამიტომ, მახსოვს, კვირა დღეს იაშთხვიდან ფეხით ჩამოვედი ქალაქში და მივედი სტამბაში, სადაც დამხვდა დირექტორი, რომელმაც წარმომიდგინა კომენდანტ გულუას განკარგულება: **„აიკრძალოს გაზეთების „აიდგილარასა“ და „აღდგომის“ ბეჭდვა“**. ეს იყო ვერაგული დარტყმა.

ჩვენ ზემოთ საკმაოდ ვიმსჯელებთ ამ ქართული გაზეთის გამოცემის სიძნელეებსა და იმაზე, რომ მისი რეგისტრაცია, მით უმეტეს, კანონიერი ხელისუფლების კანონიერი მოთხოვნით, წარმოადგენდა ფაქტს არძინბას ხელისუფლების მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის აღიარებისა, რასაც ეს განკარგულება აბათილებდა (უკანონო ხელისუფლება ასეთ მოლაპატურ ქმედებას აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგაც ჩაიდენს). მაგრამ ამ ირიბი პოლიტიკური მომენტის გარდა, ამკარა ხდებოდა, რომ

რუსულ-კოლაბორაციონალისტურმა ძალებმა მომძლავრება იმდენად, რომ მათ არჩევნებში დამარცხების შემდეგ შეტევაზე გადმოსვლა დაიწყეს, რაზედაც ხელისუფლების ხისტიმა გაუზარებელმა რეაქციამ, რაც რევოლუციური იდეების მოჩლუნგების შედეგი იყო, ჩვენს ფსევდოსაზოგადოებაში არასწორი რეაქცია გამოიწვია. გზა გაეხსნა უკვე დიდი ხნით ადრე დანყებული პროექტის მოქმედებაში მოყვანას, ისევ ორაზროვანი და ამკარად დამცინავი სახელწოდებით – „ოცნება“. იოცნებე, რამდენიც გინდა – დასავლურ კულტურაზე, დემოკრატიაზე, ევროკავშირზე თუ ნატოზე, რეალურად „შენ იქნები რუსული გავლენის სფეროში პერსპექტივით, გახდე მისი ალიანსის წევრი“.

აფხაზეთში რუსების მიერ შევარდნაძე-კიტოვანისთვის შეჩერებული დამპალი ტანკებითა და ბეტეერებით შეიარაღებული სამხედრო შენაერთების შემოყვანა მიზნად ისახავდა არა იმდენად რკინიგზის დაცვას, რამდენადაც აქ, მათი თქმით, „ზვიადისტური მოძრაობის“ განადგურებას. კიდევ უფრო ღრმად დაფარული მიზანი კი იყო აქ ჯერაც არსებული **კანონიერი მმართველობის განადგურება**.

ამ განკარგულების შემდეგ მორიგი ნომრის სოხუმში გამოცემის შანსი არ არსებობდა, მაგრამ ჩემს თავს მივეცი სიტყვა, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, დროზე გამოგვეცა მორიგი ნომერი, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის რედაქციის „პოლიტიკური ფრთა“ არაღეგალურ მდგომარეობაში იყო გადასული. სხვები კიდევ ომის ცეცხლს გარიდებოდნენ.

ამიტომ სტამბიდან გამოსულმა გადაწყვეტილ მივსულიყავი გაზეთის რედაქტორთან ბატონ გ.სიჭინავასთან, რომელიც სოხუმში მეგულებოდა და გვესინჯა, სადმე რაიონში გვეპოვა სტამბა, რომელიც იკისრებდა თუნდაც ერთი ნომრის დაბეჭდვას, სანამ ვიპოვიდით ახალ ნავსაყუდელს. **ასე დაიწყო „აღდგომის“ ოდისეა სოხუმიდან 1992 წლის აგვისტოს ბოლოს და გაგრძელდა 1995 წლის თებერვლამდე**, როცა თბილისში, ტაშკენტის 25-ს ღირსებისათვის ბრძოლის იდეით გამსჭვალული, განახლებული გაზეთის მთელი ტირაჟით არ მივადექით.

„აღდგომის“ ოდისეის დაწყება

სოხუმიდან წამოვედით გაზეთის კომერ-

ციული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელის საშა ზაქარაიას ავტომანქანით.¹

პირველად მივადექით, გულრიფშის სტამბას, სადაც დირექტორობდა კანონიერი ხელისუფლების მომხრე დ.კაკულია. საბედნიეროდ ის ადგილზე დაგვხვდა, მაგრამ ტექნიკური გაუმართაობის მიზეზით (!?) ამ ცოტა არ იყოს საჩოთირო საქმის გაკეთება ვერ მოხერხდა. მაგრამ, მე გამჩერებელი არ ვიყავი. გეზი ავიღეთ ოჩამჩირისკენ, თუმცა არც იქაური სტამბის იმედი გვქონდა დიდად. სახლში ვენვით ოჩამჩირის რაიონული გაზეთის წარმომადგენელს ზემოთ უკვე ნახსენებ ალიო ქობალიას, მითუმეტეს უპრიანი იყო საქმის კურსში ჩაგვეყენებინა, ნონა და ნანაც. რა თქმა უნდა გულკეთილი სტუმარ-მასპინძლობის იქით საქმე წინ ვერ წავიდა, ეს სტამბა საერთოდ მწყობრიდან გამოსული აღმოჩნდა. იმედად, აფხაზეთის ტერიტორიაზე გალის სტამბა გვრჩებოდა, ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, იმ უგუნური და მოლაღატური განკარგულების არშესრულება და გაზეთის არა მარტო თავისი გრაფიკით გამოცემა, არამედ აფხაზეთში დაბეჭდვა.

მიუხედავად ჩემი გალური წარმომავლობისა, სამწუხაროდ სტამბის მესვეურთა შორის ნაცნობები ვერ აღმოვაჩინე. მიუხედავად მთელი ტრადიციული დიპლომატიის ნიჭის დახარჯვისა და ძალზე ხელგაშლილი საზღაურის დაპირებისა, ისევ რაღაცა ტექნიკური მიზეზის მოხმობით უარი გვითხრეს.²

წინ ზუგდიდი იყო, სადაც მიუხედავად დაუნდობელი ეგზეკუციებისა დაუმორჩილების

¹ უფრო გვიან იგი თბილისში ედ.შევარდნაძისა და მისი ხროვის წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობის გამო დაპატიმრებულ იქნა და ციხეში გაატარა თითქმის 14 წელი, მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის შემდეგ მიღებული ეროვნული თანხმობის დეკლარაციის საფუძველზე ამ საქმის გამო ციხეში დარჩენილი 5 პიროვნება დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლებულიყო. ამას ჯერ წინ აღუდგა დაუნდობელი, მხოლოდ თავის ინტერესებზე მოფიქრალი ზურაბ ჟვანია, შემდეგ კი გადაგვარებულმა რევოლუციურმა ხელისუფლებამ ეროვნული თანხმობის იდეური მტრების საამებლად ეს ხუთი პიროვნება მძევლებად გაიხადა, რათა ჩაეკლა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის მებრძოლთა სულისკვეთება. მათ ამას მიაღწიეს და სულ მალე შედეგიც მოიმკეს, თვითონვე გადაყენენ ამ პრინციპის ლალატს, ქვეყანა ხელახლა ჩაძირეს რუსული კორუფციული სისტემისა და ფსევდოდემოკრატიის „ოცნების“ ანტიეროვნულ ჭაობში.

² ათიოდე წლის შემდეგ, ტაშკენტის 25-ში, გადმოსულმა ჩვენმა მეგობარმა, უზენაეს საბჭო დეპუტატმა, პოეტმა ჯემალ აშონიამ, რომელიც გალის რაიონულ გაზეთში მოღვაწეობდა წლების განმავლობაში, მითხრა, რომ იმ დღეებში გალში ვიყავი და რომ გამეგო ეს ამბავი, აუცილებლად დავაბეჭვდინებდი გაზეთსო, სამწუხაროდ მაშინ ჩვენი ასეთი შეხვედრა ვერ შედგა, თორემ გალში დაფუძნება იმ ეტაპზე მომგებიანიც კი იყო პოლიტიკური თვალსაზრისით.

კომიტეტს გავლენა ჰქონდა, მისი შემწეობით სტამბის მესვეურთა დაყოლიება უფრო იოლი უნდა ყოფილიყო. ჩემთვის კი ნათელი იყო, რომ გულუას იმ განკარგულების შესახებ აფხაზეთის ყველა სტამბას ჰქონდა ცნობა, სამხედრო კომენდანტის წინააღმდეგ წასვლა განია ომში ძნელია.

ზუბდილური „აპოკა“

სალამო ხანისთვის ზუგდიდში ვიყავით. აქ უკვე თავის მშობლიურ ქალაქში ინიციატივა, რა თქმა უნდა, ბატონმა გიორგიმ აიღო. სულ მალე თავი მოიყარეს მისმა სიყრმის მეგობრებმა კანონიერი ხელისუფლების თავდადებული დამცველის ბატონ იმედ ადამიასა და სხვათა სახით. ყველა თანადგომას გვთავაზობდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „აღდგომის“ დაბეჭდვაზე სტამბის მესვეურთა დაყოლიება არც ისე ადვილი საქმე იყო, როგორც ეს ჩვენ შორიდან წარმოგვედგინა. გაზეთს გვარიანად დაეფრთხო „წითელი ინტელიგენცია“, თვით ედიკაც, რომელმაც კარგად უწყოდა პროპაგანდის ფასი. ეს შიში „აღდგომისადმი“, რა თქმა უნდა, ძვალსა და რბილში გასჯდომოდან მთელ ჩინოვნიკურ წრეებს და ყველგან გაუვლელ ბარიერებს უგებდნენ. ასე იყო მისი არსებობის ყველა ეტაპზე, ამდენად, გულუას იდიოტური, ანტისამართლებრივი განკარგულება სრულიადაც არ უნდა ყოფილიყო მისი ტვიზის ნაყოფი.

სტამბის დირექტორი საერთოდ არ გამოჩენილა, ნათელი იყო, უნდა ჩაგვეერთო კანონიერი ხელისუფლების მომხრე პოლიტიკური ძალები. მიუხედავად გვიანი ღამისა, საქმის სახვალისოდ გადატანაზე უსიკვდილოდ არ მივდიოდი. ამოძრავდა დაუმორჩილებლობის კომიტეტი, შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა, მით უმეტეს, რომ ლ.ქობალიამ კარგად უწყოდა ამ გაზეთის დაფუძნების ისტორია. სწორედ გაზეთის გამოცემის გადანყვეტილების მიღების ღამესვე იქნა მიღებული რეკომენდაცია ლოთის კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული ძალების სარდლად დანიშვნაზე.

ასე თუ ისე, შევარდნაძის ვიგინდარა მოხელეების წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სტამბის მუშაკ-

თა დიდი ნაწილის პოზიცია, რომ „აღდგომა“ სწორედ ზუგდიდში უნდა დაბეჭდილიყო და არა დროებით, არამედ მანამდე, სანამ არ აღსდგებოდა კანონიერი ხელისუფლება. ისინი გაფიცვითაც იმუქრებოდნენ, ასოთამწყობები კი აცხადებდნენ, რომ ხელმძღვანელთა ნებართვის გარეშეც ააწყობდნენ გაზეთს. იმ ღამეს სტამბის თანამშრომლებთან თავისთავად დამყარებული ეს კეთილგანწყობა ბოლომდე შემოგვრჩა და არც ჩვენ ვრჩებოდით ვალში. სტამბის მუშაკების მხარდაჭერა არც კანონიერი ხელისუფლების ხელახლა დამხობის შემდეგ თითქმის მართოდ დარჩენილს, „პროკლამაციური ბრძოლის“ პერიოდში დამკლებია.

შუალამე გადასულს, სახლიდან მოიყვანეს სტამბის მთავარი ინჟინერი ფაჟავა, რომლის განკარგულებითაც შუქი აენტო გაზეთის ზუგდიდში დაბეჭდვას, რაც სინამდვილეში იყო „აღდგომის“ ახალი ეტაპის დასაწყისი. გაზეთი ფორმითაც შეიცვალა, გამოდიოდა A2 ფორმატით, შესაბამისად, შეიცვალა მისი დიზაინიც. უცვლელი რჩებოდა მისი იდეა.

„აღდგომის“ ზუბდილური ეტაპი

გაზეთის ეს ახალი ეტაპი ძირითადად წარიმართა ორი მიმართულებით: ერთი, აფხაზეთში მიმდინარე ძმათამკვლელი ომის არსის მართებულად წარმოჩენა ისე, როგორც ამას აკეთებდა პრეზიდენტი და კანონიერი ხელისუფლება. ახსნა იმისა, რომ ეს ე.წ. ომი, სინამდვილეში მოღალატური სისხლიანი დრამა, დაიწყო და მიმდინარეობს კრემლისა და გენშტაბის გეგმით, ხოლო აღმსრულებლად მოვლინებული იყვნენ შევარდნაძის ანტისახელმწიფოებრივი რევანშისტული ხროვა და არძინბას სეპარატისტული დაჯგუფება.

მეორე – ამ დიდი ღალატის კონტექსტში ჩაფიქრებული ე.წ. იმედის არჩევნების ჩატარების ნამდვილი მიზნის ახსნა, რომ ამით ცდილობდნენ არაკანონიერი ხელისუფლებისთვის „სახელმწიფო საბჭოსთვის“ ლეგიტიმაციის მოპოვებასა და კანონიერი ხელისუფლების სრულ მოშლას, დამოუკიდებელი ქვეყნის ისევ რუსეთის ორბიტაში შეყვანას.

პრეზიდენტი მოგვიწოდებდა, არ დაგვეშვა

ეს უკანონო არჩევნები, რომლის ჩატარებასაც ცდილობდნენ კონსტიტუციური და ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დარღვევით. მაგრამ, თუ მაინც დანიშნავდნენ ამ ე.წ. არჩევნებს, მაშინ მისთვის ბოიკოტი უნდა გამოეცხადებინა ხალხს.

ე.წ. სახელმწიფო საბჭოს მიერ ამ „არჩევნების“ დანიშვნის შემდეგ, გაზეთმა მთელი ძალისხმევა მიმართა პრეზიდენტის მოწოდებათა აღსრულებისკენ. ამ პერიოდში გაზეთის ყოველი ნომერი გამოდიოდა მოწოდებით: „ბოიკოტი არჩევნებს“, რომელსაც ეკავა მთელი პირველი გვერდი.

რეალურად, ქართველმა ხალხმა ეს ბოიკოტი განახორციელა. არჩევნებში ამომრჩეველთა 1/4-იც არ მოსულა, თუმცა უკანონო „ხელისუფლებამ“ უკანონობას უკანონობა დაუმატა და ის ჩატარებულად გამოაცხადა.

არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე შედგენილი სიით ე.წ. პარლამენტი შეაკონინეს (გაიხსენეთ ე.წ. საკომპენსაციო სია). მიუხედავად ასეთი ფაქტური შედეგისა, ამ არჩევნებით დადასტურდა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა კანონიერი ხელისუფლების მომხრე იყო. არჩევნების ბოიკოტირების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა „აღდგომამ“ და ტაშკენტის 25-ში მოქმედმა პოლიტიკურმა ძალებმა. გაზეთს ასეთი მისიის განხორციელება კიდევ მოუწევს.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ გარკვეული პერიოდები საერთოდ იხურებოდნენ გაზეთები, გარდა „საქართველოს რესპუბლიკისა“ და მაშინ ერთადერთი გაზეთი იყო „აღდგომა“, რომელიც მართალ სიტყვას აწვდიდა ხალხს. ნაკლებად შეგხვდებოდათ „აღდგომის“ ეგზემპლარი, რომელიც ხელიდან ხელში გადაცემისას და მალულად კითხვის გამო ბოლომდე გაცვეთილი არ ყოფილიყო.

გაზეთის ასეთ პოპულარობას განაპირობებდა ის, რომ მასში იბეჭდებოდა პრეზიდენტისა და კანონიერი ხელისუფლების დადგენილებები, მიმართვები, განცხადებები, ინტერვიუები და ა.შ. რომლებშიც ბოლომდე იყო გახსნილი შევარდნაძისა და მისი ე.წ. ხელისუფლების მოღალატური არსი, განსაკუთრებით, მიმდინარე ე.წ. ომის კონტექსტში, სადაც ხელისუფლების

ყველა ქმედება მიმართული იყო აფხაზეთში საკუთარი ჯარის დამარცხებისა და „მშვიდობის-მყოფლად“ რუსეთის იმ ჯარის ჩაყენებისაკენ, რომელთანაც ბრძოლას ეწირებოდნენ ჩვენი პატრიოტი ჯარისკაცები. ამ არნახული ღალატის საბოლოო მიზანი იყო აფხაზეთის რუსეთის გამგებლობაში გადაცემა, კანონიერი ხელისუფლების არსებობის ყოველგვარი კვალის მოშლა, რაც სინამდვილეში ნიშნავდა აფხაზეთიდან ქართველთა ფეხის ამოკვეთას.

* * *

ზუგდიდურ პერიოდში განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა სამეგრელოს გარეთ გაზეთის გატანა-ტრანსპორტირება. განსაკუთრებით ჭირდა მისი შეტანა აფხაზეთში, ფრონტისპირა ადგილებში, სადაც ამ გაზეთის ერთი ეგზემპლარის აღმოჩენის გამო შეიძლებოდა ნარკოტიკებით გაბრუებულ შევარდნაძე-კიტოვან-იოსელიანის ჯეელებს იქვე მიეხვრიტეთ. ამიტომ საქმეს ვერც ვერავის ვანდობდი და არც მსურველი ჩანდა.

გაზეთის ყოველი ტირაჟის ჩატანა სოხუმში დიდ განსაცდელთან იყო დაკავშირებული, რომელიც ოდისევსის ციკლოპთა თუ დემონებთან შეჯახებაზე უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენდა მოწინააღმდეგის სივერაგისა და უზნეობის გამო. მაგრამ ეს ცალკე საკითხია... თუმცა არც თბილისისკენ მიმავალი გზა იყო იავარდით მოფენილი. სამტრედიისა თუ ქუთაისის „პოსტების“ გავლა ნახევარი სიცოცხლის ფასი უჯდებოდათ ე.წ. გამავრცელებლებს, სინამდვილეში კანონიერი ხელისუფლების ჯარისკაცებს. არ შემოიძლია განსაკუთრებით არ გამოვეყო იურა გუნავასა და რამაზ შარიას ღვანლი, რომელთა მეშვეობითაც გაზეთი აღწევდა თბილისამდე, ტაშკენტის 25-მდე.

ამდენად, ზუგდიდური პერიოდი „აღდგომისა“ არანაკლებ საშიში და ტრაგიზმით იყო სავსე, ვიდრე მისი არსებობის მთელი წინა ისტორია, მაგრამ პოლიტიკური თვალსაზრისით – უფრო დატვირთული და ყოვლის მომცველი. მისი გამოცემა შეწყდა, ბალტინის ჯარის შემოყვანისა და კანონიერი ხელისუფლების ხელახლა დამხობის შემდეგ. რედაქცია დაიშალა. რედაქტორი გიორგი სიჭინავა და ანზორ გვარამია

(დამფუძნებლები) ემიგრაციაში აღმოჩნდნენ, სხვა წევრები მიმოიფანტნენ.

გზა „დასურვიდან განახლებაზე“

ზვიად გამსახურდიას მკვლევლობის შემდეგ დაქსაქსული კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მოქმედების კოორდინირება სისხლიანი რეპრესიების პროცესში თითქმის წარმოუდგენელი ჩანდა. უბრალოდ, ცალკეულ პიროვნებების მოძებნაც კი დიდ ძალისხმევას მოითხოვდა.

ჯერ კიდევ ემიგრაციაში მიმავალ ერთ ჯგუფთან საუბრისას ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ბალტინის ჯარის მიერ ოკუპირებულ და კიტოვანი-იოსელიანის კრიმინალების რეპრესიის ქვეშ მოხვედრილ სამეგრელოში პროკლამაციები გავრცელებულიყო და შეგვეხსენებინა მოლაღატე შევარდნაძისთვის, რომ ბრძოლის შეწყვეტას არ ვაპირებდით. მიუხედავად იმისა, რომ არც ტრანსპორტი იყო და არც კომუნიკაციის საშუალება, ამ იდეის განხორციელებას მაინც მოვკიდე ხელი. თითქმის ყოველ დღე მიხდებოდა ხობის რაიონის სოფ. თორსიდან ზუგდიდში ჩასვლა და 40 კმ ფეხით გავლა. გამოვძებნე აქტივისტები როგორც ზუგდიდსა და ხობში, ასევე სენაკსა და ფოთში. ამ „პროკლამაციური“ განამანის პროცესში დაიბადა იდეა ხელნაბეჭდი „აღდგომის“ გამოცემისა ყურნალის ფორმატით, რაც ხელისუფლებას, ვიდრე თითო-ოროლა პროკლამაცია, უფრო ძლიერ შეახსენებდა, რომ ქვეყნისა და ერის მოლაღატეთა წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება და მოლაღატეთა ფეხქვეშ მინა დაინვება. მაგრამ მაშინდელ სიტუაციაში, როცა ქსეროქსსაც ვერსად იპოვიდი, თუნდაც მცირე ტირაჟის (50-100 ცალი) გამოცემა რთული იყო.

ქსეროქსის ძიებამ ჩამიყვანა ფოთში. ადგილობრივი აქტივისტების დახმარებით, სადღაც საზღვაო დანესებულებაში აღმოვაჩინეთ ქსეროქსი. აქაც მოგვარდა საქმე. შეიკრა სამკუთხედი: ზუგდიდი-ფოთი-სენაკი. ზუგდიდში მასალებს ვუყრიდი თავს: პრეზიდენტის დაღუპვის გამო ოფიციალურ განცხადებებს, ოჯახის მოთხოვნაზე, პრეზიდენტის ნეშტის გროზნოში გადასვენების თაობაზე, უზენაესი საბჭოს განცხადებებს და სხვა მასალებს, შემდეგ ამ მასა-

ლებს ვამუშავებდით ფოთში, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღოდა ნიჭიერ ფილოლოგსა და ერუდირებულ პიროვნებას როზა ადამიას, დაქსეროქსებული მასალა ჩამომქონდა სენაკში და ჩვენი თავდადებული აქტივისტების დახმარებით იქ ყდაში ვსვამდით. ეს უმძიმეს შრომასთან და რისკთან იყო დაკავშირებული... ამ პროცესმა დამარწმუნა, რომ კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის ბრძოლის განახლებისა და დაშლილი პოლიტიკური ორგანიზაციების რეამინერებისთვის აუცილებელი იყო „აღდგომის“ გამოცემის განახლება. სწორედ მისი ავტორიტეტი იყო საჭირო, რათა მომხდარიყო დაქსაქსული ძალების მეტ-ნაკლებად დაახლოება მომხდარიყო, რაც მთავარია, შეგვეძლებოდა ურთიერთდობის აღდგენა.

„აღდგომის“ ოფისის დასასრული

იდეა ერთია, მაგრამ მის პრაქტიკაში განხორციელებაა რთული, მაშინ როცა სულიერი მხარდაჭერისა და გულშემატკივრობის იქით საქმე არ მიდის, მით უმეტეს, სოხუმიდან ცარიელ-ტარიელად წამოსული, უსახსროდ დარჩენილი ოჯახის პატრონი ხარ და ნათესავებს აფარებ თავს. მაგრამ უწყვეტი ბრძოლის იდეა (ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით), ერის თავისუფლებას შენორული პრეზიდენტის საქმის გაგრძელების, თუნდაც ოდნავ მბუჭუტავი ცეცხლისთვის ორიოდ ფიჩხის შემატებითვის განგვანყობდა.

ასეთი ურყევი ფსიქოლოგიით, ბრძოლის ყინით ჩავედი თბილისში, „აღდგომის“ აფხაზეთში დარეგისტრირების მონაპოვით შეიარაღებული. ამას მოჰყვა დებატები ხელისუფლებასთან გაზეთ „სარანგის“ ფურცლებზე.

თბილისში კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მეშვეობით აღმოვჩნდი საბურთალოს ქუჩაზე მდებარე გამომცემლობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა კაცი – ზვიად ჭავჭავაძე. იქვე მიფარებულ ოთახში შევეჩიხე უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ დეპუტატს და სხვა ზუგდიდიდან ნაცნობ სახეებს, მივხვდი, რომ „მშობლიურ“ გარემოში მოვხვდი... ხოლო როცა აღმოვაჩინე, რომ იქვე

მოფუსფუსე ხალხი „აკეთებდა“ მებრძოლ გაზეთთა ალამდარ „ქართულ აზრს“, საბოლოოდ მომეშვა გულზე.

„აღდგომის“ გამოცემის აღდგენის პერსპექტივას ჩემი მარტოკაცობისა და სასაცილოდ უმნიშვნელო სახსრების გამო სკეპტიკურად შეხვდა დანესებულების მენეჯმენტი... თუმცა უარი მაინც არ უთქვამთ და რეგისტრაციის მოწმობის საფუძველზე ხელშეკრულებაც გამიფორმეს. მიმამაგრეს ერთ-ერთ კომპიუტერთან, რომლის ოპერატორიც ჩემსავით ახალბედა აღმოჩნდა. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ეს ახალგაზრდა ქალბატონი – მათა გორგიაშვილი „აღდგომის“ ოპერატორი და ტაშკენტის 25-ის ღირსეული წევრი გახდება.

ქალბატონი თათია ებრალიძისა და მისი კოლექტივის ხელშეწყობით განახლებული „აღდგომის“ პირველი ნომრის დასაბეჭდად გამზადება მოხერხდა.

იმ სამი დღის განმავლობაში, რაც ამ დანესებულებაში ვიმყოფებოდი, საკმაოდ დავუახლოვდი მენეჯმენტს. ბატონმა ზვიადმა შემოგვთავაზა შუამდგომლობა, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე ე.წ. მღებრიშვილების სტამბასთან. ჩემი სახსრებით შესაძლებელი იყო გაზეთის მცირე ტირაჟით დაბეჭდვა, მაგრამ ბატონმა ზვიადმა გვითხრა, რომ „აღდგომა“ ამ ორი წლის შემდგომაც იმდენად პოპულარულია თბილისში, რომ ის დიდი ტირაჟით უნდა დაიბეჭდოსო. შევთანხმდით, რომ გაზეთის 10000 ტირაჟს თვითონ დააბეჭდვინებდა, თვითონვე უხელმძღვანელებდა რეალიზაციას და ა.შ ეს ჩემთვის არნახული ბედნიერება იყო. „აღდგომის“ ასეთი დიდი ტირაჟით გამოცემა მაშინდელი რეპრესიების პირობებში ხელისუფლებისთვის ბომბის გავარდნის ტოლფასი იქნებოდა. მე სხვა არც არაფერი მინდოდა, ამიტომ კომერციული თვალსაზრისით თითქოსდა წამგებიან 50%-50%-ზე ვარიანტი სიხარულით მივიღე, ოღონდ გავაფრთხილე, რომ სამეგრელოში დიდი რაოდენობით გაზეთის ჩატანა ძალზე სახიფათო იყო. იქ ისევ ბოგინობდა კრიმინალ-სამხედროთა ბანდები. ამიტომ შევთანხმდით, 8000 ცალი დაგვებეჭდა.

ღვთის წყალობით, ყველაფერი კეთილად დასრულდა, ჩემი „აფხაზეთური“ მოწმობის

საფუძველზე სტამბასთან გავაფორმეთ ერთწლიანი ხელშეკრულება. გაზეთიც დაიბეჭდა, რომლის დასაწყობებაც თურმე ტაშკენტის 25-ში იყო გადაწყვეტილი.

ქალბატონ ლუარასთან ჩვენს შეხვედრას რალაც მეტაფიზიკური ახლდა. ისე მივიღეთ ერთმანეთი, თითქოს დიდი ხნის თანამებრძოლები ვიყავით, თუმცა ამ თანამებრძოლობას მართლაც ჰქონდა საფუძველი, ვინაიდან „აღდგომა“ ზუგდიდური ხანიდან ამ მისამართზე მოდიოდა, ხოლო სახლის დიასახლისის დიდი აღფრთოვანებით გვიხასიათებდნენ ბატონი იური გუნავა და რამაზ შარია.

იმ პირველი ნომრის შემდეგ გაზეთის ტექნიკური და კომერციული რედაქტორობა მთლიანად თავის თავზე აიღო ქალბატონმა ლუარამ. ზამთარ-ზაფხულ, სიცხესა და წვიმაში, თოვლსა და ყინვაში, დილაუთენია, ის „აღდგომით“ სავსე ჩანთებით მიემართებოდა სადგურის მოედანზე მოწყობილ ჟურნალ-გაზეთთა ბაზრობაზე... მაგრამ ესეც სხვა დიდი ისტორიაა.

* * *

გაზეთის შემდეგი ნომრის სარედაქციო საქმიანობაში დიდი დახმარება აღმოგვიჩინა გაზეთ „წალენჯიხის ზარების“ რედაქტორმა, ბრწყინვალე ჟურნალისტი თამაზ ფიფიამ, რომლის ბინაშიც და მისი უშუალო მონაწილეობით მომზადდა გაზეთი გამოსაცემად. ბატონი თამაზის რეკომენდაციით მოვიწვიეთ რედაქციაში ასევე დიდებული ფილოლოგი და ჟურნალისტი ქალბატონი ალინა ჩაგანავა.

ჩემდა ბედად, თბილისში აღმოჩნდა „აღდგომის“ სოხუმური პერიოდის პასუხისმგებელი მდივანი გოგი ხაფთანი, რა თქმა უნდა, მან იმ გაჭირვების ჟამს ზურგი არ გვაქცია და მიიღო მინვევა განახლებულ „აღდგომაში“ თავის ძველ თანამდებობაზე. აქედან მოყოლებული გაზეთის სარედაქციო საქმიანობა მიმდინარეობდა ტაშკენტის 25-ში რედაქციისთვის გამოყოფილ ოთახში. მასალების აწყობა ხდებოდა საგამომცემლო სახლში. ეს, რა თქმა უნდა, ქმნიდა დიდ უხერხულობას, ამიტომ იმთავიდანვე ვინყე ზრუნვა კომპიუტერებისა და სხვა საგამომცემლო ტექნიკის შეკონინებაზე. ენა ვერ იტყვის იმ ჯოჯოხეთს, რაც ამ პატარა გამომცემლობის

მონყობისთვის ტანჯვით გამოვიარეთ, მაგრამ ეს მაინც მოხერხდა.

ამის შემდეგ ქალბატონი ლუარას, პროფესიით ინჟინერ-პროგრამისტის, ტექნიკურმა რედაქტორობამ ხორცი შეისხა. როგორც ზემოთ ვთქვით, მოვიწვიეთ ქალბატონი მაია გორგიაშვილი და სხვა ოპერატორებიც, გამომცემლობაც ამუშავდა. ამ პერიოდში მოხდა მოვლენა, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით და სინამდვილეში წარმოადგენდა იმ ვერაგობის გაგრძელებას, რასაც ხელისუფლება აფხაზეთის მიმართ სჩადიოდა.

სამი ნომრის გამოცემის შემდეგ სტამბის მენეჯმენტმა მიიღო ხელისუფლებისგან (ალბათ უშიშროების) განკარგულება გაზეთის გამოცემის აკრძალვის შესახებ. **აფხაზეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ გაკეთებული რეგისტრაციის მონშობა თბილისში ძალადაკარგულად გამოაცხადეს.** აქ მთავარი არ არის ის, რომ ამით ბარიერებს გვიქმნიდნენ, არამედ ახალი რეგისტრაციის მოთხოვნა და აფხაზეთში გაცემული დოკუმენტის ბათილად ცნობა სინამდვილეში ნიშნავდა აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციიდან გასულად აღიარებას. ამით წარმოჩინდა მოლაღატე ხელისუფლების ნამდვილი მიზნები, რომ ყველა კანონმდებლურ კავშირს წყვეტდა

ოკუპირებულ აფხაზეთთან და ძირფესვიანად ანადგურებდა იქ კანონიერი ხელისუფლების არსებობის კვალს. ეს ნიშნავდა აფხაზეთის სხვა სახელმწიფოდ მიჩნევას. მათ ოდენ მათი მორჩილი აფხაზური ხელისუფლება და უზენაესი საბჭო შეინარჩუნეს თვალის ასახვევად და საერთაშორისო არენაზე ოფლის მოსაწმენდად. მთავარი გაკეთებული იყო: აფხაზეთთან დამაკავშირებელი ყველა ძაფი – გადაჭრილი.

ხელისუფლებას ამ შემთხვევაშიც გავუნბილეთ იმედები, არ ჩავყვეით ახალ დავა-კამათში (ერთი გადახდილი გვექონდა) და ერთ კვირაში მოვახდინეთ გაზეთის ხელახალი რეგისტრაცია.

* * *

დამოუკიდებელი გამოცემლობის შეკონინების შემდეგ, გაზეთის, როგორც „პოლიტიკური ორგანიზატორის“ ფუნქცია დიდად გაიზარდა. რედაქცია და ქალბატონი ლუარას ბინა პოლიტიკური ბრძოლის ძლიერ შტაბად იქცა. აქ ფორმირდებოდა ეროვნული ღირსებისა და თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლის იდეა.

იმ პოლიტიკურ საქმიანობაზე წერა, რაც აქ განხორციელდა, ცალკე შრომას მოითხოვს. ამიტომ შემოვიფარგლებით მათი ნაწილის ჩამოთვლით.



პირველ რიგში დაინყო ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდიდელის“ აღორძინებისათვის საქმიანობა, რამდენადაც აქ ვიმყოფებოდით აფხაზეთის „ჭყონდიდელის“ თავმჯდომარე და მოადგილე. ამ საქმის გაძლოლა ჩვენ გვევალებოდა და მართლაც საკმაოდ დიდ წარმატებასაც მივაღწიეთ. ის ერთ-ერთი მოწინავე პოლიტიკური ორგანიზაცია გახდა „მრგვალი მაგიდის“ სუსტად, მაგრამ მაინც მოქმედ სისტემაში. ამ პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის მოძრაობაში განწევრიანებულ ჩვენს იუბილარს. ტაშკენტის 25-ისკენ მოედინებოდა საქართველოს ყველა რაიონებიდან დელეგაციები თუ ცალკეული პირები, დახვედრა და მათი მიღება დიდ დაწესებულებასაც გაუძნელდებოდა, მაგრამ ყოველივე ამას თავს ვართმევდით ისე, რომ სტუმარ-მასპინძლობასაც არ ვივიწყებდით.

აღსანიშნავია თანხმობის იდეის გზაზე პირველი ნაბიჯების გაკეთება (რამაც ტაშკენტის 25-ის იდეის ფორმირებაში დიდი წვლილი შეიტანა), როცა რედაქციაში გვეწვივნენ აფხაზეთის „ზვიადისტური მოძრაობის“ უხუცესი წევრი, აფხაზეთის სამედიცინო დარგის გამორჩეული წარმომადგენელი დესმან ლატარია და აფხაზეთის სამშენებლო-საინჟინრო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი ბატონი ბესო ფანცულაია. ხანგრძლივი გულღია მსჯელობის შემდეგ, მე პიროვნულად თანხმობა განვაცხადე „დევნილთა საკოორდინაციო საბჭოში“ ჭყონდიდელის მონაწილეობის თაობაზე, რაც შემდეგ ერთხმად დაადასტურა პოლიტსაბჭომ და წარმომადგენლებად გაგვამწესეს მურმან ზაქარაია და მანგული ხუბუა. იქ შემოგვიერთდა დავით გიორგბელიძე. ამ საბჭოს საქმიანობამ თავისი კვალი დატოვა მოლაღატე ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდია ქალბატონი ლუარას წვლილი ამ



ბრძოლაში... ესეც დიდი და გრძელი ამბავია, რასაც თავისი მემატთანე სჭირდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეროვნული თანხმობის საპარლამენტო კომისიასთან ტაშკენტის 25-ის აქტიური თანამშრომლობა, რომლის შედეგად მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება, რომლითაც 1991/92 წლების მიჯნაზე მომხდარი პუტჩი შეფასდა, როგორც კანონიერი ხელისუფლების დამხობა და სამოქალაქო კონფრონტაცია.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ღონისძიება იყო პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა საკოორდინაციო ცენტრის შექმნა უშუალოდ საპატიმროში კანონიერი ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტის გურამ აბსანძის თავმჯდომარეობით, რომლის საქმიანობაც სამწლიანი ბრძოლის შემდეგ ბრყინვალე გამარჯვებით: პოლიტპატიმართა დიდი უმრავლესობის განთავისუფლებით, პოლიტდევნილთა მიმართ ძებნის შეწყვეტით და ზუგდიდის მოედანზე ღია ცისქვეშ 25 ათასი კაცის (დელეგატის) მონაწილეობით

„ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის კავშირის“ შექმნით დაგვირგვინდა. რასაც მოჰყვა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა და ჩვენი პროგრამა-მინიმუმის განხორციელება. „თუნდაც ერთი დღით, მაგრამ, მაინც შევარდნაძე და მისი პუტჩისტური ალიანსის ხელისუფლება ხალხის ნებით უნდა ყოფილიყო გაძევებული“.

ეს წინარევოლუციური სახელმწიფო კრიზისი შეამზადეს, კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის მეტბრძოლმა ძალებმა. ხელისუფლება თითქმის ქუჩაში ეგდო, რომლის დასტურად თუნდაც 9 თებერვლის სამხედრო ოპერაცია იკმარებდა. შემდგომში ეს პროცესი კიდევ უფრო გაამძაფრა ზემოთ ნახსენები პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა ცენტრის მრავალმხრივმა საქმიანობამ. „ზედაფენებს ვერ შეძლოთ ძვე-

ლებურად მართვა, ქვედა ფენებს კი არ სურდათ ძველებურად ცხოვრება¹. ხელისუფლების ასაღებად აუცილებელი იყო მეტ-ნაკლებად ორგანიზირებული, გარედან მხარდაჭერილი დემოკრატიული ძალა... ისიც გამოჩნდა... რევოლუციური გზით შევარდნადის მოლაღატური ხელისუფლების დამხობა – ეს იყო ხალხის გამარჯვება ტირანიაზე, რომელშიც თავისი ღირსეული წვლილი ედო ტაშკენტის 25-ის მებრძოლ იდეას.

ბრძოლაში შობილი ცნება

ანტისახელმწიფოებრივი პუტჩისტური ალიანსის ე. წ. ხელისუფლების წინააღმდეგ სახალხო ბრძოლის ისტორიის გაგებისთვის აუცილებელია არა მარტო ფაქტებისა და მისგან მომდინარე შედეგების დაფიქსირება, არამედ უმთავრესია იმ ქვეყნების გაცნობიერება, რაც ასაზრდოებდა ამ მოვლენებს. უნდა ჩავწვდეთ იმ სიღრმეებს, საიდანაც შეიძლება სრულად შევიგრძნოთ ის იმპულსები, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის მებრძოლ ხალხს თავგანწირვისკენ უბიძგებდა.

შ. ნუცუბიძე ერთგან აღნიშნავდა, ისტორია ფაქტებია და არა ქვეყნობა. ეს ფილოსოფოსის მიდგომა და შეიძლება მივიღოთ ან არა, მაგრამ ვერც იმას უარვყოფთ, რომ ისტორია იმისთვის აღნუსხავს და აანალიზებს ფაქტებს, რომ ჩანვდეს იმ ქვეყნობას, რაც განაპირობებდა ადამიანთა ისე და იმგვარად ცხოვრებას, როგორაც ისინი ცხოვრობდნენ ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე.

ჩვენი ჟურნალის ამ სპეცნომერში გამოტანილი საკითხი მთლიანად და სრულად ეძღვნება არა მარტო კონკრეტული ფაქტების (ისტორიის) აღნუსხვას საკუთრივ ისტორიისთვის, რომელშიც თვალნათლივ წარმოჩინდება ამ დიდი სახალხო ბრძოლის ერთი ნაწილის, კონკრეტულად ტაშკენტის 25-ში გაზეთ „აღდგომის“ ირგვლივ გაერთიანებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა

თავგანწირული ბრძოლა¹, არც ოდენ ჩვენი იუბილარის, ტაშკენტის 25-ის „პოლიტიკური დიასახლისის“ ქალბატონი ლუარა (დოდო) გამყრელიძის უზომოდ დიდი წვლილის დაფასებას, რომლის შესახებაც საკმაო ინფორმაციას კიდევ მიიღებს ჩვენი ჟურნალის მკითხველი, არამედ ძირითადად მიმართულია იქითკენ, რომ წარმოვაჩინოთ ის ქვეყნობა, რომელმაც ჩვეულებრივი თბილისური ბინის მისამართი სამშობლოს თავისუფლების, ეროვნული და პიროვნული ღირსებისთვის თავგანწირვის იდეად აქცია.

ჩვენი მიზანია, სამზეოზე გამოვიტანოთ ის ქვეყნობა, რომელსაც საგულდაგულოდ უმაღავენ მომავალ თაობებს პუტჩისტური ალიანსის ფსევდოდეოლოგიები. მათი ისტორიაც და იდეოლოგიაც „სრულად დაცლილია ზნეობრიობისგან და ჩაფლულია ამორალიზმის ქაობში“ (მ. ზაქარაია).

ჩვენ, როცა ვცდილობთ ქვეყნობების დადგენას კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველ ეპოქას თავისი ამოცანა აქვს და კაცობრიობა მისი გადაწყვეტით მიიწევს წინ. ყოველ ეპოქას სწამს, რომ მისი ბრძოლა ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველა მანამდეელ ბრძოლათაგან, ესაა ყოველი დროის სარწმუნოება, ამით სულდგმულობს და კვდება იგი. „დაე ჩვენც ვიცხოვროთ და მოვკვდეთ თავისუფლებისთვის“ (ჰ. ჰაინე).

მე-19 ს-ში წარმოქმნილი ეს მოწოდება არის ის გარდაუვალი ქვეყნობა, რასაც ემსახურება კაცობრიობის ისტორია.

თავისუფლებისთვის მარადიული ბრძოლის ეს იდეა, თავისებური ფორმით იძენებოდა ტაშკენტის 25-ში, კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ერთ-ერთ გამორჩეულ ცენტრში, რომლის კარიც აქ სარედაქციო და პოლიტიკურ-ორგანიზაციული მოღვაწეობის გაშლის შემდეგ არავის დახვედრია ჩაკეტილი, არც საქართველოს თითქმის ყველა რაიონიდან დაძრულ კანონიერების აღდგენისა და ღირსებისთვის თავდადებულ პატრიოტებს და არც მტრებს – ყოველ 2-3 თვეში ეგზეკუციის მომწყობ პოლიციელებს თუ ე.

¹ ამ შეჯახებას ბევრი მათგანის სიცოცხლე შეენირა, ბევრმა კიდევ პუტჩისტური ალიანსის ჯურღმულებში გაატარა ხანგრძლივი პერიოდი, მათ შორის სიკვდილმისჯილთა საკანში.

ნ. უშიშროების, სინამდვილეში დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის უდიდესი საშიშროების მთესველ (ნაღდ პატრიოტთა მცირე გამოჩაქვისის გარდა) კონტინენტს.

ამ გეგმიურ ეგზეკუციებს, პირველ რიგში, ღია კარებთან ხვდებოდა ჩვენი იუბილარი. ასე რომ, არაფერი რომ არ ვთქვათ ქალბატონი ლუარას მოღვაწეობაზე გაზეთის ტექნიკური და კომერციული რედაქტორის რანგში, თუნდაც მოძრაობა „ჭყონდიდელის“ თბილისის ორგანიზაციის გამგეობის წევრის, ზოგადად მოძრაობა „ჭყონდიდელის“ პოლიტსაბჭოს სხდომებისა და კონფერენციების, მათ შორის „მრგვალი მაგიდისა“ც, ორგანიზებაში შეტანილ დიდ წვლილზე, უკვე ეს პერმანენტული „შეხვედრები“ ამ რეპრესიულ მანქანასთან, რომელიც ხშირად დაპატიმრებითაც კი მთავრდებოდა, უმკვიდრებდა მას ტაშკენტის 25-ის „პოლიტიკური დიასახლისის“ სახელს.

საკუთრებით აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა ღირსებადაუხურდავებელი ნაწილი; გაუტყეხელი სამეგრელოს ღირსეული მებრძოლები. ისინი მოისწრაფოდნენ ღირსებისთვის ბრძოლის ქარცეცხლში ჩასართველად. აქ გამოძავალი „აღდგომისა“ თუ სხვა მებრძოლი ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების მისაღებად, რომ რეპრესიებისა და ცრუპროპაგანდის წყვედადში ჩაფლულ ქვეყანაში რეალობის აღქმის შესაძლებლობა მისცემოდათ; ან სრულიად უბრალოდ, ე. წ. ხელისუფლების არნახული ღალატით დამძიმებული სულის მოსათქმელად...

ყველა ისინი, ერთობლიობაში, სრულიად ბუნებრივად აყალიბებდნენ იმ სახეს, რომლითაც ზემოთ მიმოხილული ისტორიული ფაქტების გავლენით, კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის ბრძოლის ერთ-ერთი კერის მისამართი – ტაშკენტის 25, ცნებად იქცა თავისი ფილოსოფიითა და იდეით.



ის უდიდეს სიყვარულსა და ავტორიტეტს იხვეჭდა ყველა იმ რეგიონში, რომელთა წარმომადგენელთათვის ეს სახლი წარმოადგენდა წმიდათაწმიდა ნავსაყუდელს. აქეთკენ მოიქცა-როდნენ ქვეყნის ყველა კუთხიდან, მაგრამ გან-

მისი ფილოსოფია – სამშობლოს გადარჩენისთვის, თვითიდენტობისთვის, დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის თავგანწირვა.

იდეა – ეროვნული და პიროვნული ღირსებისა და თავისუფლებისთვის მარადიული ღვანება.



ლუარა გამყრელიძე — 80



ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სასიქადულო წარმომადგენელს, ყველასათვის საყვარელ ქალბატონს ლუარა (დოდო) გამყრელიძეს დაბადების 80 წელი შეუსრულდა.

ლუარა გიორგის ასული გამყრელიძე დაიბადა 1939 წლის 23 აგვისტოს ქალაქ ჭიათურაში. ქალაქის მეორე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე; ქალბატონმა ლუარამ ინსტიტუტში სწავლა 1969 წელს დაამთავრა ძმასთან – გურამთან ერთად. სტუდენტობის ულამაზეს პერიოდს იგი ყოველთვის თბილად იგონებს და დღემდე შემორჩენილ თავის თანაკურსელებთან ძველებურად აქვს ახლო ურთიერთობა.

მამისა და მამიდის კვალს მიჰყვნენ ქალბატონი ლუარას ძმისშვილები გიორგი და ნინო, რომელთა წარმატება და ოჯახური ბედნიერება მისთვის არსებითი და მნიშვნელოვანია.

ქალბატონი ლუარას პიროვნული თვისებები მისი მშობლების სამაგალითო გარემოში ჩამოყალიბდა; იგი დღემდე ამყობს თავისი დიდებული მშობლებით და გაუხუნარი მოწინებით ინახავს მათს ხსოვნას. დედა – მედეა ბარათაშვილი ცნობილი მედდა იყო და მთელ ჭიათურაში გამოირჩეოდა სათნოებითა და ღვთისმოსაობით. მამა – გიორგი გამყრელიძე იყო დამსახურებული სამთო ინჟინერი; ბატონი გიორგი მუდამყამს განსაკუთრებულად მისაბაძი და პატივსაცემი ყოფილა როგორც თავის კოლექტივში და კოლექტებს შორის, ასევე ყველა იმათთვის, ვისაც კი მასთან მცირეოდენი შეხების წერტილი მაინც ჰქონია.

ლუარა გამყრელიძე 1965 წლიდან 1971 წლამდე მუშაობდა ქ.კალუგის ტელეგრაფების აპარატების ქარხანაში ინჟინერ-კონსტრუქტორად, ხოლო 1971 წლიდან 1996 წლამდე – თბილისში, მართვეის სისტემების ინსტიტუტში უფროს ინჟინრად.

ლუარა გამყრელიძე პირველი დღეებიდანვე ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში; აქტიურად მონაწილეობდა ყველა მიტინგსა და საპროტესტო აქციაში. განსაკუთრებულია ამ უშიშარი და თავდადებული ქალბატონის ღვაწლი კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლაში სისხლიანი პუტჩის შემდეგ, როდესაც მისი ბინა – ტაშკენტის 25-ში იქცა თავშესაფრად ეროვნული სულისკვეთების

ქართველობისა. მეტად საშიშ, მწვავე დაპირისპირების, ტერორისა და დაუნდობლობის პერიოდში გამოთქმა „ტაშკენტის 25“ იქცა დამორჩილებლობის, უსამართლობისადმი შეურიგებლობის, თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ.

აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ ქალბატონი ლუარას ბინაში გააგრძელა საქმიანობა მართლაც ლეგენდარული გაზეთის – „აღდგომის“ შემოქმედებითა კოლექტივმა ბ-ნი მურმან ზაქარაიას ხელმძღვანელობით; აქვე ფუნქციონირებდა მ. ზაქარაიას გამომცემლობა „ზანი“. ლუარა გამყრელიძის ბინიდან მთელ საქართველოში ვრცელდებოდა და ვრცელდება ეროვნული გაზეთები, ჟურნალები, სხვადასხვა შინაარსის წიგნები. სასტიკ 90-იან წლებში მათი გავრცელებისათვის არაერთხელ იქნა დაპატიმრებული, რედაქცია კი – დარბეული.

ლუარა გამყრელიძის ბინაში თავს დღემდე იყრიან ის ადამიანები, რომლებიც ამ დიდებულ ქალბატონთან ერთად ურყევი რწმენით იბრძვიან საქართველოს უკეთესი მერმისისთვის, ქალბატონი ლუარა კი კვლავაც არის ტაშკენტის 25-ის კეთილი მასპინძელი და ყველა პატრიოტის მფარველი და მზრუნველი, იგი დღემდე უშურველად გასცემს ყველას სიტბოსა და სიყვარულს.

ქალბატონ ლუარა გამყრელიძეს ვუსურვებთ ფიზიკურ მხნეობასა და დიდი ხნის ჯანმრთელ სიცოცხლეს. სულიერად კი იგი კვლავაც მხნედაა და მზად არის, კვლავაც გაიღოს ყველაფერი სამშობლოს საკეთილდღეოდ.



ზაურ მოლაშხია

ქვეყნისთვის იწვი, როგორც სანთელი

დოდო (ლუარა) გამყრელიძეს

გამოგივლია რვა ათეული,
სხვა ათეული კიდევ წინ არი...
რამდენი ღამე გაქვს გათეული,
ზოგჯერ არ იყავ ძილშიც მძინარი!

ხსოვნის სინმინდე, წასულთ ხსენება –
შენში სათუთად დავანებულა...
ერის სატკივრით არ გესვენება
და შენი გული მართლაც ვნებულა!

რაც შესძელი და რაც ვერ შესძელი –
თავზე თეთრ წლებად დაუთოვია...
ცხოვრობ სიკეთის ჩუმად მთესველი, –
შენს გულს სხვა რამე არ უთხოვია!

კვლავ საზრუნავით ხარ დახუნძლული,
ქვეყნისთვის იწვი, როგორც სანთელი...
მგონია, ერთ დროს იყავ კუნძული –
კეთილმაშვრალთა სულმოსათქმელი!

ისევ ფუსფუსებ დაუცხრომელი,
შენი ცხოვრებით მყოფობ ნეტარი...
მამულისათვის დათმე ყოველი,
– შენებრი ბევრი იყოს, ნეტავი!

მტერი გენახოს შორს წათრეული,
ერი გეხილოს მძლავრი, მღვიძარი...
ხომ მოილიე რვა ათეული? –
სხვა ათეულიც კიდევ წინ არი!

2019 წლის აგვისტო



ჯემალ შონია

თავისუფლების თავშესაფრის დელაზოქი

ვიტყვი პირდაპირ და გულახდილად: უამრავი თავდადებული ქალბატონი შემხვედრია ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში, ღირსეული კვალი რომ დაატყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მაგრამ მათ შორის შეუდარებლად, განსაკუთრებულად დოდო (ლუარა) გამყრელიძე მიმაჩნია! ამ შემთხვევაში არც ის გამოდგება არგუმენტად, რომ უამრავ ეროვნულ ქალბატონს შეიძლება ქვეყანაში ბევრად მეტი იცნობდეს, რადგან აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ჩუმ, უხმაურო მოღვაწეთა განუზომელი მნიშვნელობა ახალი საქართველოს სამსახურში.

თუმცა არც ისეა საქმე, რომ ქალბატონ დოდოსა და მის ღვაწლს ეროვნული მოძრაობის წინაშე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სანაქებო სახელი არ ჰქონდეს გავარდნილი, თანაც, როდესაც ეროვნულ წრეებში ახსენებენ ჩვენი ბრძოლისა და ერთობის სიმბოლურ გამოთქმას – „ტაშკენტის ოცდახუთი“, მასში სწორედ დოდო გამყრელიძე იგულისხმება.

ტაშკენტის ოცდახუთი თბილისში იმ სახლის მისამართია, რომლის პირველი სადარბაზოს პირველი სართულის პირველ ნომერ ბინაში ჩემთვის და ბევრი ჩემნაირისათვის პირველ ანუ შეუდარებელ ქალბატონად სახელდებული დოდო გამყრელიძე ცხოვრობს. აქვე აღვნიშნავ, რომ როგორც მისადმი მიძღვნილ ამ ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებში შეამჩნევთ, მას ორი სახელი ჰქვია: დოდო და ლუარა, რომელთაგან მე დოდო იმის გამო შევარჩიე, რომ ჩემს დასაც დოდოს ვეძახით (თან მასაც ორი სახელიდან); დოდო გამყრელიძე ჩემთვის დასავით საყვარელია და პატივსაცემი, რასაც ვერანაირი წერილით ვერ გადმოვცემ სრულად. დოდო გამყრელიძემ თავისი ბინა სისხლიან

პუტჩისა და ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისულების დამხობის შემდეგ კანონიერების აღდგენისათვის მებრძოლთა შტაბად აქცია და, შევარდნაძის დაუნდობელი რეპრესიების მიუხედავად, მთელ ქვეყანას აძლევდა დაუმორჩილებლობისა და სამშობლოს გადარჩენისათვის ბრძოლის მაგალითს. ამ ბინამ განსაკუთრებული შინაარსი შეიძინა აფხაზეთის



ტრაგედიის შემდეგ და იგი აფხაზეთიდან დევნილ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა არა მარტო სულიერ, არამედ ფიზიკურ თავშესაფრადაც იქცა. ამ მხრივ უპირველესად უნდა აღინიშნოს აფხაზეთში გამომავალი ცნობილი გაზეთის „აღდგომის“ გამომცემლის მურმან ზაქარაიასა და დოდო გამყრელიძის საოცარი დაძმობა, ის ჭეშმარიტად წრფელი და გულითადი დამოკიდებულება ორი ადამიანისა, რომლებიც ერთი სისხლხორცისა არ არიან, მაგრამ ერთი მშობლის შვილებივით უყვართ ერთმანეთი.

ჩემზე უკეთ სხვები იტყვიან, თუ როგორი სულისკვეთებით ცხოვრობდა ტაშკენტის ოცდახუთი ამ 30 წლის განმავლობაში, მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამ ბინაში ერთი დღითაც არ ჩამქრალა და არ ჩამცხრალა ერთხელ ანთებული სანთელი მამულისთვის წვისა და ღვაწებისა; აქ გააგრძელა გამოსვლა უკვე ლეგენდად ქცეულმა გაზეთმა „აღდგომა“, აქ დაიდო ბინა მურმან ზაქარაიას გამომცემლობა „ზანმა“, რომლის ეგიდით უთვალავი წიგნი, გაზეთი თუ ჟურნალი გამოდიოდა და გამოდის; აქ იმართებოდა „მრგვალი მაგიდის“ სხდომები, აქედან მოქმედებდნენ და მთელ საქართველოს ხმას

ანვდენდენ ისეთი ეროვნული პარტიები თუ საზოგადოებები, როგორც არიან „ჭყონდიდელი“, „ეროვნული თანხმობის კავშირი“ და სხვები; აქ იყრიდნენ თავს რეპრესირებული პოლიტიკოსები და კანონიერი ხელისუფლების მომხრეები, დევნილები, დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს წევრები; აქ წარმოებდა მოლაპარაკებები შევარდნაძის უკანონო ხელისუფლების წარმომადგენლებთან პოლიტპატიმართა გასათავისუფლებლად; აქ მოდიოდნენ დახმარებისა და თანადგომისათვის სხვა ეროვნული ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები და თანამშრომლები; აქ, დოდო გამყრელიძის ბინის კედლებში, იშვა და განხორციელდა უამრავი პატრიოტული იდეა და საქმე...

ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანს... და ყოველივე ამის დამხვედრი და პასუხის გამცემი იყო ტაშკენტის ოცდახუთის – თავისუფლების თავშესაფრის პატრონი და დიასახლისი – ჩვენი დღევანდელი იუბილარი.

თავისი ხალხისა და სამშობლოს ბედი ჩვენმა დოდო-ლუარამაც უკლებლივ იწვინა საკუთარ თავზე: სასტიკ 90-იან წლებში არც მას დაჰკლებია დაპატიმრება, ჩხრეკა და რბევა, მაგრამ იგი წარბმუხრელად იტანდა ყველაფერს. უშუქობისა და სიცივის წლებში კარტონის ქაღალდით დანთებული მისი პანაწინა თუნუქის ღუმელი ათბობდა აქ მოსულთ. მერე რა, რომ მურსა და კვამლს არაერთხელ შეუღახავს ბინის ჭერი და კედლები, სამაგიეროდ, სუფთა, კრიალა გულისა და ფიქრის ქალბატონი ხვდებოდა აქ ყველას; შიმშილისა და უქონლობის წლებში მურმანსა და დოდოს არც გულითადი პურმარილი დაუკლიათ ვინმესთვის და დღესაც ტკბილად იხსენებენ დოდოსეულ ლობიოსა თუ ცარიელ წვნიანს...

იმ უკუღმართ წლებშიც კი, როცა თბილისსა და მთელ ქვეყანაში განუკითხაობა სუფევდა, არასოდეს დაკეტილა დოდო გამყრელიძის ბინის კარი, იგი ღია იყო ყოველთვის – ადრე დილიდან გვიან ღამემდე, სანამ უკანასკნელი პოლიტიკოსი თუ ჟურნალისტი არ მორჩებოდა თავის საქმეს. დიახ, კარი მუდამ ღია იყო, მაგრამ უკეთური და ავის ჩამდენი, ქვეყნისა და კანონიერების მიმართ თუნდაც გულგრილად განწყობილი ადამიანი იმ კარის ზღურბლს ვერ გადმოაბიჯებდა, ვერ გაბედავდა მის შეღებას, რადგან საყოველთაოდ ცნობილია ქალბატონი დოდოს შეუვალობა და პრინციპული დამოკიდებულება ასეთი ადამიანების მიმართ.

სამაგიეროდ, როგორც აღვნიშნეთ, ტაშკენტის ოცდახუთს ახსოვს უამრავი მამულიშვილი: ჭარმაგი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი, ადგილობრივი თუ დევნილი, დისიდენტი თუ ნაპატიმრალი... მის ოთახებში ტყევა არ იყო, სკამები, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო და მოსულები გრძელ ფიცრებზე სხდებოდნენ.

განსაკუთრებით აღვნიშნავ შემოქმედებითი ინტელიგენციის იმ დიდებულ წარმომადგენლებს, რომლებიც ამ ბინაში პოულობდნენ თანამოაზრეებს, აქ მუშაობდნენ, გამოსცემდნენ თავიანთ ნიგნებსა და გაზეთებს.

დავინყოთ იმით, რომ ამ ბინასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ჩვენს დიდ მთანმინდელებს მუხრან მაჭავარიანსა და ბაჩანა ბრეგვაძეს, აქ მოღვაწეობდნენ ან თანამშრომლობდნენ ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის სიამყენი: ანტონ არნანია, ედიშერ გიორგაძე, მიხეილ ჩაჩუა, ირაკლი გოცირიძე, ნოდარ ჯალაღონია, ლია ანდლულაძე, ანზორ გვარამია, რევაზ ურუშაძე, ომარ გოჩელაშვილი, გელა ნიკურაძე, აპოლონ ჟორდანია, იოსებ პატარაშვილი, ნეგუს სოფია, ჯემალ პერტაია და სხვები. ტაშკენტის ოცდახუთში დღემდე აქვთ განუყრელი კავშირი ირინე ტალიაშვილს, გიორგი სიჭინავას, ზაურ მოლაშხიას, ლაშა გვასალიას, ედემ კვიციანიას, თენგიზ კუბლაშვილს, გია ხუბუას, ირაკლი კალანდიას, გურამ მოლაშხიას, შალვა ნიკლაურს, მურმან ხურცილავას, რევაზ ოკუჯავას, რაისა მუზიჩენკოს, თორნიკე ქავშაბაიას, გენრი დოლიძეს, ვალერი ვეკუას, კახა ქეცბაიას, დავით ზაქარაიას და სხვებს.

ტაშკენტის ოცდახუთი ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ იყო ეპიცენტრი ყველა იმ მნიშვნელოვანი მოვლენისა, რომლებიც წარმართული იყო კანონიერების აღსადგენად და შევარდნაძის ანტიეროვნული რეჟიმის სამხილებლად. როგორც აღვნიშნეთ, დოდო გამყრელიძის ბინაში ტარდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა შეხვედრები, ოფიციალური სხდომები თუ თათბირები, აქ მურმან ზაქარაიას ხელმძღვანელობით გაზეთ „აღდგომის“ გამოცემის შეწყვეტის შემდეგ გამოდიოდა გაზეთები „ზანი“, „ჭყონდიდელი“, „ეროვნული თანხმობა“, „მაფშალია“, აქ დაიწყო ფართო კამპანია პოლიტპატიმართა გასათავისუფლებლად, გამოიცემოდა არაერთი მამხილებელი ლიტერატურა ნიგნებისა და ჟურნალების სახით: ტაშკენტის

ოცდახუთში თავს იყრიდნენ დევნილი პოლიტიკოსები, უზენაესი საბჭოს დეპუტატები. დოდო გამყრელიძის ბინასთან მჭიდრო კავშირი აქვთ გურამ აბსანძეს, ნემო ბურჭულაძეს, რობერტ პეტრიაშვილს, ირინე ტალიაშვილს, შალვა ნიკლაურს, თენგიზ კუბლაშვილს, ავთანდილ რცხილაძეს, ანზორ სიჭინავას, ვანო ტურაშვილს, ვალერი გაბელიას, მანგული ხუბუას, ბუხუტი კობახიძეს, ელგუჯა მესხიასა და სხვებს; იგივე შეიძლება ვთქვათ ან გარდაცვლილ ლია ანდლულაძეზე, ზაურ ქობალიაზე, ვალტერ შურღაიაზე, გივი კვირიკაძესა და გოჩა ბიჭაშვილზე.

კიდევ ერთხელ მინდა შევჩერდე იმ ფაქტზე, რომ დოდო გამყრელიძის ბინა ჩვენი ეროვნული შემოქმედებითი ინტელიგენციის თავშესაფრად იქცა და ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება. არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა თუ რომელიმე მოღვაწის საიუბილეო თარიღი, რომელთაც არ გამოხმაურებოდა აქ დამკვიდრებული გამომცემლობა „ზანი“ სპეციალური გაზეთებით თუ პუბლიკაციებით. არაპერიოდულმა გამომცემა „მადლმა“ კი სახელი გაითქვა იმით, რომ იგი ეძღვნებოდა როგორც ცოცხალ, ისე ჩვენგან წასულ ეროვნულ მოღვაწეებს. სწორედ დოდო გამყრელიძის ხელიდან, მისი ბინიდან ვრცელდებოდა ყოველივე ეს მთელ საქართველოში. მარტო რად ღირს ზვიად გამსახურდიას საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი გამომცემები, მათ შორის პრეზიდენტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ჟურნალი „მიჯნა“. თამამად ვიტყვი, რომ მსგავს სრულყოფილ და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებულ გამომცემებს იშვიათად შეხვდებით და მას აუცილებლად დააფასებს მომავალი თაობა.

ტაშკენტის ოცდახუთი გახდა უკვე უსახსროდ და უგაზეთოდ დარჩენილი, ჯანმრთელობაშერყეული ირაკლი გოცირიძის შემწე და ნუგეშისმცემელი. სწორედ აქ აიკრიფა და დაკაბადონდა გაზეთ „იბერია-სპექტრის“ ბოლო, 359-ე ნომერი – სპეციალური გამოშვება, რომელიც ამ გაზეთის დამაარსებლისა და რედაქტორის, ცნობილი ჟურნალისტისა და ეროვნული მოღვაწის ირაკლი გოცირიძის დაბადების 80 წლისთავს მიეძღვნა. მურმან ზაქარაიამ და ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირმა სრულიად უსასყიდლოდ უძღვნეს იგი ბ-ნ ირაკლის, თანაც ეს ნომერი 28-გვერდიანია და ძვირადღირებულ ქალაღზეა დაბეჭდილი.

ეკონომიკური შეჭირვების შემდეგ აქ გამოსცემდა თავის გაზეთ „თვალთაის“ ცნობილი ჟურნალისტი, ქ-ნი დოდოსა და ჩვენი დიდი მეგობარი რეზო ურუშაძე; აქ მოღვაწეობდა ცნობილი პოეტი, სამართლიანობის აღდგენისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ნოდარ ჯვალალონია. გამომცემლობა „ზანი“ და ბ-ნმა მურმანმა მასაც დიდი ამაგი გაუწიეს – გამოსცეს პოეტის „ერთთომეული“ – ყველაზე სრული და სოლიდური გამოცემა გასულ წელს გარდაცვლილი პოეტის ცხოვრებაში. აქ გამოსცემდა თავის გაზეთ „ჟალეთს“ თიანეთელი საზოგადო მოღვაწე, ყველასთვის პატივსაცემი ადამიანი იოსებ პატარაშვილი, აქ იყრიდნენ თავს მისი თანამოაზრეებიც და მათაც, როგორც საერთოდ, არ დაჰკლებიათ ჩვენი დოდო-ლუარას თანადგომა და პატივისცემა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა თუ ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე აქ კითხულობდა საინტერესო ლექციებს ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი, მრავალმხრივ განათლებული ადამიანი ედიშერ გიორგაძე, რომელსაც თავისი მსმენელების ჯგუფიც ახლდა თან. მის მსგავსად აქ პოულობდა სულიერ თავშესაფარს ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი, სულით ხორცამდე ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანი მიხეილ ჩაჩუა, რომელმაც მურმან ზაქარაიას დახმარებით საკმაოდ ბევრი მცირე ზომის, მაგრამ ძალზე აქტუალური შინაარსის წიგნაკი გამოსცა. აღსანიშნავია, რომ აქ მოსული ადამიანები თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში, და ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, დოდო გამყრელიძის დამსახურება იყო, მისი გულთბილი, უშურველი მასპინძლობისა. მიხეილ ჩაჩუას ხსენებისას ეს იმიტომ გამახსენდა, რომ ბ-ნმა მიშამ თავისი დაბადების 84-ე წლის აღნიშვნა სწორედ ამ ბინაში ისურვა, ეს იყო 2010 წლის 15 აგვისტოს; მაშინ მას თან ახლდნენ ცნობილი მთარგმნელი და პუბლიცისტი აკაკი ბრეგაძე და ასევე ცნობილი პოეტი დილარ ივარდავა, მასპინძლის როლში კი ქ-ნ დოდოსთან ერთად მურმან ზაქარაია და მე ვიყავით. სიტყვამ მოიტანა და ახლახანაც, წლევიანდელ 10 ივლისს სოხუმიდან დევნილმა სასიქადულო პოეტმა და ჩვენმა მეგობარმა მურმან ხურცილავამ დაბადების 80 წლის გადახდა დოდო გამყრელიძის გარემოში, მის ბინაში მოისურვა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ თბილი,

ადამიანური ატმოსფეროს მნიშვნელობას, რაც ტაშკენტის ოცდახუთშია დასადგურებული. არაფერს ვამბობ თვით ჩვენი – ტაშკენტის ოცდახუთის ყველაზე ხშირი, უფრო სწორად, მუდმივი პერსონების შესახებ, რომელთაც არასოდეს დაგვკლებია ამ მაღლიანი კედლების სითბო და ყურადღება.

ტაშკენტის ოცდახუთში ნამდვილი ზეიმი იყო ჩვენი უსაყვარლესი ადამიანის, ეროვნული მოძრაობის ღირსეული წარმომადგენლის, შესანიშნავი პოეტისა და პედაგოგის ანტონ არნანისა მობრძანება ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელიდან. იგი რეგულარულად გამოსცემდა გაზეთ „დარჩელს“ გამომცემლობა „ზანის“ ეგიდით, აქვე გამოსცა მან თავისი ბიოგრაფიული რომანის სამი ნიგნი, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო ბოლო ტომის გამოცემა, რომელშიც ტაშკენტის ოცდახუთში მიღებული შთაბეჭდილებები უნდა ასახულიყო. ჩვენ ყველამ ერთად აღვნიშნეთ ბ-ნი ანტონის 90 წლის იუბილე დარჩელში, მის დიდებულ ეზო-კარში 2005 წლის 30 აგვისტოს, მის გარდაცვალებამდე ორიოდე წლით ადრე.

ტაშკენტის ოცდახუთის სასურველი და ხშირი სტუმარი იყო სასიქადულო ქართველი ქალბატონი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს განათლების მი-

ნისტრი ლია ანდლულაძე, აქ გამოსცემდა იგი ნიგნებს, თანამშრომლობდა პრესაში.

გამომცემლობა „ზანსა“ და „აღდგომის“ რედაქციაში საკმაო ხანს მუშაობდა მწერალი ომარ გორელაშვილი, მეტად საინტერესო პიროვნება, მრავალი პროზაული ნიგნის ავტორი.

ტაშკენტის ოცდახუთში დაფრთიანდა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ შემოქმედთა ახალგაზრდა თაობა. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ დღეს უკვე ცნობილი პოეტი და პროზაიკოსი ლაშა გვასალია. მის სახელთან არის დაკავშირებული ტაშკენტის ოცდახუთში ჩამოყალიბებული ლიტერატურული სალონისა და ახალგაზრდა შემოქმედთა კავშირის საქმიანობა, უამრავი ლიტერატურული ღონისძიება, რომლებიც ქ-ნი დოდოს ბინაში თუ მის კედლებს გარეთ გამართულა; აქ აიდგეს ფეხი წარმატებულ სამეცნიერო გზაზე ფილოსოფიის დოქტორებმა კახა ქეცბაიამ, დავით ზაქარაიამ და სხვებმა.

რამდენი სტუმარი ჰყოლია ტაშკენტის ოცდახუთს! რამდენ ვინმეს დახვედრია ჩვენი იუბილარი – ჩვენი თბილი და ტკბილი დოდო-ლუარა, თან – პირდაპირი და მართალი, სიყალბესთან, სიცრუესთან შეურიგებელი!

ტაშკენტის ოცდახუთის მაღლი და სითბო



ზეციურ სასუფეველში თან ნაჰყვით ღირსეულ მამულიშვილებს, წელთა მდინარებაში ხელიდან რომ გამოგვეცალნენ, მაგრამ ჩვენი დოდოს სიყვარულით გამთბარ ბინაში კვლავაც ტრიალებს მათი ნათელი, კვლავაც ვიხსენებთ მათ კალმით თუ დოდოს მიერ ჩვენგან წასულთათვის შერჩეული სასმისებით. მოდით, დოდო გამყრელიძის 80 წლის საიუბილეო წერილში კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ისინი: 2004 წლის მარტში გარდაიცვალა ირაკლი გოცირიძე, 2005 წლის მაისში – ედიშერ გიორგაძე, 2007 წლის თებერვალში – ანტონ არნანია, 2010 წელს გარდაიცვალნენ მუხრან მაჭავარიანი, ლია ანდლულაძე, 2012 წელს – ვლადიმერ ჯოლოგუა, გელა ნიკურაძე, ზაურ ქობალია, 2013 წელს – იოსებ პატარაშვილი, გოჩა ბიჭაშვილი, გივი კვირიკაძე, ინდიკო ქობალია, 2014 წელს – ნეგუს სოფია, მიხეილ ჩაჩუა, აპოლონ ჟორდანია, 2015 წელს – რეზო ურუშაძე, 2016 წელს – რომან გვასალია, ზაურ კვარაცხელია, ვალტერ შურღაია, 2017 წელს – ანზორ გვარამია, გრიშა შარია, თენგიზ კიკაჩიშვილი, ჯემალ პერტაია, 2018 წელს – ნოდარ ჯალალონია.

სამაგიეროდ, დოდო გამყრელიძის სახლში ძველებთან ერთად მოდიან ახალი ადამიანები, მოდიან ახალი იდეებითა და საქმეებით და ყველაფერი ეს ხდება საქართველოსთვის, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის. სხვანაირად მოფიქრალი, როგორც აღვნიშნეთ, დოდო გამყრელიძის ბინის ღია კარებში ვერ შემოაბიჯებს.

ამ სახლში ქ-ნი დოდოსა და ბ-ნი მურმანის განუყრელი ტანდემი კვლავაც აგრძელებს სამი ათეული წლის განმავლობაში დამკვიდრებულ ტრადიციას და აქ კვლავაც ბრიალებს ეროვნული სული, ზვიადისა და მერაბის ნათელი და მჯერა, ბევრი მამულიშვილური წამოწყება აქედან კვლავაც შეისხამს ხორცს...

ოლონდ ამისათვის საჭიროა ჩვენი ღირსეული დაიკოსა და მეგობრის, სამაგალითო ქართველი ქალის, მუდამ სიმართლისა და სამართლიანობის ერთგული ქომაცის – ქალბატონი დოდო (ლუარა) გამყრელიძის ჯანმრთელობა, ფიზიკური სიმრთელე, სულიერად კი იგი კვლავაც მხნე და გაუტეხელია.

80 წელი ცოტა არ არის, მაგრამ კიდევ დიდხანს უნდა ჰყავდეს ქვეყანას ისეთი მოამაგე, როგორც დოდო გამყრელიძეა. იგი დღესაც ძალიან სჭირდება თითოეულ ჩვენგანს, მთელ ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, როგორც ცოცხალი მაგალითი თავდადებული ბრძოლისა სამშობლოს თავისუფლებისა და უკეთესი მომავლისათვის, როგორც ჩვენი წუთისოფლის განუყოფელი ნაწილი და დამამშვენებელი.

ამ წერილს ბარემ ჩემს ლექსს „ღია კარები“ დავურთავ, რომელიც დოდო გამყრელიძეს 10 წლის წინათ, 2009 წლის 23 აგვისტოს მიუძღვნენ დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად:

„როცა მამულის ცა დაინისლა და ქვეყნის მტერმა დღენი ამღვრია, – როგორც სამყარო ნუგეშინისა, შველოდა ქართველს სახლი კარღია.“

დღესაც ეს ბინა ერთადერთია, კარი რომლისა არ იკეტება, აქ იმედები ხვალეს ერთვიან, ზეობს ქართული სულისკვეთება.

სიკეთის მადლით გარემოსილი ქალი აქ უფლის ნატვრებს, საფიცრებს, ამ ღია კარებს ავის მოსურნე ვერა, ვერაფრით გადააბიჯებს.

აქ ფიქრიანი მოდის ქართველი, მადლიან კალთას აქ ვეფარებით და გვასულდგმულებს დიდი ნათელი, გამოყოლილი ღია კარებით.“

დიდხანს, დიდხანს ამ დიდი ნათელით დამშვენებული უნდა გვყავდე, ჩვენო საყვარელო, ძვირფასო დაიკო და მეგობარო! უნდა გვყავდე მხნედ და უნდა გაიხარო შენი სათაყვანებელი ქვეყნის უკეთესი მერმისით!



ნამო ბურჭულაძე

მადლობა, მადლობა, მადლობა!

ეროვნული, კანონიერი ხელისუფლების წევრების, მათი მომხრეების, ანუ როგორც მათ ეძახიან, ზვიადისტების დიდი და, რაც მთავარია, აქტიური ნაწილისათვის კარგადაა ცნობილი ქალბატონი ლუარა, განსაკუთრებით რუსეთისა და მისი მეხუთე კოლონის მიერ მოწყობილი სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლების დამხობის შემდეგ.

პირადად მე მისი სახელი იმ სასტიკ 90-იანებში დევნილობაში გავიგე პირველად, როდესაც მეუღლე მატყობინებდა, რომ ჩვენი მომხრეები ხშირად იკრიბებოდნენ ტაშკენტის ქუჩაზე და ქვეყნის მომავალზე, მისი მტრებისაგან გათავისუფლებაზე მსჯელობდნენ, კამათობდნენ და სამოქმედო გეგმებს ადგენდნენ, რომ იქ პოულობდნენ, რამდენადაც მაშინ შესაძლებელი იყო, სულიერ სიმშვიდეს და ქვეყნისა და საკუთარი ოჯახის გამთლიანების იმედს.

2000 წლის ზაფხულიდან, როდესაც ხუნტამ ჩემი ძებნა შეწყვიტა და სამშობლოში დაბრუნების საშუალება მომეცა, ხშირად და დიდ დროს ვატარებდი ტაშკენტზე, ქალბატონ ლუარასთან, იქვე იყო საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა გაზეთების, ჟურნალებისა

თუ წიგნების გამომცემლობა. იქ აღვნიშნავდით ხოლმე ქვეყნისთვის მნიშვნელოვან თარიღებს უზენაესი საბჭოს დეპუტატები, მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების, ჩვენი აქტიური მხარდამჭერების წარმომადგენლები. ქვეყნის მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება.

არ მეგულება თბილისში მეორე ბინა, რომლის კარი არასოდეს იკეტება. არც ზარის დარეკვაა საჭირო და არც დაკაკუნება. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მიხვიდეთ, შეალოთ კარები და შეხვიდეთ, როგორც საკუთარ სახლში, სადაც ამ კარებივით მუდამ ღია დაგხვდებათ ჩვენი მუდმივი მასპინძლის, დიასახლისის, თანამოაზრის, თანამებრძოლისა და კეთილი მეგობრის ქალბატონი ლუარას გული.

ქალბატონო ლუარა, გილოცავთ იუბილეს. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს! თქვენ თქვენი ღირსებითა და სიყვარულის უნარით კიდევ დიდხანს სჭირდებით სამშობლოს.

ვამაყობ, რომ შემიძლია თქვენს მეგობრად ჩავთვალო თავი. როგორც პოეტი იტყოდა: „დაგვამეგობრა ერთმანეთთან ჩვენ ქართველის ბედმა“.

მადლობა, მადლობა, მადლობა!

ირინე ტალიაშვილი

მრავალჟამიერ!..

ჩემო ლუარა!

რა უცებ გაირბინა წლებმა...

მეგობარო! მუდამ ამას ვჩივით: სად გაქრნენ წლები, რომლებიც სასოებით გვინაჩუნებდნენ იმედსა და რწმენას...

ჩემო კარგო! შენი სახელი ეროვნული სულით სუნთქავდა და სუნთქავს. ძნელია დაივიწყო ენთუზიაზმით გამსჭვალული ადამიანების შემართება, ბრძოლის ჟინი და დაუცხრომელი ერის ტკივილით გამსჭვალული გულის ფეთქვა. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასადმი დიდი რწმენა და მამულიშვილური თავდადება იყო ის ნიშანი, რომლითაც შენს გარშემო შეგვკრიბე და გაგვაერთიანე, შენს კეთილშობილურ, დიდსულოვან შესტს

არასოდეს დაივიწყებს მადლიერი თაობები...

ჩემო ლუარა!..

ღმერთს ვევედრები, მომმადლოს ისეთი ძალა, რომლითაც შევძლებ და შევძლებთ შენი დიდი გულის დაფასებას. ვაი, რომ ეს ეგ ზომ ძნელია და მხოლოდ პატივისცემით და თაყვანით გამოვხატავთ შენს სიყვარულს და თანადგომას...

აჰა, შენი იუბილეს!..

გილოცავ დაბადების დღეს, დღეს, რომელმაც საუკუნეები უნდა აითვალოს იმისთვის, რომ ჩვენ შენს გვერდით ვიყავით ჭირსა და ლხინშიც, რომ შენ გადაგვატანინე ბევრჯერ სამშობლოსათვის რთული პერიოდები...

მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ, მრავალჟამიერ!..

**ლაშა გვასალია,
მწერალი**

ჩვენ, ტაშკინტელები...

იშვიათობაა, ბოლო ორი ათწლეულის ქართულ პოლიტიკურ კულტურაში, ისეთი გახმაურებული, დამკვიდრებული და უმნიშვნელოვანესი მისამართი, როგორცაა თბილისი, ტაშკინტის ქუჩა, ბინა №1 – ეს გახლდათ ადგილი, სივრცე, სადაც საფუძველი ჩაეყარა დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ეტაპს, რომელმაც დაულაღავი შრომითა და ღვაწებით დაქანცა, შეასუსტა მენტორი იმპერიისგან სისხლით გახელისუფლებული კრემლის მსტოვრისა და მისი გუნდისა, ხერხემლად „ავტომატებით შეიარაღებული ინტელიგენცია“ რომ ეწინააღმდეგებოდა. სწორედ ტაშკინტის 25-ის „ბინადარნი“, იგივე „აღდგომელები“, „ზანელები“ და „ჭყონდიდელები“... დაუპირისპირდნენ შევარდნაძის რეჟიმს, უკომპრომისოდ და უკანდაუხეველად, უდრტვინველად და უშიშრად... ინტელექტითა და განათლებით, სიტყვითა და მახვილით. ამ საოცარმა ალაგმა შექმნა ეპოქა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი და პუტჩს ვერ და არ შერიგებული ქართველების მამულიშვილური თავდადებისა.

„აღდგომის“, „ზანის“, „ჭყონდიდელის“, „გზახსნისას“, „ეროვნული თანხმობის“, „კარდუს“, „თვალთაის“, „მიჯნას“, „მწერლობა – XXI-ის“, „დარჩელის“, „ბიულეტენის“, „მაფშალიას“, „იალნოს“, „მზეკაბანის“, „ნოთეს“, „მადლის“, „ჟალეთის“ და სხვა გაზეთებისა და ჟურნალალმანახების დედა-რედაქცია და საგამომცემლო ცენტრი, მთელი თავისი კულტურულ-ესთეტიკური სისავსით, შეურიგებლად დაუპირისპირდა კომპრომირებული ინტელიგენციის მიერ დამოუკიდებლად თუ მთავრობის ხარჯებითა და მფარველობით შექმნილ ბეჭდურ ორგანოებსა და ელექტრონულ მედიასივრცეს.

„შევარდნაძის მწერალთა კავშირის“ საპირნონედ, ლეგენდარული გაზეთის „აღდგომის“ რედაქციასთან და გამომცემლობა „ზანთან“ შეიქმნა თავისუფალ მწერალთა და შემოქმედთა კავშირი. დაარსდა ლიტერატურული სალონი „მერმისი“ და ა. შ. ამ საოცარ კედლებში დაფუძვნილებდნენ შემოქმედებითი წვითა და მამულიშვილური სიყვარულით გულანთებული უდიდესი ქართველები, დიდი ზვიადისა და



მერაბის თანამებრძოლები, ბატონები: მიხეილ ჩაჩუა, მამუკა ნიკლაური, რენე კალანდია, ნოდარ ჯალალონია, ედიშერ გიორგაძე, აპოლონ ჟორდანიას, ქიშვარდ ისაკაძე, ომარ გოჩელაშვილი, დილარ ივარდავა, კლიმენტი ლაგვილავა, კარლო ჯანაშია, გიორგი გაჩეჩილაძე, გიორგი სიჭინავა, ედემ კვიციანი, ზაურ ქობალია, ნუგზარ (ჭიჭე) გაბელია, თამაზ ახალაია და სხვები... ქალბატონები: ირინე ტალიაშვილი, ბელა შალვაშვილი, თინათინ მღვდლიაშვილი, ლია ანდლულაძე, იუნონა აფაქიძე, ეთერ მგალობლიშვილი, ეთერ ხუბუა, სევდია უგრეხელიძე და სხვები... ამ ღვთისმშობლისადმი აღმართული ადამიანების დიდი ნაწილი გარდაცვლილია და ზეციური საქართველოდან გადმოგვყურებენ.

განსაკუთრებული ტკივილით ვიგონებთ ბატონებს: რეზო ურუშაძეს, იოსებ პატარაშვილს, გელა ნიკურაძეს და სულ ახლახან გარდაცვლილ გოჩა ბიჭაშვილს...

ყოველივე ამის მენინამძღვრეები ბრძანდებოდნენ გამომცემლობის უცვლელი ხელმძღვანელი, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბრწყინვალე რედაქტორი და პუბლიცისტი ბატონი მურმან ზაქარაია და დიასახლისი ამ ისტორიული სახლისა, უშურველი მასპინძელი, გამომცემლობის ტექნიკური რედაქტორი და თვალსაჩინო მოღვაწე – ლუარა გამყრელიძე, ჩვენი ლუარა დეიდა...

ტაშკენტის №25-ში ფუნქციონირებდა გამომცემლობა, სადაც გამოცემული წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების ტექნიკურ მხარეზე ზრუნავდნენ დემნა შამათავა, მარინა ქარსელაძე, მაია გორგიაშვილი, ეკატერინე პარტენიშვილი, ირმა პაპავა, მაია ფარულავა, მაია ზაქარაია.

ამ სახლში, ამ თბილ კედლებში გაიზარდნენ, დახელოვნდნენ და დაფრთიანდნენ გამორჩეული ახალგაზრდები, რომლებსაც დღესაც გამოკვეთილი ადგილი უკავიათ ჩვენს საზოგადოებაში: კახა ქეცბაია, დავით ზაქარაია, მამუკა კაკაბაძე, თეანა ზაქარაია, ლევან ქეცბაია, თქვენი მონა-მორჩილი – ლაშა გვასალია და სხვ.

ერთი აღმოსავლელი ბრძენკაცი ლოცვებში მუდამ იმას შესთხოვდა ზეცას, საინტერესო ეპოქაში ცხოვრება აერიდებინა მისთვის. ჩვენ ვიცხოვრეთ და ვცხოვრობთ მეტად საინტერესო ეპოქაში, რომელიც გამოირჩევა: ღალატით, უმადურობით, სიფლიდით, სიძულვილით, კონფრონტაციით, დაპირისპირებებით, ომებით,

სიკვდილით... თუმცაღა მას ენინამძღვრება უდიდესი ალტყინება თავისუფლებისა, სამშობლოსათვის თავდადებისა და მამულიშვილური სინრფელისა...

ჩვენ ვინვნიეთ გმირების დახოცვასთან ერთად, ციხეები და ჯურღმულები, დევნა და თვალთვალი, სიკვდილისთვის თვალეში არაერთგზის ჩახედვა და ა. შ. არ შემიძლია არ გავიხსენო ზამთრის ერთი სუსხიანი დღე, სტამბის მამბარი „კაკებეს“ თანამშრომლების შემოვარდნა რედაქციაში, დარბევა, ყველაფრის აბურდ-დაბურდვა, იატაკიდან პარკეტის აყრა – საბეჭდი დაზგების ძებნის მიზეზით... იქნებ ცეცხლსასროლ იარაღსაც ეძებდნენ... „მოძებნიდნენ“ კიდეც, ე. წ. დადება თუ ჩადება მათი მოგონილი იყო, რომ არა შიში ჩვენი მრავალათასიანი მკითხველებისა.

საზოგადოებამ დიდებულად უწყოდა, რას წარმოადგენდა მურმან ზაქარაია, როგორც მიხეილ ჩაჩუა წერდა, როგორი მართალ-ქართველებიც იყვნენ „ტაშკენტელები“ და არავის შეარჩენდნენ მათ დაპატიმრებას, თუმცა არცერთ ჩვენთაგანს არ აგვცდენია დამცირება და თავისუფლების გარკვეული დროით შეზღუდვა.

ჩვენ გავხდით მსხვერპლნი ჩვენივე უმართლესი პოზიციისა: ჩვენ გახლდით საქართველოს სახელმწიფოებრიობის ოპოზიციის – ოპოზიცია! – ეს არ გვაპატიეს!

შევარდნადისთვის მურმან ზაქარაიას მიერ პირში მიხილილი მუქარა: „ჩვენ წავალთ, დავიხოცებით, მაგრამ შენ სამარეში თან ჩაგიყოლებთ“... – ეს არ გვაპატიეს და დავრჩით ყოველგვარ სახელმწიფოებრივ სიკეთეს მოკლებულნი, მატერიალურად შევიწროებულ-დაჩაგრულნი, მაგრამ სულიერად გაუტყეხლნი, ამაცნი და იმ რწმენით ამალღებულნი, რომ ეს გზა, უთუოდ გამარჯვებამდე მიგვიყვანდა, სიმართლისა და სინათლის ტაძრამდე.

ყველაზე უფრო დიდი, ჩვენ ვისწავლეთ სოციალური იძულებისგან განთავისუფლება და აზროვნებითი თვითგვემით სამშობლოს სადარაჯოზე მუხლჩაუხრელად დგომა. მიუხედავად უამრავი პრობლემისა, ნუხილისა და ტანჯვისა, არასდროს არც ერთ ჩვენგანს არ დაგვიკარგავს ღვთაებრივი ნათელი, სამშობლოს წინ საკუთარი თავი არასდროს დაგვიყენებია. ღმერთი, სამშობლო, ინდივიდი – ეს გახლდათ ჩვენი ღირებულება, რამეთუ ჩვენი რწმენით, პიროვნებაზე მაღლა იდგა სამშობლო, სამშობლოზე მაღლა კი – ღმერთი!..

„ტყუილი სუფი“...

დღესაც მენატრება ლუარა დეიდას ტყუილი სუფი, გაროხისგან უგემრიელესად მომზადებული წვნიანი, რომელსაც ისე მადიანად შევექცეოდით, თიმთიმა ხორციტა და ათასგვარი სანელებელ-პილპილოებით ათუხთუხებულ ბორშის მხვრეპავებსაც რომ შემურდებოდათ (მაშინ გამგებლები მადა, დღემდე ერთგულად და უღალატოდ მომყვება და მეტყობა კიდეც! – ეს ისე, ხუმრობით).

მახსოვს, 1995 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების სუფრა რომ მომიწყო მშობლიურმა რედაქციამ ბატონი მურმანის ხელმძღვანელობით, შეზარხოშებული ახალგაზრდა, როგორ ჩამისვეს მანქანაში უცხო ბიჭებმა და როგორ სცადეს ჩემი „დავეროვკება“ ათასი დაპირებითა და შეპირებით. თუმცა, როგორც ყოველთვის, ახლაც ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში და მსგავსი ზენოლები თითქმის ყველა ჩვენი თანამშრომლისა და თანაგუნდელის წინააღმდეგ ხდებოდა, მაგრამ, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, არავის უღალატია ფიცისთვის და ჩვენზე მშობელივით გადაფოფრილი „ტაშკენტი 25“-სთვის.

ყველა სიკეთესთან ერთად, ამ საოცარ ალაგში ვისწავლეთ ისიც, რომ ვერანაირი საზოგადოება ვერ შესძლებს, საკუთარი ცოდნის მომავალი მდგომარეობის მეცნიერულ პროგნოზირებას. ამიტომაც „ტაშკენტელები“ – ვიყავით და ვართ მოზომილები და თავმდაბლები. გამოგვიშავდა, როგორც შემოქმედებს, შორეულსა და აბსტრაქტულზე მეტად და ღრმად, დავინახოთ და განვიცადოთ ის, რაც ჩვენს თავს, ჩვენს ირგვლივ ხდება და ვიყოთ განუყოფელი იმ სოციუმისა, სადაც გვიხდება მოღვაწეობა.

უნამუნო წერს: „არც ერთ ადამიანს არ ღირსება ორჯერ, ორ სხვადასხვა ქვეყანაში ბავშვობის განცდა. ბავშვობა მხოლოდ ერთხელ და ერთ ქვეყანაში შეიძლება განიცადო. მერე კი ყოველნაირად უნდა ეცადო, როგორმე შეინარჩუნო იმ ქვეყანაში შენი ბავშვად ყოფნის დრო, რათა გახდე პოეტი, რადგან პოეტი ის, ვის სულსაც ყველაზე მეტად მსჭვალავს ბავშვობის მოგონებები“. – დიახ, ჩვენ, რედაქციელებს, სიყმანვილის კეთილად დამვარგებელი ერთადერთი სივრცე გვქონდა, ჩვენი რედაქცია, როცა სამყარო, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ვარდისფერი იყო, ცა გამოკვეთილად ცის-

ფერი, ადამიანს ადამიანის ფერი ედო, ღიმილი საოცრად უხდებოდა... აი, მერე, მერე კი დაინგრა, გადასხვაფერდა, ჩამრუმდა და ჩამრუმებრივად ნამეტანი საკაცეთი. შურმა და სულმოკლეობამაც გამოაჩინა თავისი საცეცები. არსენას ლექსი გამახსენდა: „ფარსადანს ასე ეგონა, ჩინს მომცემენ, ტემლაკებსაო“. მაგრამ: „იმდენი მამა უცხოხონდა, რამდელიც იმას მისცესა, ერთი ოთხიოდ პანლური ამოჰკრეს და გააგდესა“... იყო ასეთი შემთხვევები და არცთუ იშვიათად!..

იყო და არის ასეთი სიტუაციებიც: „ზოგი ძალიან აფასებს რობესპიერს, ზოგი – არა, ზოგს უყვარს კრომველი, ზოგსაც – არა... სერგო ორჯონიკიძე ზოგის თვალში საქართველოს განმათავისუფლებელია მენშევიკური დიქტატურისგან, ზოგისთვის კი ერის გამყიდველი...“ – ეს ყველაფერი თითქმის უშეცდომოდ გავიარეთ. ჩვენს თვალწინ ასევე არაერთი უმადურობის ყვავილი ამოიზარდა, რამაც არაერთხელ ჩავვაგდო შოკში. გულის მთავარი ძარღვი კინაღამ ჩაგვწყვიტა, რამეთუ, არაფერია უმადურობაზე უსაძაგლესი, კაცუნასავით პატარა, მაგრამ ამას არასდოს შეუჩერებივართ, სულ წინ და წინ მივიწვევით. თუმცა, ჩვენ რა უნდა გაგვიკვირდეს, გავიხსენოთ ათი კეთროვანი, რომლებიც უფალმა განკურნა – მათგან მხოლოდ ერთი დაბრუნდა მაღლობის სათქმელად. ასე რომ, ვიცით, ყველაფერი ვიცით...

სიზმარი

ხშირად მესიზმრება ტაშკენტი 25, ძილთაშორის ათას რამეებს და ვინმეს ვნახულობ. ამასწინებზე ასეთი რამ ვიხილე, ძველი დროა, ვითომცდა, არა – შუქი, არა – გაზი, არა – ბევრი რამ სასიკეთო. ვუსხედვართ თუნუქისა და ქურჩა-ქურჩა ნაგროვები ტოტებითა და ფიცრის ნარჩენებით გათარანებულ პანანინა ლუმელს, ამ დროს ჩვეული სიფრთხილით, შემოკუსკუსდა ეთერი დეიდა და მისეული გულუხვობით დაგვირიგა ყველას „მიატნი“ კამფეტები. მერე, წასვლის წინ, ღია კარებიდან შემოიხედა და უთბილესი ღიმილით დაგვემშვიდობა.

ყველაზე მეტად, ლუარა დეიდას ვნახულობ, არ მოსწონს, ბევრს რომ ვსვამ, ხშირად რომ ვქეიფობ და რავი, ბევრი რამე არ მოსწონს ლუარა დეიდას, მაგრამ ვუყვარვარ და მპატიობს ყველაფერს. ეს ცხადშიც ასე იყო დღენიადაგ

და ასეა ახლაც, მპატიობს მიუსვლელობას და უნახაობას... სიმორესა და მონატრებას...

ეროვნული ცხოვრების დრამაში, დროდადრო, იკვეთება ეპიზოდები, რომლებიც შემდგომ ჩვენს ცნობიერებაში მისტერიის ანასხლეტის სახით კრისტალდება. იმდენი რამეა გასახსენებელი და მოსაგონარი, იმდენი რამეა მოსაყოლი და დასაწერი, ყველაფერს დრო და ასკეტური ნებისყოფა სჭირდება.

ეროვნული თანხმობა...

ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ნაბიჯს, უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც საზოგადოების, ისე პოლიტიკურად მეტად ურთულეს მდგომარეობაში მყოფი ხელისუფლების მხრიდან. დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დეფიციტის პირობებში, ეროვნულ თანხმობას უნდა დაეწყო სტაბილიზაციის დამყარება. აქ კი აუცილებელი იყო მხარეებს – არსებულ ხელისუფლებას და პუტჩის ძალით გადაყენებული კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასევე სხვა კონფრონტაციულ ჯგუფებსა და ელემენტებს დაეძლიათ სოცია-

ლური და პოლიტიკური შურისძიების იდეა. ეს როგორ სირთულეებთანაც იყო დაკავშირებული, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ძვირფასი მკითხველისთვის. პუტჩის შემდგომი საქართველო, ხუთგზის დალაშქრული სამეგრელოთი, „მხედრიონის“ თარეშით ანიოკებული აღმოსავლეთ-დასავლეთით, დამარცხებული აფხაზეთითა და სამაჩაბლოთი, დევნილი, გაუზბედურებული ხალხითა და უმძიმესი სოციალური პირობებით სასონარკვეთამდე მისული საზოგადოებით...

ახალ ქმედებებს უნდა დაემტკიცებინა, რომ თავისი არსით ეროვნული თანხმობის პოლიტიკას, როგორც დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის მოვლენას, მისი მნიშვნელობისა გამო, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული თანაცხოვრების მიმართულებით უმთავრესი ადგილი უნდა დაეკავებინა.

დაიწყო ახალი და გადამწყვეტი ერა ეროვნულ მოძრაობაში, აქაც ფლაგმანი და მენინავე, რომელმაც თავის თავზე აიღო კონტროლი ყველაფრისა, ტაშკენტის 25-ის პოლიტიკური სივრცე გახლდათ. ახალ მოძრაობას „ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირს“ სათავეში ჩაუდგა კანონიერი



ხელისუფლების ვიცე-პრემიერი და ფინანსთა მინისტრი ბატონი გურამ აბსანძე, პოლიტიკურ საბჭოში შევიდნენ უზენაესი საბჭოს წევრები, ბატონები: ნემო ბურჭულაძე, რობერტ პეტრი-აშვილი, ზაურ ქობალია, ვალტერ შურღია, გია მამფორია, ასევე, გიორგი გაჩეჩილაძე, მურმან ზაქარაია, დავით სოკოლოვი, მანგულ ხუბუა, სოსო ლავილავა, გუჯა მესხია, ზაურ კვარაცხელია, გია თავზარაშვილი, გოჩა ბიჭაშვილი და სხვები... წარმმართველი ძალა და საყრდენი ტაშკენტის 25 და რედაქციელები იყვნენ, სწორედ ამ ჯგუფის დამსახურება იყო, ეროვნული თანხმობის კონცეფციის იდეური მომზადება, პოლიტპატიმრებისა და საქართველოდან დევნილი ადამიანების გასათავისუფლებლად და სამშობლოში დასაბრუნებლად ქვეყნის მასშტაბით საპროტესტო, მათ შორის შიმშილობის აქციების გამართვა, რომელმაც ქვეყანას მოუტანა ისტორიული – 20 აპრილის (2000 წლის) დადგენილება.

ყველაფერი მიდიოდა ჭეშმარიტად დიდი ეროვნული შერიგებისკენ, დიდი გაერთიანებისკენ, მაგრამ „ვაი-მწყემსებს, რომელნიც ღუპავენ და ფანტავენ ფარას“. (იერემია 23-1).

და ყველაფრის აღწერა, თუ როგორი ბრძოლები და წვალეზა გადავიტანეთ ამ დიდ გზაზე, რთულია, მით უფრო, შემოთავაზებულ ფორმატს სცილდება, მაგრამ იშვიათად ვყოფილვარ ასეთი ნაღვლიანი, სიხარულიანი, ბედნიერი და წუხილყოფილი... ჩემს გონებაში გაცოცხლდნენ უნიკალური სურათები და ფაქტები არცთუ ისე ახლო წარსულიდან...

ძალიან ბევრი ადამიანი გამომრჩა, რომელთა გვერდიგვერდ გავატარე ჩემი ცხოვრების უნიკალური წლები... აი, თვალწინ დამიდგნენ: ბატონები: ვალერი გაბელია, ზური კვარაცხელია, მერაბ ჩუხუა, დავით გიორბელიძე, ზაურ და ზაზა ჩქვანავეები, ზურაბ გუჩუა, სოსო ყვანია, დათო შამუგია, პეტრე ნაჭყებია, ანზორ გვარამია, ანდრი (ბუჭა) სანაია, ზაურ და გურამ მოლაშხიები, ზურაბ ცხონდია, ჯამბულ არქანია, როლანდ და გურამ მაქაცარიები, ინდიკო ქობალია, ჯამბულ ბოკუჩავა, როზენ ლატარია, ჯემალ (ხვიხვი) ნადარაია, ბიჭუნა ნადარაია, ნოდარ ხურცია, ზური ბუკია, ზურაბ კვარაცხელია, მალხაზ აბურჯანია, გოჩა ქაჯაია, ლევან ჯანჯღავა, როლანდ ჯიქია, ბადრი კვაშილავა, მანანა შამათავა, დოდო ბერაია, დალი გერგაია, ნინელი კოდუა, გერონტი წულაია, მოგელი აბაკელია, გოჩა, კახა, მერაბ არაჩემიები, გელა წურწუშია, მარინა რუხაძე, ნაირა ბერაია, ნანი სალაყაია... სხვები, სხვები და სხვები... (მომიტევოს ყველამ, ვისი ვინაობაც ამ წამს გონებიდან ამომივარდა).

ჩემო ძვირფასო ლუარა დეიდა, მიყვარხარ, მიყვარხარ და მიყვარხარ...

მენატრები, მენატრები და მენატრები...

გილოცავ, მრავალჟამიერ და მრავალჟამიერ...

ჰო, კიდეც, „გააკეთე დღეს ის, რაც სხვებს არ უნდათ. ხვალ იცხოვრებ ისე, როგორც სხვებს არ შეუძლიათ!“ დღეს ვარ, ვცოცხლობ, აი, ხვალისას ვინ იტყვის, გარდა უფლისა, დიდება მის სახელს!...



რობერტ ჰეტიანიანი

ერთი „უმნეო“, უმნივლო მოციმციმე სხივი

ნარმოვიდგინოთ... ვარსკვლავის სხივი, მოდის სამყაროს უსასრულო სივრციდან, – წერს ლვანლმოსილი მამულიშვილი ბაჩანა ბრეგვაძე, - გამოივლის ფანტასტიურ მანძილს, სინათლის წლებით რომ იზომება... ეს სხივი ინარჩუნებს თავისი პირვანდელი სამშობლოს ხსოვნას კი არა მარტოკა, მის თვისებებს, მის სუბსტანციურ რაობას.

თქვენ წარმოიდგინეთ, სხივი, ერთი უმნეო მოკანკალე სხივი, ლაპარაკობს ძალიან ბევრ რამეს არა მარტო ვარსკვლავების ზედაპირზე, არამედ მათ სიღრმისეულ შრეებზეც.

ბატონი ბაჩანას ამ სიტყვებში იმ გაცემებისა და მონინების გაგრძელება გამოსჭვივის, კანტს რომ ჰქონდა ვარსკვლავებით მოჭედილი ცის მიმართ. დიდებული დაკვირვებაა, საოცრად დახვეწილად და ემოციურად გადმოცემული... თუმცა მისმა ამ ჩანანერმა ჩემში, ამჯერად, სხვა ფიქრი აღძრა, რომელიც აზრად ჩამოყალიბებას ლამობს...

მაკროკოსმოსში „ერთი უმნეო მოკანკალე სხივის“, რომელიც სამშობლოს სიღრმისეული შრეების სუბსტანციურ რაობას ინარჩუნებს და, ალბათ უკუზემოქმედებასაც ახდენს, ანალოგიით თუ შევხედავთ ჩვენი იუბილარის, ქალბატონი დოდო-ლუარას ცხოვრებას და მოღვაწეობას, როგორც ეროვნულ-განმათავისულებელი მოძრაობის ერთი „უმნეო“, უმნივლო მოციმციმე სხივის გამონათებას და მის ანალიზს შევეცდებით, ვნახავთ, რომ არანაკლები იდუმალებით მოცულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ოღონდ ახლა უკვე საზოგადოებაში – მცირე კოსმოსში უხსოვარი დროიდან ეროვნული ენერჯის ათინათით ნასაზრდოები და გაციისკროვნებული გრძნობებით აღსავსე მისი სული, როგორ უცვლის აზრსა და დანიშნულებას პატარა მოკრძალებულ სივრცეს – საკუთარ ბინას.



თითქმის სამი ათეული წელია, რაც ქალბატონ დოდო-ლუარას სახლში შეენნა და შეესისხლხორცა „ტაშკენტის 25“-ს ერთმანეთის გარეშე თითქოს აღარც კი არსებობენ...

თქვენ წარმოიდგინეთ, იყო დრო, როცა ტაშკენტის ქუჩა №25 კორპუსის არსებობა იქ მცხოვრებთა, მათი სანათესაოსა და საახლობლოს მეტმა არავინ იცოდა... და აი, 1992 წლის სექტემბრის ერთ „მშვენიერ“ დღეს როცა სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დამხობილი ეროვნული ხელისუფლების მომხრეთა მიერ ფარულად, იატაკქვეშეთში გამოცემული გაზეთი „ქართული აზრი“ უნდა მიეტანათ „განმანაწილებელ პუნქტში“

– საამშენებლო სამინისტროს შენობაში, შენობა პუტჩისტების მიერ ბლოკირებული აღმოჩნდა. შემდგომი მოქმედებისათვის სასწრაფოდ საჭირო იყო ახალი ადგილის მოძებნა. ქალბატონი ლუარა არც კი დაფიქრებულა, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, შექმნილი ვითარებით შენუხებულ თანამებრძოლებს საკუთარი საცხოვრებელი ბინა შესთავაზა...

აი ასე, ერთი მხრივ, შემთხვევითობის წყალობით, ამასთან ქალბატონი ლუარას გადაწყვეტილებით, მტკიცე ნებით სიტყვით იშვა ახლა უკვე მრავალთათვის კარგად ცნობილი „ტაშკენტის 25“.

„ტაშკენტის 25“-ს არსებობის 27 წელი უსრულდება. ამ სამყაროში ყველაფერს აქვს თავისი დაბადების და განვითარების პერიოდები. როგორც უკვე ითქვა, მისი დაარსება მთლიანად ჩვენი დოდო-ლუარას ნებელობით მოხდა და შემდგომაც არ მოჰკლებია მისი მზრუნველი ხელი, მაგრამ იმაში, რასაც „ტაშკენტის 25“-ს დავაჟყავთ და დაღვინება ჰქვია, ათასობით ადამიანს აქვს მეტ-ნაკლები მონაწილეობა მიღებული და გასაგებია, რომ აქ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა... თუმცა, როცა „ტაშკენტის

25“-ზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს მურმან ზაქარიას როლი და საქმიანობა. „ტაშკენტის 25“-ში მისი აქტიურად ჩართვით ახალმა სიომ დაბერა. მისი ფუნქცია უფრო მრავალფეროვანი, მასშტაბური და ნონადი გახდა: ამბიციური პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნები დაისახა და ენერგიულად ჩაერთო ქვეყნის პოლიტიკურ, კულტურულ, ლიტერატურულ ცხოვრებაში... მოკლედ „ტაშკენტის 25“ თავისი მოკრძალებული მასშტაბებით და შესაძლებლობებით დიდი „სასახლეების“ ჭიდილში ჩაება და ხელშესახები შედეგებიც ჰქონდა.

საზოგადოების დამოკიდებულება „ტაშკენტის 25“-სა და მისი შემოქმედების მიმართ ყველაზე კარგად ხალხში გავრცელებულ ეპითეტებშია გამოხატული. „ერის საუკეთესო შვილთა თავშესაფარი“, „ეროვნული მოძრაობის უცვლელი მარადიული სახლი“, „ბოროტებასა და ტირანიაზე გამარჯვების სიმბოლო“, „ღირსეულ ქართველთა სავანე“; „ეროვნული მოძრაობის ოაზისი, ტაძარი და სამლოცველო“... ქალბატონი დოდო-ლუარა კი ამ დიდი, მარადიული სახლის დედად და ქალბატონად, ყველა ამ სიკეთის დედაშემოქმედად იწოდება.

ახლა წერილის სათაურად გამოტანილ ჩვენს ქალბატონი დოდო-ლუარას ხატოვან დახასიათების დროს შექმნილი მართული ქაოსის პირობებში, როცა დემოკრატიის სახელით მთელ ქვეყანაში სისხლის გუბეები დააყენეს, როცა ძარცვა-გლეჯვა, ავაზაკობა, კაცის კვლა ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა და ძალადობით მოსული ხელისუფლების დემოკრატიული ინსტიტუტები დაუმორჩილებლობის ყოველგვარ გამოვლენას სასტიკად სდევნიდნენ. ერთი შეხედვით უმწეო, მაგრამ უმნიკვლო სხივი,

რომელიც როგორც ზემოთ ითქვა, ეროვნული ენერჯის ათინათით ნასაზრდოები და გაცისკროვნებული გრძნობებით აღსავსე სულით დგამს თავგანწირულ ნაბიჯს, გარეგნულად ამ უმნიშვნელო ნაბიჯმა ტაშკენტის ქუჩის ერთი პატარა ნაწილის რკინაბეტონის ცივი კედლები გაათბო და გაასხივოსნა. გამოარჩია სხვა მსგავსი ათიათასობით ნაგებობისაგან და ახალი სიცოცხლე შთაბერა-შექმნა „ტაშკენტის 25“.

ახლა თუ თქვენს ფანტაზიას და ოცნებას მოვუხმობთ და ასეთ „უმწეო“ სხვებს ერთად, ერთ კონად შევკრებთ, აღორძინებული, ბედნიერი საქართველოს კონტურებიც გამოჩნდება.

ამ ოცნების განხორციელებას სჭირდება ძალიან მარტივი და ერთი შეხედვით იოლად მისაღები, მაგრამ ძნელად აღსასრულებელი მცნება: გიყვარდეს სამშობლო საკუთარ თავზე მეტად.

ეს შეძლო ქალბატონმა დოდო-ლუარამ. არა მარტო იმ ნაბიჯით, რომელზედაც ამდენი ვილაპარაკე, მან ეს შეძლო თავისი ცხოვრების წესით...

შემთხვევით არ არის მის ბინაში ზვიადისა და მერაბის სურათები სალოცავი ხატებივით... მათი წარმმართველი ძალა ხომ სამშობლოს ყოვლისმომცველი სიყვარულია. არაერთგზის აღნიშნულა: სამშობლოსადმი მათი დამოკიდებულება იმდენად უანგარო და ისეთი უმნიკვლო იყო, უფლისადმი თაყვანისცემას ემსგავსებოდაო. იდეოლოგიური მოწინააღმდეგეები და მომხრეებიც მათ პატრიოტიზმში რელიგიურ მოტივებს ხედავდნენ. ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ „ტაშკენტის 25“ ტაძრად და სამლოცველოდ მოუხსენებიათ, რომლის კედლებიდან მაცხოვრებელი მირონი ჟონავსო.

2019 წ. 15 აგვისტო



უჩა ოქროპირიქა

ბათუმური ქალისხმევა



1988 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ორჯერ ეწვივნენ ბათუმსა და აჭარას და ამ რეგიონშიც გამოაღვიძეს, ახალი სული შთაბერეს კომუნისტური მმართველობის მიერ ფერფლნაყრილ, თითქმის საბოლოოდ მინავლებულ ქართულ ეროვნულ ძალისხმევას; გამოაცოცხლეს და აქ ისევ ცეცხლად ააბრიალეს ეროვნული სულისკვეთება და საერთო ქართულ მოძრაობას ახალი, მძლავრი ნაკადი შესძინეს აჭარიდან.

იქამდე კი, 1988 წლის 10 დეკემბერს აჭარის მაშინდელმა ხელისუფლებამ ჩაქვსა და ბათუმში სასტიკად დაარბია ეროვნული მოძრაობის აქტივისტები, ხოლო იმავე წლის 12 დეკემბერს სცადა თავისი ეს ვანდალური ნაბიჯი მოენონებინა აჭარის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში შეკრებილ აჭარის საზოგადოების ე. წ. აქტივის კრებას, მაგრამ აჭარის პროგრესული ინტელიგენციის აქტივობის შედეგად აღნიშნულმა მცდელობამ სასტიკი კრახი განიცადა.

ამის შემდეგაც აჭარაში დღითი დღე გაძლიერებულ ეროვნულ ძალებს ადგილობრივი კომუნისტური მმართველობის არაერთი პროვოკაციული ჩანაფიქრისა და ქმედებების განეიტრალება მოუხდა, რომლებიც ცდილობდნენ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაც მხარში ამოეყენებინათ საქართველოში ანტიქართული სულისკვეთებით ხელოვნურად დამუხტული

სხვა ავტონომიური ფორმირებებისათვის და მათთან ერთად შეექმნათ საქართველოს წინააღმდეგ ერთიანი ანტიეროვნული ფრონტი.

აჭარაში მოქმედი ეროვნული ძალების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კომუნისტურმა კოლაბორაციონიზმმა აჭარაში ეს ვერ შეძლო, – ქართულმა ეროვნულმა ძალისხმევამ მოახერხა, საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულთა ხელიდან გამოეგლიჯა აღნიშნული კუთხე და, პირიქით, იქით მიიტანა იერიში პროკომუნისტური პროვოკაციების ორგანიზატორებზე.

აჭარა და ბათუმი არასდროს დაივიწყებს 1989 წლის 26 მაისისა და 3 ივნისის ხალხმრავალ აქცია-მანიფესტაციებს, რომლებზედაც პირველად დაისვა საკითხი აჭარის ავტონომიის სტატუსის შეცვლის შესახებ; 1990 წლის 5 მაისს იგივე საკითხი უკვე ოფიციალურად დაისვა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე. ხოლო როდესაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველმა კომუნისტურმა ნომენკლატურამ თავისი მხარდამჭერი ძალების გენერალური დათვალიერება გადაწყვიტა, საქართველოს ხელისუფლებაში ახალმოსული ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ასამოქმედებლად და აჭარის მთიანეთიდან ბათუმში მოტყუებით (თითქოს აჭარას აუქმებდა ვინმე, მუსულმანების ძალად გაქრისტიანებას უპირებდნენ, მათ სალოცავებს კი – დაკეტვას და სხვა) ჩამოიყვანა 3 ათასამდე ქართველი მუსლიმანი. აჭარაში მოქმედ ეროვნ-

ნული მოძრაობის ძალთა წარმომადგენლებმა, პირდაპირი მნიშვნელობით, კუდიტ ქვა ასროლინეს ამ სამარცხვინო აქციის ორგანიზატორ ავანტიურისტ-პროვოკატორთა ხროვას და სათანადო ახსნა-განმარტებითი გამოსვლების შემდეგ ზემო აჭარის მუსლიმთა აღნიშნული ერთობა მხარში ამოუდგა ეროვნული მოძრაობის მიერ წამოყენებულ ლოზუნგებს და ამ აქციაზე ხმა მისცა ეროვნულ ძალთაგან შემდგომულ რეზოლუციას. თუმცა ამის შემდეგ ადგილობრივმა რეაქციამ ყველაფერი იღონა რევანშის ასაღებად, რითაც ისარგებლა ხელისუფლებაში ახლად მოსულმა ასლან აბაშიძემ და შეძლო თავისი ხელისუფლების განმტკიცება აჭარაში.

საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ აქ დამდგარი დიდი ლამის შედეგად, აჭარაშიც 1992 წლის შემოდგომაზე შეიქმნა საქართველოს ეროვნული ხსნის კომიტეტი, ხოლო 1993 წლის მარტის დასაწყისში „კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება“, იმავე წლის 21 მარტს კი – „ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა ჭყონდიდელის“ აჭარის სამხარეო ორგანიზაციები, რომელთაც გააჩაღეს შეუპოვარი ბრძოლა საქართველოში ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების აღსადგენად. ქალაქ ბათუმში მიმდინარეობდა ხშირი აქციები კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით, ათას ხუთასმა მანიფესტანტმა ბათუმის ბულვარში განთავსებულ 9 აპრილის მემორიალთან დადო ფიცი, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებდნენ საქართველოში ედუარდ შევარდნაძის უკანონო რეჟიმის წინააღმდეგ. პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდიდელის“ წარმომადგენლები აჭარიდან აქტიურად მონაწილეობდნენ ზუგდიდსა თუ საქართველოს სხვა ქალაქებში ჩატარებულ ანტიშევარდნაძისტულ გამოსვლებსა და ღონისძიებებში. მათვე აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1993 წლის ივლისის საქართველოს უზენაესი საბჭოს ზუგდიდის სესიების მომზადებასა და ჩატარებაში.

ზვიად გამსახურდიას მკვლელობისა და ეროვნული ხელისუფლების დამარცხების შემდეგ ეროვნული მოძრაობის ძალთა აღორძინების საქმეს ისევე თბილისი ჩაუდგა სათავეში

და მასში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა თბილისში, ტაშკენტის ქუჩის 25 ნომერში, ლუარა გამყრელიძის ბინაში განთავსებულმა ცენტრმა, სადაც ქართული ეროვნული საქმისათვის თავდადებული ეს ქალბატონი ყოველგვარი ანგარების გარეშე გვიქმნიდა საჭირო გარემოსა და პირობებს ჩვენი მუშაობის წარმატებით გაშლისათვის. აქ იგეგმებოდა ეროვნული სულისკვეთების სათანადო აქციები, მზადდებოდა და გამოიცემოდა ჟურნალ-გაზეთები, იბეჭდებოდა სხვადასხვა წერილი და სტატია და ა. შ. აღნიშნულ ცენტრს მიუძღვის უდიდესი წვლილი 1996 წლის 9 აპრილის თბილისის 50-ათასიანი აქციის მომზადებასა და ჩატარებაში, როდესაც ეროვნული მოძრაობის ძალებმა წარმატებით გაარღვიეს, მაშინ კარგად ცნობილი, მღებრიშვილის სპეცრაზმის „კორდონი“ და, შეიძლება ასე ითქვას, მთავრობის სასახლის წინა მოედნიდან, პირდაპირი მნიშვნელობით, ახვეტეს სამთავრობო ფარისეველთა „სამგლოვიარო მიტინგის“ წარმომადგენლები ზურაბ ჟვანიას მეთაურობით. ამას მოჰყვა ამავე ძალთა მიერ ორგანიზებული იმავე წლის 26 მაისის თბილისის ხალხმრავალი მანიფესტაცია მღებრიშვილის „სპეცნაზის ნაწილებთან“ მორიგი შეტაკებით (ორივე ამ აქციაში ბათუმიდან მონაწილეობდა ეროვნული მოძრაობის ცნობილი წარმომადგენელი, ან გარდაცვლილი ქალბატონი ნუნუ ქაჯაია და უჩა ოქროპირიძე. ორივე აქციის მიმდინარეობას, განსაკუთრებით პირველ მათგანს, იღებდა უამრავი ვიდეო-კამერა და სატელევიზიო არხი, მაგრამ ამ აქციების შესახებ არცერთი კადრი არცერთ ტელევიზიას არ უჩვენებია; ესეც ჩვენი თავისუფალი მედიის სახე!).

ბათუმური ძალისხმევა ქართული ეროვნულ მოძრაობის ყველა ეტაპზე თავის როლს ასრულებდა, მაგრამ მისი თბილისური აქტივობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია სწორედ ქალაქ თბილისის ტაშკენტის ქუჩის ნომერ 25-ში 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან განთავსებულ ეროვნული მოძრაობის ცენტრთან, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა თანამედროვე ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრძოლის ისტორიაში.

ბათუმი, 2019 წლის 6 აგვისტო

ჯემალ შონია

ეროვნული თანხმობის იდეა და ტაშკენტის ოცდახუთი

ლუარა (დოდო) გამყრელიძის ბინაში, ტაშკენტის ქუჩის 25-ში ამ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ერთი დღითაც არ შეწყვეტილა ბჭობა და განსჯა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეროვნულ ძალთა პასუხი ნე-ბისმიერი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენების მიმართ, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა. ამ ბინის კედლებში იმართებოდა „მრგვალი მაგიდისა“ თუ დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს, „ჭყონდიდელისა“ თუ „ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის“ სხდომები, შეხვედრები სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფთან, მათ შორის მოლაპარაკებები თვით შევარდნაძის სისხლიანი რეჟიმის წარმომადგენლებთანაც კი.

გამომცემლობა „ზანი“ მურმან ზაქარაიას ხელმძღვანელობით, მისივე გაზეთი „აღდგომა“, „ზანი“, „ჭყონდიდელი“, „ეროვნული თანხმობა“ და სხვები ოპერატიულად რეაგირებდნენ და ეხმიანებოდნენ მიმდინარე მოვლენებს კალმითაც და საქმითაც. ამ ღონისძიებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრძოლა ეროვნული თანხმობისათვის, რომლის პირველი რიგის ამოცანა იყო შევარდნაძის ჯურღმულებში დამწყვეული პოლიტპატიმრების განთავისუფლება და ამის ბაზაზე საყოველთაო თანხმობის იდეური პლატფორმის შემუშავება და პრაქტიკული განხორციელება.

ზემოთ აღნიშნული მოლაპარაკებებიც მოძალადე ხელისუფლების წარმომადგენლებთან პოლიტპატიმრების განთავისუფლების საკითხზე მიმდინარეობდა. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავე და აქტუალური გახდა იმ სამხედრო ოპერაციის შემდეგ, რომელიც კანონიერი ხელისუფლების მომხრეებმა განახორციელეს ე. შევარდნაძის წინააღმდეგ 1999 წლის თებერვალში. ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ „ტერაქტად“ შერაცხული ამ აქტის მონაწილენი საპატიმროებში აღმოჩნდნენ, დააპატიმრეს აგრეთვე ზ. გამსახურდიას ხელისუფლების ვიცე-პრემიერი გურამ აბსანძე. გაძლიერებული ტერორის ვითარებაში საჭირო იყო საპასუხო გაბედული მოქმედება. თებერვლის სამხედრო

ოპერაციიდან სულ რამდენიმე ხანში გამოვიდა მ. ზაქარაიას წიგნი „ტერორი თუ რეაქცია ტირანიაზე?“ ამავდროულად გაძლიერდა მოძრაობა პოლიტპატიმართა გასათავისუფლებლად, რაც უნდა განხორციელებულიყო კანონიერების აღდგენისა და ეროვნული თანხმობის ლოზუნგით.

ტაშკენტის 25-ში დაწყებულმა ამ მოძრაობამ უდიდესი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი შეასრულა იმაში, რომ ე. შევარდნაძისა და მისი მოქალაქეთა კავშირის მმართველობის პირობებშიც კი შესაძლებელი გახდა მიღება საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის ცნობილი დადგენილებისა, რომლის საფუძველზედაც ასობით პოლიტპატიმარი განთავისუფლდა საპრობილეებიდან და მრავალ პოლიტიკურად დევნილს მიეცა საშუალება, დაბრუნებულიყო იძულებითი ემიგრაციიდან სამშობლოში. ეს იყო ფაქტობრივი ხელისუფლების პირველი დიდი უკან დახევა ეროვნული ძალების ზენოლის შედეგად.

ეროვნული თანხმობის იდეის ხორცშესხმას რეალური პერსპექტივა გაუჩნდა 2003 წლის 23 ნოემბრის ვარდების რევოლუციის შემდეგ. ქვეყნის უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ეროვნული თანხმობის კომისიის შექმნის შესახებ, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ტაშკენტის 25-ის კედლებში, ქალბატონი ლუარა (დოდო) გამყრელიძის ბინაში დაბადებულ-დაფუძნებული ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის აღდგენის კავშირის თავმჯდომარე ბატონი გურამ აბსანძე, რომელიც ამასთან ერთად ახალ ხელისუფლებაში დაინიშნა სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ ეროვნული თანხმობის საკითხებში.

ტაშკენტის ოცდახუთში დაფუძნდა გაზეთი „ეროვნული თანხმობა“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო მურმან ზაქარაია, ხოლო ტექნიკური რედაქტორი – ლუარა გამყრელიძე. გაზეთს უნდა უზრუნველყო ეროვნული თანხმობის განხორციელების იდეურ-პოლიტიკური საფუძველები და ამას კარგადაც ართმევდა თავს.

„ეროვნული თანხმობის“ შემოქმედებით კოლექტივს შეგნებული ჰქონდა, რომ თანხმობა

საკმაოდ ძნელი, მაგრამ ერთადერთი გზა იყო საზოგადოებაში გაჩენილი მტკივნეული ბზარის აღმოსაფხვრელად და კონსოლიდაციის მისაღწევად. განვლილი წლების გამოცდილება და გაკვეთილები ნათლად მონიშნობდნენ, რომ თანხმობა ერში, ერთიანობა საზოგადოებაში სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერების საფუძველთა საფუძველი უნდა ყოფილიყო.

ეროვნული თანხმობის მიღწევა, პირველ რიგში, ნიშნავდა სისხლიანი გადატრიალების შედეგების აღმოფხვრას და შეგნებული გვექნდა, რომ ეს მოითხოვდა მრავალმხრივ, კომპლექსურ საქმიანობას. როგორც ვიცით, ვარდების რევოლუციით მოსულმა ხელისუფლებამ ძალაუფლების მოპოვებისთანავე თავის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ეროვნული თანხმობის მიღწევა აღიარა და ჩვენც ვიზიარებდით აზრს, რომ ამ ამოცანის გადაჭრა სწორედ ხელისუფლებაზე იქნებოდა დამოკიდებული.

ტაშკენტის ოცდახუთიდან საქვეყნოდ გაცხადებული ეროვნული თანხმობის იდეების სასიცოცხლო მნიშვნელობის დასტურად მიგვაჩნია საქართველოს პრეზიდენტის მ. სააკაშვილის მიერ „ეროვნული თანხმობის დეკლარაციის“ მიღება და ხელმოწერა ქაშვეთის ეკლესიაში პრეზიდენტის ინაუგურაციის მეორე დღესვე; ამ მოვლენას ახალი ხელისუფლების ლიდერთან ერთად ვესწრებოდით ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები: უზენაესი საბჭოს დეპუტატები და მინისტრთა კაბინეტის წევრები, ეროვნული მოძრაობის ლიდერები.

„ეროვნული თანხმობის დეკლარაციაში“ აღნიშნულია, რომ „საქართველოში უკანასკნელი თორმეტი წლის განმავლობაში განვითარებული ნეგატიური მოვლენები: ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, ეკონომიკის გაჩანაგება, მოსახლეობის უმძიმესი სოციალური მდგომარეობა, კორუფციის აყვავება, უკანონობა და განუკითხაობა, სამოქალაქო კონფრონტაცია სათავეს იღებს 1991-1992 წლების შეიარაღებული სამხედრო გადატრიალებიდან და კანონიერი ხელისუფლების დამხობიდან“.

დეკლარაციის მიხედვით, ახალმა ხელისუფლებამ აუცილებლად მიიჩნია, რომ:

„მიეცეს პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება 1991-1992 წლების მოვლენებს;

სრულად წარმოჩინდეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას როლი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასა და დემოკრატიზმის დამკვიდრებაში. შემუშავდეს და განხორციელდეს მისი სახელის უკვდავსაყოფი ღონისძიებები;

გამოცხადდეს ამნისტია 1991-1992 წლების მიზეზებით, შევარდნაძის ხელისუფლებასთან პოლიტიკური შეუთავსებლობის ნიადაგზე დაპირისპირებულთა, პატიმართა და ძებნილთა მიმართ“ და ა. შ.

სამწუხაროდ, მ. სააკაშვილის ხელისუფლებამ ვერ ან არ შეძლო განეხორციელებინა დეკლარაციაში აღთქმული ქართული ხალხის წინაშე, რომ თანხმობით განამტკიცებდა დემოკრატიულ სისტემას და ამ გზით ააშენებდა ერთიან და ძლიერ სახელმწიფოს. თანხმობის პროცესი შუა გზაზე შეჩერდა, ზოგიერთ საკითხში კი სულაც არ დაძრულა ადგილიდან. მარტო იმ ფაქტის მოყვანაც კმარა, რომ ერთ-ერთი პოლიტპატიმარი, ე. შევარდნაძეზე განხორციელებული თავდასხმის მონაწილე საშა ზაქარაია და კიდევ 4 სამხედრო პატიმარი სააკაშვილის ხელისუფლების პირობებშიც ციხეში იჯდა მანამ, სანამ სრულად არ მოიხადა სასჯელის ვადა. თანხმობისათვის საჭირო პროცესების უგულებელყოფის გამო გ. აბსანძემ საჭიროდ არ ჩათვალა თავის თანამდებობაზე დარჩენა; კვლავაც, როგორც შევარდნაძის დროს, ლალად გრძობდნენ თავს სისხლიანი პუტჩის მოთავენი და მონაწილენი.

ეროვნული თანხმობის პროცესის შეჩერება და მისი მნიშვნელობის შეუფასებლობა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მ. სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების დამარცხებისა 2012 წლის არჩევნებში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ მხრივ არც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას გადაუდგამს წინ ნაბიჯი. ამ ხელისუფლების დროსაც თანხმობის საჭიროებას ეპიზოდურად, წინასაარჩევნო აგიტაციისათვის იყენებენ. ეს კი, ბუნებრივია, საზოგადოებაში ნდობისა და თანხმობის დამკვიდრებისათვის საკმარისი არ არის.

ერთი სიტყვით, ის, რაც ტაშკენტის ოცდახუთში იშვა, ჩამოყალიბდა და დაკონკრეტდა ეროვნულ თანხმობასთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ ვერ აქცია საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინსვლა-განმტკიცების ეფექტურ იარაღად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თან-

ხმობის მიმართულებით განხორციელებულმა პირველმა ნაბიჯებმა მნიშვნელოვანი კვალი არ დაატყო ქვეყნის განვითარებასა და საზოგადოებაში გამეფებული მტრობისა და უნდობლობის განეიტრალებას. პირიქით, ცალკეული (თუმცა მტკივნეული, მაგრამ მაინც ცალკეული) პრობლემების გარდა, საზოგადოება და ხელისუფლება ურთიერთნდობის გზით მიდიოდნენ და ეს სვლა, ანუ ეროვნული თანხმობის შემდგომი ეტაპები რომ არ შეჩერებულიყო, დღეს ჩვენს ქვეყანაში ბევრად უფრო სასიკეთო, ბევრად სტაბილური და ჯანსაღი ვითარება გვექნებოდა.

ეროვნული თანხმობის იდეა ტაშკენტის ოცდახუთში დღის წესრიგიდან არ გამქრალა. პირიქით, იგი სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება, რადგან, როგორც დროთა სვლა გვიჩვენებს, ეროვნული თანხმობისა და ეროვნული იდეის, საქართველოსა და ქართველი ხალხის ისტორიული მისიის გათვალისწინების გარეშე ქვეყანა ვერ მიუბრუნდება განვითარების იმ სწორ და მართალ გზას, რომლისგანაც მას გადაახვევინეს 1991-1992 წლების პუტჩის შედეგად, რომლის მწარე შედეგებსაც დღემდე ვიმკით ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

ლეილა ცომაია

უანგარობისა და სათნოების მნათი...

ქალბატონ ლუარა გამყრელიძესთან ახლო და ხშირი ურთიერთობით ნამდვილად ვერ მოვიზონებ თავს და ამადაც, ბატონი მანგული ხუბუას შემოთავაზებაზე, ქალბატონი ლუარას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით დამენერა სტატია, საპასუხო პირობის მიცემა დავახანე.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ქალბატონ ლუარა გამყრელიძეს მისი საცხოვრებელი მისამართით – ტაშკენტის ქ. №25 – ყველა იცნობს და ცხადია, მეც!

ეს მისამართი უკვე იქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიად მისი ცოცხალი მემკვიდრე ქალბატონი ლუარა გამყრელიძით, რომლის სამოთახიან საცხოვრებელ ბინაში, აღნიშნულ მისამართზე იმართებოდა დიდი შეკრებები, გამოიცემოდა ეროვნული მოძრაობის გაზეთი „აღდგომა“, ინერებოდა პროკლამაციები კანონიერი ეროვნული ხელისუფლების, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას

მხარდაჭერის მოწოდებებით, აქ იგეგმებოდა მიტინგები.

ქალბატონი ლუარა არ დალლილა ამ მამულიშვილურ სიქველში, მიუხედავად დღევანდელი ხანდაზმული ასაკისა. მისი საცხოვრებელი სახლი დღესაც ეროვნული იდეების პროპაგანდისა და მატყანის შექმნის სამსახურშია წიგნების საგამომცემლო საქმიანობით. ქალბატონი ლუარა ამ იდეებით ცოცხლობს და სულდგმულობს, როგორც სამშობლოს სარანგი და ჭირისუფალი. ქალბატონი ლუარას პიროვნული უბრალოება და სინამდვილე უნებურად გაიძულებთ მოკრძალებულ დამოკიდებულებას მისდამი, რაც სითბოდ გელვრება გულში. მისი თვალეზიდან ხომ მხოლოდ სიყვარული გამოსჭვივის.

დაე, კიდევ დიდხანს ასხივებდეს ულევ სიყვარულს, ქალბატონო ლუარა, თქვენი თვალები და არ დაშრეტილიყოს იმედი მასში.



ბიორბი სიჭინავა,

მწერალი, გაზეთ „აღდგომის“ ყოფილი რედაქტორი

ჩაუქრობელი სინათლე

რაც უფრო გადის წლები, მით უფრო გვა-შორებს ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას. დროს ყველაფერი წარსულისკენ მიაქვს. ის, რაც ერთ დროს ხალხის თვალწინ ხდებოდა, თანდათანობით ბურუსში ინთქმება და ხშირ შემთხვევაში დავინწყებას მიეცემა ხოლმე. ავისმქნელებს დროის ამ მუხანათური თვისებისა და გულმავიწყობის იმედი აქვთ, იმედოვნებენ, მათი შავი საქმეებიც შავ სამოსელში გაეხვევა და ბევრი რამ წაიშლება ხალხის მეხსიერებაში; ყოველ შემთხვევაში, წარსულის შელამაზება უფრო იოლი ხდება. ამგვარი უკუღმართობის უამრავი მაგალითი გვაქვს. სიყალბე და ბოროტება უფრო აქტიურია. ის ყოველთვის იმის ცდაშია, რომ სინამდვილე არ გამოიყვანდეს, სიკეთე და კეთილი საქმეები არც აქტიურია და არც პასიური. მას არ სჭირდება არაფრის მტკიცება.

ბოლო ოცდაათი წლის მოვლენებმა ელვის სისწრაფით გაირბინეს ჩვენს თვალწინ. ისტორიისათვის ამ მოკლე დროის განმავლობაში იმდენი რამ მოხდა, რომ გადავანანილოთ, ალბათ საუკუნეებს ეყოფოდა განსასჯელად და მოსანელებლად. ეროვნულმა მოძრაობამ შეანჯღრია ქართველი ხალხის სული, რომელსაც იმპერიის ბალიშზე თავმიდებულს საღათას ძილით ეძინა. მან თითქმის დაკარგა პიროვნული მე, მაგრამ განუვითარდა არსებობისათვის ბრძოლის მეთოდები. საკუთარი ნიჭიერება მიმართა იქითკენ, რომ ეძებნა კომფორტი და ყველა ვითარებაში უკეთ არსებობისთვის ეზრუნა. აქ ყველაფერი დასაშვებია იყო: მოქრთამვა, მოპარვა, მლიქვნელობა, მოტყუება, ყალბი რიტორიკა, მოჩვენებითი პატრიოტიზმი და ერისკაცობა... ყველა ეს მანკიერი თვისება ადამიანთა უმრავლესობას ეროვნულ მოძრაობაში გადმოჰყვავს. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. საკუთარ თავს თავიდან ვერავინ იშობს, ადამიანის ბუნების და შეძენილი თვისების ერთბაშად გარდაქმნა შეუძლებელია. ძნელია საკუთარ თავში სხვა ადამიანის პოვნა და ეს შინაგანი წინააღმდეგობები სახადივით მოედო ხალხის გარკვეულ ნაწილს. მათ ახალ საქართველოში საკუთარი თავის დამკვიდრებისთვის იწყეს ბრძოლა, ბევრმა ძველებურ

ყოფას შემოავლო გალავანი და იქიდან „იცავდა თავს“. რალა დასამალია და ამპარტავნობა ოდითგანვე მოგვსდევდა, ამპარტავნობას კი გააჩნია გათიშულობის, შეუთავსებლობის, შურისა და მტრობის დამანგრეველი ძალა, რამაც ერთბაშად იჩინა თავი.

იგრძნო რა მოსალოდნელი უბედურება, სულმნათმა მერაბ კოსტავამ ამპარტავნობა ჯგუფს მოუწოდა: გიყვარდეთ ეროვნული მოძრაობა და არა თქვენი თავი ეროვნულ მოძრაობაშიო. ბევრს, ძალიან ბევრს არ აღმოაჩნდა საკუთარი მრწამსი და პრინციპი. ბევრი პოლიტიკოსი ვითარებისდა მიხედვით ისე ირწეოდა იქით თუ აქეთ, როგორც ლერწამი ქარში... აი, აქ უკვე მივაღებთ მთავარ სათქმელს! არ შეუცვლია თავისი მრწამსი და პრინციპი ქალბატონ ლუარა გამყრელიძეს. არ არსებობს საქართველოში და მით უმეტეს თბილისში, ზვიად გამსახურდიას იდეების მომხრე-პოლიტიკოსი თუ გულშემატკივარი, რომელიც ერთხელ მაინც არ იყოს ნამყოფი შემდეგ მისამართზე: თბილისი, ტაშკენტის ქუჩა, სახლი 25, ბინა 1. აქ ცხოვრობს ქალბატონი ლუარა (დოდო) გამყრელიძე. მან საკუთარი ბინის კარები ფართოდ გაუღო დევნილ ეროვნულ მოღვაწეებს, კანონიერი მთავრობის წევრებს, ეროვნული



მოძრაობის გულშემატკივრებსა და კანონიერი პარლამენტის ამომრჩევლებს. ქალბატონი ლუარას ბინის კარები ახლაც ღიაა ჭეშმარიტი პატრიოტებისათვის. სამი ათეული წელი გავიდა, მაგრამ აქ ერთხელ დანთებული წმინდა სანთელი ქართული სახელმწიფოს შექმნისა არ ჩამქრალა. აქ ისევ ცოცხლობს იმედი, კვლავაც იკრიბებიან „ზვიადისტები“, – ეროვნული მოღვაწეები. არა, ეს ინერცია როდია, რწმენა ინერციით არ ივლის. რწმენა აღმა, ღვთისაკენ მოძრაობაა. აქ პოვა თავშესაფარი შევარდნადის დამსჯელი რაზმის მიერ დევნილი გაზეთი „აღდგომის“ რედაქციამ, რომელსაც უანგარო და პირუთენელი ეროვნული მოღვაწე ბატონი მურმან ზაქარაია ხელმძღვანელობდა. ამ ბინაში ბევრი კეთილი საქმე გაკეთდა და კეთდება ახლაც. აქ იკრიბებიან მწერლები, პოეტები, ეროვნული მსოფლმხედველობის შემოქმედი ადამიანები. ქალბატონი ლუარა გამყრელიძე ეროვნული სულის დედა ტერეზაა. განა ბევრი

გვყავს ჩვენ ასეთი ეროვნული ადამიანი? განა ყველას შეუძლია შეწიროს სიცოცხლე ისეთ საქმეს, რომლისგანაც არანაირ საზღაურს არ ელის? აქ მოდის ყველა, ვისაც დღემდე შერჩა სამშობლოს სიყვარული. აქ მოდის ყველა, ვინც გზაში არ გაიფანტა, ვინც არ გადანანილდა სხვადასხვა ჯგუფში სარგებლის შოვნის მიზნით. იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ხალხი დროთა დინებას ჩამორჩა და მათი მატარებელი უკვე წავიდა. არა, ბატონებო, ვინც ასე ფიქრობთ, თვითონ ზიხართ ცოდვის მატარებელში და ამოდ იმზირებით ცინიკურად სარკმლიდან. თქვენი მატარებელი ღალატის ლიანდაგზე დგას და ჯოჯოხეთისკენ მიემართება.

ლუარა გამყრელიძეს 80 წელი შეუსრულდა. დიდხანს იცოცხლეთ, ქალბატონო ლუარა. თქვენისთანა მართალი ადამიანების მხრებზე დგას ეს ქვეყანა. თქვენისთანა მართალი ადამიანის ლოცვა მიდის ღმერთთან ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის სასიკეთოდ.



თენგიზ კუზლასვილი

**ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
შტაბბინა და მისი დიასახლისი**

ბედმა მარგუნა, 80-იან წლებში მემუშავა ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ განყოფილების რედაქტორად. ამ ჟურნალის რედაქცია მდებარეობდა ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ეზოში. მერაბის ციხიდან გამოსვლის შემდეგ ეს ეზო გადაიქცა ეროვნული მოძრაობის შტაბად!

ამ ეზოდან ხელმძღვანელობდნენ სულმნათი მერაბი და ზვიადი ეროვნული მოძრაობის ბრძოლას, რომელიც ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებზე.

მომსწრე ვარ ქართველი ერის საოცარი კონსოლიდაციისა და სულიერი ამაღლებისა. სამწუხაროდ, ასევე მომსწრე ვარ ეროვნული მოძრაობის ზიგიერთი ვითომ „ლიდერის“, ჩანერგილი აგენტისა თუ რეგვენ, უნიგნურ, ამბიციურ გაპოლიტიკოსებულთა ღალატისაც!

სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ ქართველი ერი ბრძოლას აგრძელებდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით, მიმდინარეობდა პერმანენტული საპროტესტო აქციები, მიტინგები, გამოდიოდა ეროვნული ჟურნალ-გაზეთები.....

საბედნიეროდ, გამოჩნდა დიდი მამულიშვილი, პატრიოტი ქალბატონი ლუარა გამყრელიძე, რომლის ბინაშიც გადაინაცვლა ეროვნული მოძრაობის შტაბმა.

ტაშკენტის ქუჩა, ნომერი ოცდახუთი!

ეს ბინა ყველამ იცის, ვინც კი ბოლომდე

ერთგული დარჩა დამხობილი კანონიერი ხელისუფლებისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტისა!

აქ, ამ ბინაში ჰქონდა ოფისი პრინციპების ერთგულ და მოუსყიდავ პოლიტიკურ პარტიას „ჭყონდიდელს“...

ამ ბინაში ბინადრობდა და ბინადრობს გაზეთების „აღდგომის“, „ჭყონდიდელის“, „ზანის“ რედაქციები... ამ ბინაში დაიბადა და ფეხი აიდგა ჟურნალმა „მიჯნამ“... ამ ჟურნალ-გაზეთებმა, ბატონი მურმან ზაქარაიას უცვლელი რედაქტორობით, უდიდესი როლი შეასრულეს და ასრულებენ საქართველოს შინაური და გარეშე მტრების მხილებაში, დღევანდელ ეტაპზე ეროვნული მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებაში!

აქ, ამ ბინაში იკრიბებიან ეროვნული მოძრაობის ძველი წარმომადგენლები და ბჭობენ საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე!

დიდი მადლობა ქალბატონ ლუარას საკუთარი ბინის ეროვნული მოძრაობის შტაბად გადაქცევისთვის, იმ უდიდესი ღვაწლისთვის, რასაც იგი უანგაროდ ეწევა ათეული წლების მანძილზე!

მას მალე 80 წელი შეუსრულდება!

ღმერთმა დაგლოცოს, ქალბატონო ლუარა! გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და სამშობლოსა და მშობლიური ერის კვლავ გაბრწყინებას!



თენგიზ სურამელი

„ჭყონდიდელის“ მისია

თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მოსახლეობისა და საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიათა რაოდენობას, მათემატიკის დაუხმარებლად ადვილად მივხვდებით, რომ ეს ამბიციური პარტიები ე.წ. „ათკაციანი“ პარტიებია.

ნუ შეგვაცდენს მიტინგზე მოსულთა დიდი რაოდენობა. ეს ადამიანები ძირითადად პროტესტის გამოსახატად გამოდიან ქუჩაში და არა მაინცდამაინც რომელიმე პარტიის მხარდასაჭერად.

მსოფლიოს დიდ, საქართველოსთან შედარებით უზარმაზარ, ასეულობით მილიონი მცხოვრების სახელმწიფოებში ორი-სამი პოლიტიკური პარტია ფუნქციონირებს. ჩვენ რა ღმერთი გვიწყნარებს? რატომ არის, რომ სამსახურიდან დამსახურებულად მოხსნილი მაღალჩინოსანი უცებ ახალ, საკუთარ პოლიტიკურ პარტიას ქმნის და მთავრობას ოპოზიციაში უდგება, მაშინ როცა მოხსნამდე მთავრობის უერთგულესი ჩინოვნიკი იყო და ყველაფერს ვარდისფერი სათვალეებით უყურებდა.

ახალი პარტიის გაჩენა, შექმნა კი ძალზე იოლია. არის მხოლოდ ერთი სიძნელე: პარტიისთვის სახელის შერჩევა!

შეიმჩნევა ქვეყნისთვის დამლუპველი ტენდენცია: ყველა ეს ახალგამოჩენილი პარტიები იბრძვიან ხელისუფლებაში მოსვლისთვის მხოლოდ ერთი მიზნით: იშოვონ დიდი ფული საქართველოს გაყიდვით, ეროვნული ინტერესების იგნორირების ხარჯზე!

რა თქმა უნდა, ყველა პოლიტიკურ პარტიაზე ამას ვერ იტყვი. არის გამონაკლისი. ცუდი იმიტომ არსებობს, რომ არის კარგი, მოღალა-

ტე იმიტომ არსებობს, რომ არის ერთგული...

ერთ-ერთი ასეთი პარტია დაიბადა ისტორიულ, ძირძველ ქართულ მიწაზე ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დროს: ეს არის „ჭყონდიდელი“!

როგორც თავის დროზე ჭყონდიდელმა ითამაშა საქართველოს სახელმწიფოს შექმნაში უდიდესი როლი, ამ დასახელების პარტია არ ლალატობს ძველ გზას და დღესად ამ დიად მიზანს ემსახურება.

ცნობილ მოვლენათა გამო პარტიამ დროებით შეაჩერა აქტიური მოღვაწეობა.

დადგა დრო, „ჭყონდიდელმა“ თავისი ისტორიული მისია შეასრულოს!

დანეყებული შავიზღისპირეთიდან აღმოსავლეთით, კახეთის ჩათვლით, თითქმის ყველა რაიონში ფუნქციონირებდა „ჭყონდიდელის“ ორგანიზაციები, რომელთა ხელმძღვანელები და რიგითი წევრები ერთგულნი არიან ჭყონდიდელის პოლიტიკური გეზისა!

განსაკუთრებით აღსანიშნავია დედაქალაქის რაიონული ორგანიზაციები, რომელთა ხელმძღვანელები ბუხუტი კობახიძე, ავთანდილ იმერლიშვილი, ნათელა აბუჯანდაძე, დავით რუხაძე, ვახტანგ ჩუბინიძე, დემურ კუბლაშვილი, გიორგი ორმოცაძე მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ, როგორც შეეფერება ჭეშმარიტ მამულიშვილებს!

„ჭყონდიდელის“ დიდ დამსახურებად მიმაჩნია ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის კავშირის შექმნა და მისი პირველი ყრილობის ჩატარება 2002 წლის 28 ოქტომბერს.

**სამშობლო საფრთხეშია!
საქართველოს „ჭყონდიდელი“ სჭირდება!**



პახა ქეცხაია,

ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ეროვნული სულიერების კერა

ისტორიულად ცნობილი ფაქტია, როდესაც საქართველო გასაჭირში აღმოჩნდებოდა და ხსნა თითქოს არსაიდან ჩანდა, განგება მას ხალხის წიაღიდან განსაკუთრებულ ადამიანებს მოუვლენდა ხოლმე. სწორედ ასეთ ადამიანად უნდა მივიჩნიოთ ქ-ნი **ლუარა გამყრელიძე**, რომლის ბინა თბილისში, ტაშკენტის ქუჩის 25 ნომერში, ეროვნული სულიერების ნამდვილ თავშესაფრად იქცა.

ჩვენს ქვეყანაში ეროვნული ხელისუფლების დამხობის დღიდან მოყოლებული დღემდე დატრიალებული ყველა უბედურება ღირსეულად გადაიტანეს ტაშკენტის 25-ში მოღვაწე ადამიანებმა. მაშინ როდესაც პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** სახელის ხსენებისათვის ადამიანებს დაუნდობლად ექცეოდნენ, ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა, რომელიც არ გაიყიდა და ეროვნული სულისკვთების მატარებელი დარჩა, ტაშკენტის 25-ში იპოვა სულიერი შვება. ვის არ შეხვდებოდით აქ: ცნობილ მწერლებს, პოეტებს (ამის დასტურად დიდი **მუხრანის** სახელიც იკმარებს, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ), მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს, საქართველოსა და უცხოეთში ცნობილ ხელოვანებს, რელიგიურ მოღვაწეებსა და სასულიერო პირებს, რომლებიც ეროვნულ ხელისუფლებას თანაუგრძნობდნენ, და, რა თქმა უნდა, რიგით ადამიანებს, რომლებსაც ქვეყნის ბედ-იღბალი აწუხებდათ და იმედს ტაშკენტის 25-ში გამომავალ ეროვნული სულისკვთების მატარებელ გამოცემასა თუ აქ მოღვაწე ადამიანებთან ურთიერთობაში პოულობდნენ.

ამ ადამიანთა შორის იყვნენ ქართული ფილოსოფიის სახელოვანი წარმომადგენლები. **ლუარა გამყრელიძისა და მურმან ზაქარაიას** მიერ გაშლილი ქართული სუფრა აქ მოსული სტუმრებისათვის დაუვიწყარ მოგონებად არის ქცეული. აქ არასოდეს საუბრობდნენ ყალბ პრობლემებზე. აქ შეკრებილ ადამიანთა აზროვნება, ფიქრი და გონება სამშობლოსადმი თავდადებას, მისი ღირსებისა და პატიოსნების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, უფ-

ლისა და მოყვასის სიყვარულის იდეალებთან ერთად ყოფიერების, კულტურის, პოლიტიკისა და სოციალური ყოფის საზრისს დასტრიალებდა თავს. ხოლო ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის აქ გაშლილი ქართული სუფრა ფილოსოფიური აზროვნების ზეიმი და შეუცნობლის შეცნობის



მორიგი ვირტუოზული გაკვეთილი იყო და არის დღესაც, ამიტომ შეუძლებელია არ გაგვახსენდეს ის ადამიანები, რომლებიც ამ ყველაფრის თანამონაწილეები იყვნენ. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი საქართველოს ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ფილოსოფიის დოქტორს, პროფესორ **ირაკლი კალანდიას** უკავია. ეროვნული ხელისუფლების დროს იგი უზენაესი საბჭოს წევრად „პოლიტიკის“ მთავარი რედაქტორი იყო. ბატონ ირაკლისთან ერთად ტაშკენტის 25-ის ხშირი სტუმარი იყო ცნობილი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფოსი და სოციოლოგი, პოეტი და მთარგმნელი **გერმანე ფაცაცია**. სახელოვან მეცნიერებსა და ქვეყნისა და პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** ერთგულ ადამიანებს შორის გამორჩეულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი **რევაზ გოგობია**. ეროვნულ მთავრობაში მას ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა ეკავა. იგი ბოლომდე ერთგული დარჩა იმ იდეალებისა, რომელნიც **ზვიად გამსახურდიას** გამოარჩევს. იმ ფილოსოფოსებს შორის, რომლებიც ეროვნული მთავრობის ერთგულნი დარჩნენ და ტაშკენტის 25-ში მოღვაწე ადამიანებს მხარს უჭერდნენ,

არიან საქართველოს ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **ნაპო კვარაცხელია, ანზორ ბრეგვაძე და ზურაბ ხასაია.** ტაშკენტის 25-ის სტუმრებს შორის იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი და მთარგმნელი **ბაჩანა ბრეგვაძე,** ქართველი ფილოსოფოსები **რევაზ გორდეზიანი და ვაჟა ნიბლაძე.**

არაერთი საინტერესო ღონისძიება იქნა ჩატარებული ტაშკენტის 25-ში მოღვაწე ადამიანებისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის ურთიერთთანამშრომლობით. მათ შორისაა პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** იუბილე, პოეტ **ჯემალ შონიას** პოეტური კრებულების პრეზენტაცია და მრავალი სხვა. პროფესორ ირაკლი კალანდიას დირექტორობის პერიოდში ფილოსოფიის ინსტიტუტის კარები ღია იყო ზვიად გამსახურდიას მომხრეებისათვის და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც არაერთი სამეცნიერო დაწესებულება და ორგანიზაცია ეროვნული ხელისუფლების მომხრეებსა და წარმომადგენლებს ახლოსაც არ იკარებდა. იმდროინდელ ქართულ სინამდვილეში, ამ მხრივ ფილოსოფიის ინსტიტუტი გამორჩეული ინსტანცია გახლდათ.

ეროვნული ხელისუფლების ერთგულებისა და ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ლუარა გამყრელიძეს გვერდით ედგა ქ-ნი **ვენერა ჩოჩია.** ეროვნული იდეალების ერთგულებითა და პატრიოტიზმით არის გამორჩეული ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი **მანანა გაგოშიძე,** რომელიც ყო-

ველთვის მხარში ედგა ეროვნული სულისკვეთებით გულანთებულ ადამიანებს.

ეროვნული იდეალებისადმი მსახურება წარმოუდგენელია ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა გარეშე. ამ მხრივ გამორჩეულია ახალგაზრდა პოეტი და პროზაიკოსი **ლაშა გვასალია,** რომელიც ადრეული ასაკიდან ჩართო ეროვნულ მოძრაობაში ისევე, როგორც ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი **დავით ზაქარაია,** ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი **მეჩი ლობჯანიძე** და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გურამ მარხულია,** რომელიც ბოლომდე ერთგულად იდგა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დასაცავად ე. წ. ბუნკერში. ისინი დღეს ქართული კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურის, პოეზიის, ფილოსოფიისა და პოლიტიკის სფეროში საქმიანობენ და არცთუ ურიგოდ.

იმ ადამიანებს, რომელთაც თავიანთი ეროვნული პოზიციებისა და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მხარდაჭერის გამო თუნდაც მცირედი სახის დევნა-შევიწროება გამოუვლიათ, სამართლიანად მიაჩნიათ, რომ ლუარა გამყრელიძის ბინა ეროვნული სულიერების ნამდვილი კერა და ქართული სულის საუნჯეა, რომელმაც ქვეყნის ძნელბედობის ჟამს მტკიცე და შეუპოვარი პოზიცია დაიკავა და ამით დიდი როლი შეასრულა იმაში, რომ ქვეყნის შინაურ თუ გარეშე მტრებს ქართული სული არ ჩაეკლათ.

ღმერთმა უმრავლეს საქართველოს ქ-ნი ლუარა გამყრელიძის დარი ადამიანები!



მსხვერპლი, რომელიც გაიღო ამ ეპოქის საქართველომ

ალბათ დიდი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საძირკველი ჩვენი ხალხის სისხლისა და თავგანწირვის ფასად არის ჩაყრილი; ამ დიდ საქმეს შეეწინა თავად ქვეყნის პირველი პრეზიდენტი. სამწუხაროდ, ქვეყნისათვის ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა ჯერ კიდევ არ გამხდარა ხელისუფალთათვის ისტორიის ობიექტური შეფასებისა და ღრმა პოლიტიკური განსჯის საგანი. წარსულის გაკვეთილების ზერელე ან მიკერძოებითი შეფასება კი გარდაუვლად იქცევა ანმყოს პრობლემად, რასაც დღევანდელი რეალობაც ადასტურებს. მსგავსი მიდგომის ლოგიკური შედეგია ისიც, რომ ჩვენში ყოფილ სახელმწიფო დამნაშავეებს უფრო მეტი ყურადღებით ეპყრობიან, ვინემ იმ პირებს, რომლებმაც ყველაფერი გაიღეს სამშობლოს თავისუფლებისათვის.

ამჯერად გვინდა, მოკლედ მოგიხროთ სწორედ ასეთი მიდგომის შედეგად ჩრდილში მოქცეულ ერთ-ერთ შესანიშნავ პიროვნებაზე, ლუარა გამყრელიძეზე, რომელიც ძალიან საშიშ პოლიტიკურ ვითარებაში უკომპრომისოდ და თავდადებით ემსახურებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდას. აღ-

ნიშნულ პერიოდში ეს იყო ურთულესი მისია, რომელსაც თავგამოდებული სიბეჯითით და უკიდურესი რისკის ფასად აკეთებდა ქალბატონი ლუარა გამყრელიძე, მისი ბინის საგაზეთო გამომცემლობა იყო მაშინდელი ეროვნული ძალების წარმომადგენელთა ერთ-ერთი საიმედო ადგილი, სადაც ხდებოდა აზრთა გაზიარება და მსჯელობები მიმდინარე აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. ქალბატონი ლუარა ამ მოვლენების უშუალო მონაწილე და ინიციატორი იყო. რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, – ბევრს შეუძლია, გამარჯვებულის მხარეს იდგეს, მაგრამ მარცხის შემთხვევაში იდეების ერთგულება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. საბედნიეროდ, ეს ნიჭი აღმოაჩნდა ძვირფას ქალბატონს, რომელსაც დღეს 80 წელი შეუსრულდება.

გვსურს, ეროვნული მოძრაობის ძალებისა და კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა სახელით მივულოცოთ მას დაბადების დღე, ვუსურვოთ ბედნიერება და ეროვნული იდეების ხოცშესხმით დატკობა.

ნალენჯიხელი ეროვნული
მოძრაობის წევრები



სობელეზის სახელით!

ქალბატონო ლუარა!
სობელეზის სახელით მოგმართავთ და მოგილოცავთ ოთხმოცი წლის იუბილეს, ეს არათუ მხოლოდ თქვენთვის, თითოეული ეროვნული მოძრაობის წევრისთვის უმნიშვნელოვანესი თარიღია. რამეთუ ლუარა, იგივე დოდო გამყრელიძე თავდადებისა და ღირსების სიმბოლოა ჩვენს ცნობიერებაში.

ტაშკენტის 25 და მისი უკეთილესი დიასახლისის ყველა სიკეთესთან ერთად, იმედისა და რწმენის გამმტკიცებელი იყო როტულ და ტკივილიან დროს, როცა გარეთ შიშთან ერთად სიკვდილი და უბედურება დათარეშობდა, რედაქციის კარები მუდამ ღია იყო. ის საქართველოს ელოდებოდა, დაჭრილ და დამეხილ საქართველოს, რომელსაც კურნავდა და ეთბილებოდა,

ეფერებოდა და ლუკმას უყოფდა!..
ლუარა გამყრელიძე უკვდავებასთან წილნაყარი ქალბატონია, ასეთებად უფლისგან რჩეულები იბადებიან! ჰოდა, დიდხანს ბედნიერად და ჯანმრთელად გამყოფოთ ზეციერმა!
სიყვარულითა და პატივისცემით სობელეზის სახელით:

ნოდარ ხურცია, როზენ ლატარია, რობერტ გვასალია, როლანდ ჯიქია, რომან რეკვავა, მალხაზ აბურჯანია, გოგი ქაჯაია, გენდრი ლატარია, ლევან ჯანჯღავა, ზვიად სალაყაია, ზაზა ქირია, გოჩა არაჩემია, მერაბ არაჩემია, კახა არაჩემია, მანანა შამათავა, მარინა რუხაძე, ნონა გაბისონია, დოდო ბერაია, ნანა გვასალია, ინგა გვასალია, ლევან გვასალია, ლადო გვასალია, ნანი სალაყაია, ნაირა ბერაია.

მანგული სუბუა

ტაშკენტის 25

1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების, კანონიერი ეროვნული ხელისუფლების იარაღით დამხობის, კრიმინალური დაჯგუფებების მიერ ხელისუფლების მიტაცების, ქვეყანაში ქაოსისა და ტერორის დამკვიდრების შემდეგ მისამართი „ტაშკენტის 25“ ეროვნულ ძალთა თავშეყრის, ორგანიზებისა და წანააღმდეგობის კერად იქცა. რა თქმა უნდა, ეს განაპირობა ოჯახის დიასახლისის ლუარა გამყრელიძის პოზიციამ. ის თვითონ იყო იმ უკანონობისა და უსამართლობის აქტიური მონაწილე და უშიშარი მებრძოლი. მაშინ ადვილი არ იყო, არსებული განუკითხაობისა და ტერორის პირობებში, საკუთარი ოჯახის კედლებში მსგავსი წინააღმდეგობის ცენტრის შექმნა. ეს დიდ ხიფათთან იყო დაკავშირებული. შემდგომში ჩვენ არაერთხელ დავრწმუნდით, რომ ქალბატონი ლუარას გათვითცნობიერებული ჰქონდა მოსალოდნელი მძიმე შედეგები და ის ამ ნაბიჯზე სრულიად შეგნებულად წავიდა. ამის დასტურია ის ფაქტები, თუ რა მშვიდად, უშიშრად ხვდებოდა ქ-ნი ლუარა მის ოჯახზე თავდასხმის, ჩხრეკისა თუ სხვა პროვოკაციების ყოველ მორიგ შემთხვევას. მიუხედავად მრავალ წინააღმდეგობისა, შიგა და შემოგზავნილი პროვოკატორების ქმედებებისა, აზრი და პოზიცია ვერ შეაცვლევინეს და ქალბატონი ლუარა დღემდე რჩება საქართველოს ერთგულ ჯარისკაცად, ჩვეული შემართებით, შემორჩენილ თანამებრძოლებთან ერთად, აგრძელებს დაწყებულ ბრძოლას საქართველოს უკეთესი მომავლისათვის. ვინც ქალბატონ ლუარას იცნობს, იციან, რომ ეს არ არის რაღაც მრგვალ თარიღთან დაკავშირებული ნათქვამი მორიგი სიტყვები, ეს ნამდვილად ასეა და ეს სიტყვებიც გულწრფელია და დამსახურებული.

ბევრი რამ ახსოვს „ტაშკენტის 25“-ის კედლებს.

სხვადასხვა დროს აქ ფუნქციონირებდნენ გაზეთების: „აღდგომა“, „ჭყონდიდელი“, „ზანი“, „თვალთაი“, „ეროვნული თანხმობა“, „გზახნისა“, „ჟალეთი“, „მაფშალია“, „დარჩელის“ რედაქციები, რომელთა საქმიანობამაც მნიშ-

ვნელოვანი როლი ითამაშა ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდგომი პერიოდის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ტაშკენტის 25-ში ფუნქციონირებდა მოძრაობა „ჭყონდიდელის“ პოლიტიკური საბჭო, რომელმაც სხვა მრავალ აქტიურობასთან ერთდროულად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანება „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს“, საქართველოში დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს, ეროვნული დარბაზის, პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა საკოორდინაციო საინფორმაციო ცენტრის შექმნასა და საქმიანობაში.

მოძრაობა „ჭყონდიდელის“ მრავალმხრივმა საქმიანობამ პუტჩის შემდგომ წლებში გადამწყვეტი როლი ითამაშა უზურპატორ ხელისუფლებასთან ბრძოლაში, ეროვნული მუხტის გაღვივება-შენარჩუნებასა და, საბოლოოდ, შევარდნაძის დამხობაში.

საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის მოძრაობა „ჭყონდიდელის“ წევრის მრწამსი აცხადებდა, რომ **„საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის მოძრაობა „ჭყონდიდელის“ წევრი, ჩვენი დიდი წინაპრების დარად, „ხელების ცისკენ აპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმას“ აძლევს, ღირსი იყოს, ერქვას კოლხ-იბერთა შთამომავალი; მისაბაძად გაიხადოს მზის შვილი აიეტის, კავკასიის ხალხთა ერთიანობის სიმბოლოს – თარგამოსის, ფარნავაზ-ქუჯის, დავით აღმაშენებლის, მზისდარი თამარის, გიორგი ბრწყინვალის, საქართველოს სულიერი მამის – გიორგი ჭყონდიდელის საქმენი, მყარად იაროს მათს ნაკვალევზე: ცხოვრების წესად აქციოს დიდი შოთას შეგონება – „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.** მთელი ძალისხმევით, თვით სიცოცხლის ფასად იბრძოლოს და იღვანოს წმინდა ილია მართლის იდეალის – „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს“ და საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას მიერ გაცხადებული საქართველოს სულიერი მისიის, ხალხის სუვერენული ნების ხორცშესახმელად, კავკასიის ხალხთა

ერთიანობისა და თავისუფლების, სამართლიანობის, კანონიერებისა და დემოკრატიისათვის. ღმერთი გვფარავდეს ჩვენს სამართლიან ბრძოლაში!

1990-2000 წლებში ტაშკენტის №25-ში შეიქმნა და ფუნქციონირებს პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა საკოორდინაციო-საინფორმაციო ცენტრი, რომელმაც იმდროინდელი პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტთან (თავმჯდომარე ვ. მაღლაფერიძე) ერთად შეძლო საერთაშორისო საზოგადოებისათვის დაეფიქსირებინა პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების არსებობა საქართველოში. ცენტრმა ორგანიზაცია გაუკეთა პოლიტპატიმართა მასობრივ შიმშილობებს საპატიმრო დაწესებულებებში, აგრეთვე მათი მხარდამჭერების საშემშობლო აქციებს საქართველოს მრავალ ქალაქში, მათ შორის, ტაშკენტის 25-ში. ხელისუფლება იძულებული გახდა, წამოსულიყო დათმობებზე და გაეთავისუფლებინა პოლიტპატიმრები. ეს იყო პირველი სერიოზული გამარჯვება ხელისუფლებაზე, რამაც, ერთი მხრივ, ახალი სული შთაბერა ეროვნულ ძალებს, სტიმული მისცა მათ კიდევ უფრო გააქტიურებას, მეორე მხრივ, დააჩქარა ხელისუფლების ეროზია, კიდევ უფრო გამძაფრდა მის შიგნით მიმდინარე რღვევის პროცესი.

პარლამენტი იძულებული გახდა, წასულიყო დათმობაზე. მან მიიღო 2000 წლის 20 აპრილის დადგენილება, რომლის ძალითაც 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალება შეფასდა, როგორც კანონიერი ხელისუფლების დამხობა, სამოქალაქო კონფრონტაცია და კომუნისტურ-ნომენკლატურული რეჟანში.

ეროვნული დარბაზის ძალისხმევით 2004 წლის 26 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ეროვნული თანხმობის დეკლარაციას.

დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით მომზადდა სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში, რომლის ძალითაც დევნილებს აღუდგათ საქართველოს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება და ამ უფლებით დევნილებმა პირველად 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში ისარგებლეს.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუ არა „ტაშკენტის 25“, ამ და კიდევ მრავალი სხვა საქმიანობის განხორციელება და კონკრეტული შედეგის დადება პრობლემატური იქნებოდა.

მაგრამ იყო და არის „ტაშკენტის 25“, სადაც კარები ყოველთვის ღიაა. აქ ნებისმიერ დროს შეიძლება მისვლა, აქ დაგხვდება ოჯახის დიასახლისი ქალბატონი ლუარა გამყრელიძე და შენ გაგინანილებენ გულის სითბოს. რა თქმა უნდა, განუზომელია ქ-ნი ლუარას როლი, შრომა და დამსახურება იქ არსებული „მიკროკლიმატის“ შექმნაში. მისი უტყუარი ალლო და მგრძობიარე გული ხომ არც სითბოს დაიშურებს და საჭიროების შემთხვევაში არც ოთარაანთ ქვრივის სიმკაცრესა და პირდაპირობას დაერიდება.

ამასობაში წლებიც გაპარულა და ქალბატონმა ლუარამ 80 წელს მოუყარა თავი.

გილოცავთ, ქალბატონო ლუარა!
თქვენ ხართ ცოცხალი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ემსახურო შენს ქვეყანას ისე, რომ სამაგიეროდ არაფერი მოითხოვო და ამ სამსახურში მთელი ცხოვრება არ დაიღალო.



ელემ კვირტია

ქალბატონ ლუარა გამყრელიძეს!

ულრმესი პატივისცემითა და სულისმიერი სიყვარულით მოგესალმებით ჩემი მშობლიური კირცხიდან და გილოცავთ საიუბილეო თარიღს. ვნუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო ვერ გესტუმრებით თბილისში, **ისტორიულ ტაშკენტის №25-ში**, რათა მონივნებით გემთხვიოთ ხელზე, დაგლოცოთ და გითხრათ მადლობა თქვენი მართლაცდა საოცარი ღვანლისთვის; იმ სიკეთისთვის, რომელიც ასე უხვად დაგიეთესიათ; იმ სითბოსა და ზრუნვისათვის, რომელიც არაერ-

თხელ გვიგრძნია მე და ჩემს ოჯახს. ღმერთს შევთხოვ საქართველოს გამთლიანებას! იმ ნეტარი დღის გათენებას, როცა თქვენთან ერთად სულმოუთქმელად ავალთ მთანმინდაზე ჩვენი პირველი და მარადიული პრეზიდენტის, სულმნათი ზვიად გამსახურდიას ძვირფას საფლავთან და ვახარებთ: „განისვენე მშვიდად, საქართველო აღსდგა!“
მონივნებითა და სულისმიერი სიყვარულით, აგვისტო, 2019.



სოსო ლაგვილავა

ვალში ვართ თქვენ წინაშე

საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას და სხვა მოღვაწეთა გვერდით არა ერთ მანდილოსანს გამოუჩენია თავი, მათგან გამორჩეულია ჩვეთვის ყველასთვის სათაყვანო, საყვარელი, მედგარი და უშიშარი, დაულალავი და რაინდული შემართებით, თავდადებით, თავგანწირვით, ერთგულებით, უღალატობით, კაცთმოყვარეობით და კეთილშობილებით შემკული, ჩვენი დიდი და დიადი ქალბატონი ლუარა გამყრელიძე. რა დამაზინეებს მის ღვანლს, დაულალავ შრომას და მაღალი პასუხისგებლობით შესრულებულ საქმეებს. არ ვიცი, რით გამოვხატო მადლიერება, როგორ მოგეფერო, რით გავამხნევო ჩვენი და, დედა და მეგობარი, ყველა ჩვენგანის პატრონი, მასპინძელი, ქომაგი და გულშემატკივარი, ყველაზე მძიმე დღეებში ჩვენ გვერდით მდგომი და საომრად შემართული მანდილოსანი.

ნია, არ გვიღალატია, უკან არ დაგვიხვევია და თქვენს ბინაში დადებული ფიცი არ გაგვიტეხია. გვექონდა მძიმე მომენტები რაღაც ნაბიჯების გადაგმისას და ვფრთხილობდით, ყოველთვის თვალწინ გვედგა ქალბატონი ლუარა, ვუფრთხილდებოდით, ვშიშობდით, იქნებ მას არ მოეწონოს ეს ნაბიჯი, იქნებ ეწყინოს, გული ვატკინოთ, ამიტომაც ყოველთვის ვზომავდით და შესაბამის გადაწყვეტილებასაც ვღებულობდით. ეროვნულ-პატრიოტული ძალები სრულიად საქართველოდან, მათ შორის ზუგდიდიდან ვალშია თქვენ წინაშე და უდიდეს თავყანისცემას გამოთქვამენ თქვენ მიმართ.

ჩვენო გულითადად მეგობარო, დაო, დედავ და კეთილისმსურველო, გილოცავთ იუბილეს, მრავალს დაესწარით ბედნიერი და გაბრწყინებული თქვენს სათაყვანო სამშობლოში თქვენს ერთან, ახლობლებთან და ყველა კეთილისმსურველებთან ერთად!

გილოცავ!

ზუგდიდი



გულიკო ურუშაძე,

იურისტი

მუღამ სიკეთისა და სიმართლის გვერდით

ძნელია, უაღრესად ძნელი და თითქმის შეუძლებელიც კი იდუმალებით მოცულ საზოგადოებაში ჭეშმარიტი სიკეთისა და სიმართლის გარკვევა და, მით უმეტეს, მათ სადარაჯოზე მუდმივად დგომა.

როცა იდუმალებით მოცულ საზოგადოებას ვახსენებ, მასში არ ვგულისხმობ სამყაროს ან თუნდაც რელიგიურ იდუმალებას, არამედ მხედველობაში მაქვს იმპერიული სულისკვეთებით აღვსილთა და მაღალ იერარქიულ საფეხურებზე მოკალათებულ, ღვარძლით სავსე მოკვდავთა სურვილები, როგორმე თავიანთი მიზნების შესაბამის იდუმალებაში გახვიონ ადამიანები.

მსგავს ტირანთაგან თავსმოხვეული იდუმალებისაგან თავის დაღწევა და მათ გვერდითვე მუდმივად სიკეთის და სიმართლის გზებით სიარული მხოლოდ და მხოლოდ ერთეულ, ძლიერ პიროვნებათა ხვედრია.

სწორედ რომ ამ გზების მუდმივი მგზავრია უმაღლესი უბრალოებით და სათნოებით დაჯილდოებული ქალბატონი დოდო-ლუარა გამყრელიძე.

გამყრელიძეთა გვარის გარემოცვაში გაზრდილს რომ კარგად ეცოდინებოდა, სად ძევს სიმართლე და სიყალბე რუსეთის იმპერიის უღლის ქვეშ მოქცეულ მშობლიურ ქვეყანაში, ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ საკვირველია ის უშრეტი სულიერი სიძლიერე და სიღრმე, რომელსაც ყველაზე სარისკო შემთხვევებში და პერიოდებში ავლენდა ქალბატონი დოდო-ლუარა (მხედველობაში მაქვს გასული საუკუნის 90-იანი წლების მოვლენები) ყოველმხრივ შეჭირვებულ მამულიშვილთა თანადგომით. მათთვის მას მუდმივად მზად ჰქონდა თავშესაფარიც და სულსაყუდელიც, შეუდარებელი ადამიანური სითბო და მეგობრული ხელი.

ასე იყო მაშინ, როცა ქვეყნის უღირსმა შვი-

ლებმა ქართველ ერს ძლივს, ძლივს მოპოვებული ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის ბედნიერება არ შეარგეს და რუსული დირექტივებით და იარაღითვე დაამხეს ქართველი ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეული დამოუკიდებელი ქვეყნის ხელისუფლება.

ასე იყო მაშინაც, როცა რუსეთის მზაკვრობებით და იარაღითვე აფხაზეთიდან, საქართველოს ძირძველი კუთხიდან გამოაძევეს მათთვის იქ არასასურველი აფხაზეთის ქართველობა, რადროსაც დევნილი თანამოძმეების დახმარების ერთ-ერთი უძლიერესი კერა თბილისში ისევ და ისევ ქალბატონ დოდო-ლუარას ხელი, გული და სახლი (ბინა) იყო.

დღემდე, დღემდე გრძელდება ერის ერთ-ერთი უსაყვარლესი შვილის ქალბატონი დოდო-ლუარა გამყრელიძის უანგარო ზრუნვა და ამაგი ქვეყნის ბედით უსაზღვროდ შეჭირვებულ პირთა მიმართ. ჩვენ ყველანი, ვინც კი მას ვიცნობთ და პირადად გამოგვიცდია მისი პატრიოტული სულის სიძლიერე და ადამიანური თანაგრძნობის უნარი, ბედნიერები ვართ იმით, რომ მას გვერდით მოგვინია მრავალ სხვადასხვა სიკეთესთან შეხება.

ადვილია კარგი მამულიშვილობა მაშინ, როცა ძნელბედობის ჟამს ქალბატონ დოდო-ლუარას მსგავსი ადამიანის გვერდით აღმოჩნდები.

მე მადლობას ვუხდის მას ყოველივე იმისათვის, რაც აქამდე გააკეთა და შემდგომშიც კვლავ გააკეთებს ჭეშმარიტ მამულიშვილთა მოძიების, თანაგრძნობის და გვერდში დგომის საქმეში.

ახლო დღეებში ქალბატონი დოდო-ლუარა გამყრელიძე 80 წლის გახდება და მას ვუსურვებ, ქართველ ერს არასოდეს არ მოჰკლებოდეს და უხვად შემატებოდეს მისი მსგავსი ადამიანები.

2019 წელი, აგვისტო

ეპოქის ქალა

ეპოქას ადამიანები ქმნიან და დროის ძალაცა და იმედიც თავად არიან ხოლმე. ღმერთი საამისოდ გამოარჩევს ხოლმე ადამიანებს. რომ არა ასეთი გამორჩეულობა, ვერანაირი ხორციელი ვერ გაუძლებდა იმას, რასაც ქალბატონმა დოდო გამყრელიძემ გაუძლო და აიტანა. ტერორი, დაპატიმრებები, შემოვარდნა-დარბევები, სტამბის ძეხვის მიზეზით იატაკის აყრა და ათასი უბედურება. იშვიათობაა ასეთი ქალები, ასეთი დედები. თქმით კი ბევრი ამბობს და იადვილებს ხოლმე საკეთებელს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მივიდა, ამ ძვირფასმა ადამიანმა შეძლო მხოლოდ ასე ყველაფრის უშურველად გაღება სამშობლოსთვის და თავისუფლებისთვის.

ლუარა გამყრელიძე თამარ დედოფლის იდეური და გულისხმიერი ნათესავია, ძვირფას ქართველ ქალბატონთა სახელების გვერდით დავანების ღირსია, რადგან ის სამშობლოსთვის დაბადებული და მისი ბედნიერების უშიშარი მებრძოლია. ის არათუ 80 წლის, თავისი საქმეებითა და ღვაწებით 2000 წლისაა, ამიტომაც თავყვანი ვცეთ მის აღმატებულება ქართველი ქალის უნიკალურ სახეს!..

დიდხანს და ძალიან დიდხანს უნდა იცოცხლოთ, ძვირფასო ქალბატონო!

*პატივისცემით,
მამა-შვილი –
ზაურ და ზაზა ჩქვანავები*



გილოცავთ!

ლუარა დეიდა!

გილოცავთ ამ ლამაზ თარიღს, ოთხმოცი წლის იუბილეს... გვიხარია და ვამაყობთ, რომ თქვენი კალთიდან აფრენილებს დღესაც იმედად და მრავალღონედ გვეგულეები. ახლაც, ამ ასაკშიც რუდუნებით ზრუნავთ ჩვენს შვილებზე და პენსიიდან დანაზოგით – მსოფლიო ზღაპრების ძვირფას გამოცემებსა და სხვა მეტად საჭირო ნივთებს ყიდულობთ და უსახსოვრებთ. ჩვენზე უკვე აღარ ვსაუბრობთ, ჩვენ უკვე მართლა დედები ვართ, რადგანაც ვართ მშობლები...

ერთად დიდი გზა გამოვიარეთ, სირთულეთა და დაბრკოლებებით აღსავსე სანიერი, და გვჯერა, რომ წარმატებით ჩავაბარეთ გამოცდა უფლისა და დიდი ზვიადის სულის წინაშე, შეიძლება საბოლოო მიზანი ჩვენი მთავარი გეგმისა ვერ აღსრულდა, მაგრამ ფუნდამენტი

ჩაყრილია, საოცარი თაობა გვეზრდება და საქართველო უთუოდ გაბრწყინდება.

ცხოვრებაში უამრავი წინააღმდეგობაა და იმდენად დიდი და მძაფრია ეს წინააღმდეგობები, რამდენადაც დიდია მიზანი. ამიტომაც გამართლებული იყო ეს აზრიანი და მართალი ბრძოლა, რომელიც ერთად გადავიხადეთ.

თქვენ გაგიმარჯოთ, ძვირფასო ადამიანო, დედასავით თბილო ქალბატონო, ასე უზადოდ რომ გაიარეთ უთვალსწორო და ეკლიანი ლაბირინთი!

დიდი მადლობა განუმეორებელი სიტბოსთვისა და უშურველობისთვის!

მრავალჟამიერ!

სიყვარულით თქვენი –
*თენა ზაქარაია, დემეტრე, თათე და ლაშა
გვასალიები*



ტაშკენტის 25-ის მოღვაწენი (არასრული სია)

აბდალაძე ქეთევან
აბუანდაძე ნათელა
აბრამია ჯუმბერ
აბსანძე გოგა
აბსანძე გურამ
აბსანძე ვალიკო
აბულაძე დალი
აბურჯანია მალხაზ
ამირანაშვილი ლეილა
ანდლულაძე ლია
არგანაშვილი გია
არზიანი თეა
არნანია ანტონ
ასათიანი ქეთევან
ასკანელი ზურაბ
აფაქიძე გივი
აფაქიძე იუნონა
აცეტაძე გია
ახობაძე მაგული

ბალაძე ეთერ
ბარათაშვილი სოსო
ბართია ანელი
ბარკალაია არველოდი
ბასარია ციური
ბასილაძე ციური
ბალიშვილი მარეხ
ბახია გოჩა
ბახტაძე გიგლა
ბახტაძე გია
ბედია ზაურ
ბენდელიანი ევტის
ბეჟაშვილი ნათელა
ბერსენაძე დავით
ბერუაშვილი ლია
ბიბილური თამაზ
ბილიხოძე ზაირა
ბიჭაშვილი გოჩა
ბიჭაშვილი დათო
ბლუაშვილი მზია
ბოკერია ელეონორა
ბოკერია თამაზ
ბოჭორიძე ლილი

ბუთხაშვილი ელისო
ბუკია ზურაბ
ბუკია კობა
ბუკია ლუსია
ბუკია ნატო
ბურდული შალვა
ბურჭულაძე ნემო

ბაბაშვილი გიორგი
გაბელია ვალერი
გაბელია თინათინ
გაბელია ლია
გაბოძე ნინო
გაბუნია ენძელა
გაფრინდაშვილი ნონა
გაჩეჩილაძე გიორგი
გეგენავა დინა
გელაძე გელა
გელბახიანი პეტრე
გელენავა რიმა
გერგედავა ბორის
გერგედავა გიორგი
გერეხელიძე რევაზ
გვასალია ინგა
გვასალია ირმა
გვასალია ლაშა
გვასალია ნანა
გველესიანი თამაზ
გვენეტაძე რუსუდან
გვიმრაძე ნუნუ
გიგაური აულა
გიგაური ნანა
გიგიბერია სოსო
გიგინეიშვილი ნელი
გიორბელიძე დავით
გიორგაძე ედიშერ
გიორგაძე პაატა
გოგიშვილი ნუნუ
გოგსაძე თემურ
გოგუა ნუგზარ
გოგუაძე ლილი
გომარელი ელზა
გორგიაშვილი მათა

გორელაშვილი ომარ
გოცირიძე ირაკლი
გულარია გულჩორა
გულედანი ელგუჯა
გულიაშვილი ქეთევან
გუნავა იური
გუნჯუა თამაზ
გუჯაბიძე ბიძინა

დადიანი თამარ
დავითაია ზაზა
დავითაშვილი ნანა
დანგაძე ბიძინა
დარსანია თემურ
დეკანოსიძე ნანული
დიაკონიძე ფირუზ
დოკვაძე ირაკლი
დოკვაძე ლეილა
დოლიაშვილი მზია
დოლბაძე დავით
დოლბაძე დარეჯან
დოლბაძე ნინელი
დოლიძე ვალერი
დომუხოვსკი ვიქტორ

ებრალიძე თათია
ელიეშვილი ბადრი
ელისაშვილი ცირა
ენუქიძე ლია
ერისთავი მანანა

ვადაქარია ტრისტან
ვარდოსანიძე გოჩა
ვარდოსანიძე ლევან
ვაშაძე თამაზ
ვახანია გივი
ვეკუა ვალერი
ვეფხვიაშვილი ბელა

ზაქარაია გია
ზაქარაია დავით
ზაქარაია თეა
ზაქარაია ლალი

ზაქარაია ლელა	კვირტია ედემ	მანჩხაშვილი ზურაბ
ზაქარაია ლუიზა	კვირტია ლელა	მარსაგიშვილი გელა
ზაქარაია მაია	კვირტია მარინე	მაქაცარია გურამ
ზაქარაია მურმან	კვიტაშვილი ნინო	მაქაცარია მადონა
ზაქარაია როზა	კიკაჩიშვილი თენგიზ	მალლაფერიძე ვასილ
ზაქარაია საშა	კიკაჩიშვილი ნაზი	მაჭავარიანი მუხრან
ზაქარაია სიმონ	კიკაჩიშვილი ცისანა	მგალობლიშვილი ეთერ
ზაქარაიშვილი გენო	კილასონია ნელი	მგალობლიშვილი თინა
ზუროშვილი კაკო	კილასონია ნიკა	მეზვრიშვილი ალექსი
თაქთაქიშვილი ალექო	კობახიძე ბუხუტი	მეზვრიშვილი ამირან
თევდორაძე ლარისა	კობახიძე გოგი	მეზვრიშვილი ირმა
თექთუმანიძე მარინე	კობახიძე ივეტა	მესხი ბიძინა
თვალჭრელიძე მარინა	კობახიძე რუსუდან	მესხია გუჯა
თოდუა ნუნუ	კორტავა ვლადიმერ	მეტრეველი თამრიკო
თოთლაძე მარინე	კუბლაშვილი თენგიზ	მეუნარგია ავთანდილ
თუთბერიძე ზინაიდა	კუკავა თამარ	მეფარიშვილი დარეჯან
თუთბერიძე ჟუჟუნა	კუკავა ჯუმბერ	მიბჩუანი თემურ
	კუპატაძე დავით	მილდიანი ჯულიეტა
	კუჭუხიძე რომეო	მილდისელი ეთერ
ივარდავა დილარ	კუხალეიშვილი ლალი	მიროტაძე ილო
იმერლიშვილი ავთანდილ		მიხაილოვა მანანა
იორაშვილი ნუნუ	ლაბარტყავა ზაურ	მკალავიშვილი ბასილი
ისაკაძე გურამ	ლაბარტყავა მარინე	მოლაშხია გურამ
ისაკაძე დავით	ლაბაძე თამუნა	მოლაშხია ზაურ
ისაკაძე ქიშვარდ	ლაბაძე ნინო	მუსერიძე მადონა
იშხნელი მარინე	ლაბაძე ნუნუ	მუსერიძე მორის
	ლაგვილავა სოსო	მღვდლიაშვილი თინათინ
ჭაკაბაძე მამუკა	ლამაზოშვილი გივი	მჭედლიშვილი გუგული
კალანდარიშვილი გულიკო	ლატარია დესმან	მჭედლიშვილი მამუკა
კალანდია ირაკლი	ლაშაბერიძე თამარ	მჭედლიშვილი მაყვალა
კალაძე თამაზ	ლემონჯავა-ზაქარაია ანია	მიძინარიშვილი ნუნუ
კაპანაძე დემურ	ლეჟავა თათუშა	მიძინარიშვილი ნათია
კაპანაძე მერი	ლობჟანიძე ლია	
კარდენახიშვილი ციალა	ლობჟანიძე მექი	ნავროზაშვილი მზისადარ
კაცაძე ლია	ლოგუა ნოდარ	ნავროზაშვილი ნაზი
კაციტაძე თამარ	ლოლუა დალი	ნავროზაშვილი პელო
კახიანი მედეა	ლომაძე ლალი	ნაკაიძე ამირან
კახნიაშვილი ვიქტორ		ნაროუშვილი ლია
კერესელიძე მაია	მათიაშვილი აკაკი	ნებიერიძე გურამ
კერძაია მავრა	მალაშხია შოთა	ნებიერიძე ნანული
კერძევაძე თამაზ	მალაციძე მარო	ნებიერიძე ქეთევან
კვარაცხელია ზაურ	მალაციძე ქეთევან	ნეფარიძე თემურ
კვეზერელი მედიკო	მალაციძე ნაზი	ნიკოლაძე ნინო
კვესელავა იგორ	მამაგეიშვილი თამაზ	ნიკურაძე გელა
კვინიკაძე გულიკო	მამფორია გია	ნიკურაძე ჯემალ
კვირიკაძე გივი	მამფორია ნანა	ნიშნიანიძე რევაზ
კვირტია დაჩი		

ომიადე ქეთევან
ორმოცადე გივი
ოქროპირიძე უჩა
ოჩიაური გოგი
ოძელაშვილი ანზორ

პავლიაშვილი დავით
პაპავა ირმა
პაპუნაშვილი ნათელა
პართენიშვილი ეკა
პართენიშვილი მედიკო
პატარაია რუსუდან
პატარაშვილი იოსებ
პაჭკორია ხუტა
პერტაია ჯემალ
პეტრიაშვილი გიორგი
პეტრიაშვილი რობერტ

შვანია მაია
შვანია სოსო
შორდანია აპოლონ
შლენტი ანა
შლენტი ვახტანგ

რატიანი ნანული
რაფავა ცისანა
რევია თამაზ
რეხვიაშვილი დავით
რეხვიაშვილი თემურ
როგავა მამანტი
როგავა რამინ
რუსია იზოლდა
რუხაძე მზია
რცხილაძე ავთანდილ

სამადანაშვილი თამარ
სამუშია ზვიად
სახელაშვილი კობა
სიბოშვილი თამარ
სივსივაძე ბეჟან
სივსივაძე ლილი
სიკინჭალაშვილი ნუგზარ
სინჯარაძე დიმიტრი
სირაძე ეთერ
სიჭინავა გიორგი
სიჭინავა ნათელა

სიხარულიძე მეგი
სოკოლოვი დავით
სოფია ნეგუს
სოხაძე როლანდ
სტვილია ლამზირა
სტვილია ჯიმშერ
სულაბერიძე ლადო
სულავა ლორეცა
სურგულაძე გია
სხირტლაძე ციცო

ტაბატაძე ლია
ტაბალუა ზალიკო
ტაბიძე ლია
ტალიაშვილი ირინე
ტომარაძე ეთერ
ტონია ოტელო
ტორონჯაძე მაცვალა
ტურაშვილი ვანო
ტულუში ანა
ტყეშელაშვილი რუსიკო

უგრეხელიძე სევდია
ურუშაძე გულიკო
ურუშაძე ლევან
ურუშაძე რევან

ფავლენიშვილი ლალი
ფანცულაია ბესარიონ
ფანცქალაშვილი ლელა
ფარულავა მაია
ფარცვანია დოდო
ფაცაცია გერმანე
ფერაძე გია
ფირცხალაიშვილი ლიანა
ფირცხალაიშვილი ნარგული
ფირცხალაიშვილი რუსუდან
ფიფია ასმათ
ფიფია თამაზ
ფიფია ინეზა
ფიფია ირინე
ფოფხაძე ეკა
ფოფხაძე ირმა
ფოფხაძე ნათელა
ფრუიძე ლევან
ფუტკარაძე ტარიელ

ფხაკაძე არჩილ
ფხაკაძე მაცვალა
ფხალაძე კოტე

ქადაგიშვილი ლივერ
ქავთარაძე ვენერა
ქათამაძე ამბროსი
ქათამაძე ლეილა
ქანთარია ნუგზარ
ქაჯაია გოგი
ქაჯაია ნუნუ
ქებურია დიმიტრი
ქემხაძე ვენერა
ქემხაძე ომარ
ქეცბაია კახა
ქეცბაია ლევან
ქვირია დალი
ქიმერიძე რევან
ქობალია დავით
ქობალია ზაურ
ქობალია ინდიკო
ქურდოვანიძე ქეთევან

ლლონტი მამია

ჭველაშვილი სალომე
ყორბესაშვილი სალომე

შავაძე ზაურ
შავგულიძე გოგი
შალამბერიძე ოთარ
შალვაშვილი ბელა
შამუგია დავით
შანავა თამარ
შარია გრიშა
შარია რამაზ
შენგელია დალი
შენგელია კაკო
შენგელია ლეონარდ
შენგელია როინ
შვანგირაძე გულიკო
შილაკაძე ვაჟა
შონია ვალერი
შონია ლიზა
შონია ჯემალ
შურღაია ვალტერ

შუშტაკაშვილი თემურ	ძონენიძე შაზინა	ხახუბია ეთერ
ჩ აგანავა ალინა		ხვადაგიანი გულნაზი
ჩადუნელი მზია	წ ამალაიძე ქრისტეფორე	ხვედელიძე მზია
ჩალაძე დოდო	წერეთელი ნელი	ხვედელიძე ცირა
ჩარგეიშვილი მადონა	წიკლაური ზაზა	ხომასურიძე ცირა
ჩართოლანი ტანია	წიკლაური მამუკა	ხონელიძე სოსო
ჩაჩუა მიხეილ	წიკლაური შალვა	ხუბუა გია
ჩიტაძე ავთანდილ	წიქარიშვილი ზამირა	ხუბუა ეთერ
ჩიტაძე დალი	წიქორიძე ანზორ	ხუბუა მანგული
ჩიქობავა მალხაზ	წონორია გია	ხურცილავა მურმან
ჩიქოვანი პაატა	წონორია ზურიკო	ხუტაშვილი მარინე
ჩოჩია ვენერა	წონორია ნათია	ხუციშვილი გოგი
ჩუბინიძე დიტო	წონორია შოთა	
ჩქვანავა ზაზა		ჯ ავახია ბეჟან
ჩქვანავა ზაურ	ჭ ედია მედეა	ჯავახიშვილი მარინე
ჩხეიძე ირაკლი	ჭედია ნათელა	ჯალალონია მანანა
	ჭითანავა მაია	ჯალალონია ნოდარ
ც აგარეიშვილი ელენორა	ჭითანავა ნონა	ჯანაშია კარლო
ცაგარეიშვილი ვახტანგ	ჭილაშვილი ელენე	ჯანგირაშვილი მალხაზ
ცაგარეიშვილი მედეა	ჭკადუა რეზო	ჯაში ეთერ
ცანავა რეზო		ჯაჯანიძე სოსო
ცირამუა ნანა	ხ აბეიშვილი თეიმურაზ	ჯერვალიძე სოფო
ცისკარავა რეზო	ხაინდრავა დარეჯან	ჯერვალიძე ქეთინო
ცნობილაძე მაია	ხაინდრავა თათია	ჯერვალიძე ციცინო
ცომია ლეილა	ხარებავა რეზო	ჯიბლაძე ლია
ცომია რომეო	ხარშილაძე ლია	ჯიმშელაძე ნინო
ცუცქირიძე მანანა	ხასაია ზურაბ	ჯინორიძე ნუნუ
ცქვიტარია დარეჯანი	ხატიაშვილი ეთერ	ჯინჭველაშვილი თამილა
ცქიტიშვილი გივი	ხატიაშვილი ლუიზა	ჯინჯიხაძე ლევან
ცქიტიშვილი ქეთევან	ხაფთანი გოგი	ჯინჯიხაძე ჯემალ
	ხაჭაპურიძე ლევან	ჯომიდავა სოსო
ძ იდიგური გულადი	ხაჭაპურიძე ნიკოლოზ	
ძიდიგური მარინე		



ჯემალ შონია

ლიქსი

საქართველო ერთი არის!

სამშობლოსთვის რომ აკურთხეს,
იმ ხანძთაში შანთით მტანჯეს...
გაუმარჯოს თურქის თურქეთს
და ქართველის ტაო-კლარჯეთს!

ერთი ფესვი რომც ამოხმეს,
სხვა ათასი ტოტებს გაშლის...
გაუმარჯოს სომხის სომხეთს
და ქართველის ლორე-ტაშირს!

ალაზნთან ფშა იდარდებს,
იქ გული ვინ გაიგრილოს?..
გაუმარჯოს თათრის თათრეთს
და ქართველის საინგილოს!

ემშაკს შუბლი დაუკოცნეს,
როს მარჯვენა ჩამომთალეს...
გაუმარჯოს ოსის ოსეთს
და ქართველის ლარსს და დვალეთს!

მამულს გული რაკი უცემს,
მტერს სურს, ჯანლი დაგვასიოს...
გაუმარჯოს რუსის რუსეთს
და ქართველის კავკასიონს!

ამღვრეულა ნატვრა გმირთა,
გზა-სავალიც დამენისლა;
საქართველო ჩემი მინდა –
საქართველო ქართველისა!

კვლავ მომგვარა ჭირთა წყება,
უნდა, კიდევ გადამთელოს...
მაინც ვერვინ მოესწრება
უქართველო საქართველოს!

არ შეარჩენს ღმერთი არვის,
ვინც აქ რბევით გართულია,
საქართველო ერთი არის,
საქართველო ქართულია!

მაინც ვლოცავ იმ ადამიანებს

არ შეიმჩნიეს, გზად რომ დავეცი,
და ზედ უწყალოდ გადამიარეს,
მაინც მიჰყვებათ უანკარესი
ჩემი ლოცვა იმ ადამიანებს.

ჩემთვის სიცოცხლე აღარ იალებს,
დაფერფლილია გული უალოდ...
მაინც ვლოცავ იმ ადამიანებს,
რომ ჩემებრ სხვებს არ გადაუარონ.

ერთად არიან

ცეცხლი ედება, თუ არის მდორე
წყალი და თუკი სწრაფი ქარია...
ჩვენ ვერ მოვრიგდით ვერაფრით, თორემ
ცეცხლი და წყალი ერთად არიან.

ჩრდილი მზის გულზე წვას მოინდომებს,
ნამზევ ადგილებს ელტვის ძალიან...
ჩვენ ვერ მოვრიგდით ვერაფრით, თორემ
ჩრდილი და შუქი ერთად არიან.

შეჰყვარებიათ მწვერვალთა თოვლებს
ცა, თითქოს ნეფე-პატარძალია...
ჩვენ ვერ მოვრიგდით ვერაფრით, თორემ
მინა და ზეცა ერთად არიან.

წუხელ მარტოკამ იარა მთვარემ
იქამდე, სადაც დილის ალია...
ჩვენ ვერ მოვრიგდით ვერაფრით, თორემ
ეს მზე და მთვარე ერთად არიან.

შენ რასაც ფიქრობ, მას იმეორებს
ჩემი ფიქრი და... თან ფერმკრთალია...
ჩვენ ვერ მოვრიგდით ვერაფრით, თორემ
ჩვენი ფიქრები ერთად არიან...

ცის მიღება

იპყრობს ღრუბელი შეუმჩნეველად
და ღობემომლილ ცას მინახევრებს,
და ქარი, ღრუბლის ავი მშველელი,
მიაფრიალებს ზეცის ნახევებს.

გუშინ ხომ იმ ცას ვერ დაფუძალე,
რომ მას ვეკუთვნი მხოლოდ მე – თიხა...
ნახევარს აღარ ვჩივი, სულ მალე
შემრჩება ზეცის მეოთხედილა...

მე რომ მეგონა, ყანას მოვხნავდი
და ზედ ვარსკვლავებს გავაბევრებდი,
პირიქით, თესვის ჟამის მოსვლამდე
მოჩანს მხოლოდლა ყანის მერვედი.

ჰა, სულ ახლახან ჩემს სამოსახლოს
მოჭირნახულედ თუკი ვედექი,
ფიქრმა ოცნება სად გამოსახოს, –
შემომრჩა ზეცის მეთექვსმეტედი.

მინდოდა, მისთვის სხვა რამ მეკითხა,
მაგრამ ის თვითონ სხვას მევედრება...
და რა დამრჩება იმ ცის მეტილა,
ზედ დამაყრიან რასაც ბელტებად.

უფულო ღამე

სველ ქვაფენილზე მთვარის მონეტა
დაეცა მკრთალი, ცივი წკრიალით,
მერე ის მთვარე ვერ ვიპოვეთ და
ქუჩა თავსხმაში გამოვიარეთ.

თითქოს ცასა და მინას ვუქრებით,
ჩვენც დაგველია ხურდის მარაგი
და მოჩახჩახე ღვინის დუქნებით
გვაჯავრებს ღამის მთვრალი ქალაქი.

აღარ გვანუხებს მაინც ჯიბრი და
სიბნელე ცათა, წვიმით მტკივანთა,
ისიც არ ვიცით, ხურდა ჯიბიდან
როდის და როგორ ამოგვივარდა....

აღარ დარჩება მაინც იმედი
ქვასავით ობლად და უთვისტომოდ
და ჩვენს სახლამდე თუკი მივედით,
იქნებ ნუგემის ხურდაც ვიპოვოთ...

და მაშინ მართლაც გამოიდარებს,
აბეზარ წვიმას არ მოვუნდებით
და კვლავ ვიქნებით ჯიბემდიდარი
უკვე ვარსკვლავთა წვრილი ხურდებით.

რომ არაფერი იყოს გვიანი

აქ გალეული მთვარეც სავსეა,
თუ სიყვარულის გზაზე სულ ვივლით;
ჩვენ არასოდეს ვთქვათ, რომ აღრეა,
ვესწრაფოთ ერთურთს სულწასულივით.

დე, ჩვენი იყოს, რაც სიმაგრეა,
რაც ველია და ველზე – იანი;
ჩვენ არასოდეს ვთქვათ, რომ აღრეა,
რომ არაფერი იყოს გვიანი...

ისე შორი ხარ...

დღეს ცამ სხვაგვარი მზე გამოსახა -
რაღაც უსხივო, რაღაც ეული...
ახლოს ხარ, მაგრამ მაინც შორსა ხარ,
სულ სხვა მკლავებში გამომწყვდეული...

დღეს მინამ სულ სხვა ბილიკს შემყარა,
სადაც ჭკნებიან ნატერფალები,
დღეს შენთან მიდის სხვისი თემშარა
სულ თავისუფლად, არა წვალებით...

დღეს დილას მოაქვს სევდის შმორილა,
დღეს არ ანათებს მზე უთარილო...
დღეს ჩემთვის ისე, ისე შორი ხარ,
რომ ნეტა ასე ახლოს არ იყო...

თუკი არ ძალგიძს...

ნუთუ არ ძალგიძს, არ მიქციო
გული სალახვროდ,
სადმე დამაგდო ძველმანივით
განმარტოებით
და ისეთი დღე მაღირსო, რომ
არ დამანახვო
ხევისთავები, ჯაყოები
და მარგოები?

დაე, უდაბურ ველზე დავჭკნე,
როგორც ღიღილო,
და ვიყო ბრმად და ყრუდ საკუთარ
თავთან მარები,

თუკი არ ძალგის, მიშველო და
სადმე ვიხილო
თევდორეები, ცოტნეები
და თამარები.

სხვა გაზაფხული

როდესაც იდგა მარტის კვირტობა
და შესცინოდა ტყემალს ტყემალი, –
ჩვენ ერთმანეთის სივრცე გვინდოდა –
მათრობელი და დამატყვევარი.

როცა გააპო კვირტმა ბაგე და
გადმოაფრქვია მნიფე ვნებანი,
ჩვენც დავიძარით უფლის ბაგიდან,
როგორც ხნულიდან – მარცვლის ლებანი.

ალარ მოიწყენს ფერი ფერთან, ეს
ზამთარმაც იცის, სუსხით ნაქებმა...
და შევეფრქვევით როცა ერთმანეთს,
სხვა გაზაფხული ჩაისახება.

ხსოვნის კვირტები

დროთა საქციელს მეც დავაკვირდი
და ამას ალბათ შენც უკვირდები,
რომ უნაყოფოდ, ფუჭად, უმკვიდროდ
ალარ ჭკნებიან ხსოვნის კვირტები.

უფერულდება, როგორც ფოთოლი,
სახე, ნათება, სიტყვა, წერილი...
მაგრამ არ არის მაინც ობოლი
ბევრი რამ, შენგან ჩამოცვენილი.

არ დაიზარებ სარკმლის გაღებას,
გიყვარს წარსულთან რიდით თამაში
და ამ დღისათვის სამყოფ საღებავს
პოულობ ხსოვნის ნემომპალაში.

წუგეჟად

როცა ტაძარი საკათედრო იყო
ბიჭვინთა,
მეც ბზიფის პირას ვცხოვრობდი და
არა მიჭირდა.

მერე მთებიდან გველვეშაპი
ჩამოიგრაგნა,

იმან ჩაყლაპა ის ბიჭვინთა,
ლიხნი, ის გაგრა...
მერე მომხდურის წარმართული
ცეცხლი დახანძრავს
ჩემს ნაშენებ და მონაფერებ
მოქვის ტაძარსაც.

ავ დროს იქ ჩემი ოდასახლი
დაუფერდია,
დანგრეულა და დაუფარავს
ბარდებს ბედია.

რალა უნდა ქნა, თავო ჩემო,
შავბედიანო,
მინის პირისგან აღგვილია
საბედიანო.

მშობლიურ ველებს კვამლი ძაძად
გადაებურა,
ნუგეშის სიტყვა ველარ მითხრა
თვითონ ენგურმა...

მაინც ჩემს ფიქრებს იმ ველების
გზებით მივდენი
და მაქვს ნუგეშად ერთადერთად
დღე ხვალინდელი.

ღიას, იქნება...

სამართლიანი ომი მძვინვარებს:
ცხინვალი უნდა დაუბრუნდეს
ნამდვილ ცხინვალელს!

სამართლიანი ომი გუგუნებს:
კვლავ ჩვენი სისხლი გაანათებს
სულთა უკუნეთს!

ხიზანს, უმადურს, ძალლიც მიაკვდა:
ფრთა გამოუსხამთ თავისუფალ
ჩქერებს ღიასხვთა!

წმინდა საზღვართა შემომხლართველი
თვისივ ძარღვებით კვლავ იქნება
ქველი ქართველი!

მომხდურო, შენაც გაიძაგრები
და შენს ჯავშანსაც შებოჭავენ
იგი ძარღვები!

გუგუნებს ომი სამართლიანი
და ხვალ შევძახებთ: საქართველო
არის მთლიანი!

ხვალ სიყვარულით შევიმოსებით
სწორედ რომ ჩვენი აფხაზებით,
ჩვენი ოსებით!

ვერ იბოგინებს მტერი ვნებული,
დიახ, იქნება ივერია
გაბრწყინებული!

როკის სვრელიდან

კავკასიონი ჩემი ციხე-გალავანია,
ველარ აზიდე ამ მთებამდე
ლალა, ვანია...
და არწივობას ჩემსას რადგან
ვერა, ვერ იტან, –
ქვენარმავლისებრ შემოძვერი
როკის ხვრელიდან.

...და არ იქნება

დაფერდებულა ტალავერი,
ზრება ჩხავერი,
ჩიტის ჭიკჭიკის ნაცვლად მესმის
ყვავის ჩხავილი.

ჩრდილოის სუსხი აქ რად მიდგას,
დრო იქაური?
ტყვიის სეტყვაში დამლენვია
ცოლიკაური.

იმედებს ჩვენსას ლულის სახრე
სად მიდენიდა
ან ქართული მზე რად არ ჩანდა
რქანიტელიდან?

ო, ის მზე ახლა ჩვენს მდულარე
სისხლად ქცეულა
და ქართველები ერთად ვიბრძვით,
არა ეულად...

სვას, გასკდეს ღვინით, გალეშილი
შეხვდეს ალიონს
და არ იქნება, რუსმა ჩვენი
სისხლი დალიოს!..

ილია მართალი

თუმცა თათხავდნენ, ტყვიას ესროდნენ
და უღრმავებდნენ გულის იარებს, –
კაცი მართალი იყო ესოდენ,
მერე მკვლელებმაც კი აღიარეს.

თუმცა მათ თვალში ჩანდა ლანდივით,
რომელიც ლამეს უნდა შერწყმოდა, –
ლანდი აღმოჩნდა ლიბო ნამდვილი –
მყარი საყრდენი ჭერთა, ერდოთა.

დღეს იმის აჩრდილს თავზე ვეველებით,
თან სინანულის ცრემლით მივსტირით
და ცას ვატოლებთ თვითონ მკვლელების
მიერ დადგმული ობელისკივით.

ხვალ მტერს დარჩება...

მინა – მხოლოდლა ნამინარი,
ცა კი – ნაცარი...
აი, სამშობლო დღევანდელი
ჩვენი რაც არი...

გასაღებულა დიდ სიმართლედ
დიდი ტყუილი
და, ძმაო ჩემო, ამ ნუმბეში
კვლავაც თუ ივლი,

გადაშენებად განვწირულვართ
მაშინ ყველანი,
ხვალ მტერს დარჩება საქართველო
ნაქართველარი.

ალარ ასხია...

ალარ ასხია ჩემს ვაზს მტევანი,
უნაყოფობა ფიქრის სენია,
და საქართველო, დაჟანგული
ვით სატევარი,
კავკასიონის მკერდს ასვენია.

გარინდულია ბოლმით მყინვარი,
ველარ არისხებს ბეთლემის ზარებს
და ამირანი, მარადისი ვით სატკივარი,
მძინარ კლდეს ანჯღრევს და აზანზარებს.

მუხის ჩრდილია

ტოტებჩამოყრილ, ტანდამსხვრეულ
 უფოთლო მუხას
 კლავს საკუთარი გარინდება და უსაშველო
 მის ამგვარ ყოფას, აუტანელს,
 უსიტყვოდ მწუხარ
 სხეულს მისივე ჩრდილი უვლის
 მხოლოდ გარშემო.

ერთ დროს ძლიერი, მინაშიაც მზიანი ფესვი
 მოძალებულმა უძღურებამ შემოირიგა;
 გაქვავებულმა, დაგვალულმა შუქი ვერ შესვა
 და მუხის ირგვლივ დალასლასებს
 მუხის ჩრდილია...

არ იარსებებდა!

გაცვია ცისფერი და ცისფრად ჩანერილ
 გულისთქმის ხლართებში უსიტყვოდ
 გავები,

ციცქნა ხარ, პატარა, ცის ერთი ნაჭერი,
 მაგრამ რა დიდია ცა შენი თვალების!

ოცნებებს გავექეც და უფრო შორეთში
 შენს თბილ და საყვარელ ნაფეხურს
 ვზვერავდი,

დიახ, ამ ზეცაში ხეტიანს მოვეშვი,
 ციცქნა ხარ, ცაზე კი უფრო ხარ ტევადი.

რომელ წყალს მიმცემ და სად გინდა
 გამრიყო,
 ნაპირს ხომ მაღირსებ ზმანების
 სერებთან?

ო, შენ რომ არ იყო, ო, შენ რომ არ იყო,
 თვითონ ეს ზეცაც კი არ იარსებებდა!

ჩემი ბავშვობა

ჩემი ბავშვობის ბალი გადახმა:
 ვაშლი, ატამი, მსხალი, ტყემალი...
 და ახლა ძეძვი მიხმობს გადაღმა,
 ძველ სამარეთა დამატყვევარი.

ჩემი ბავშვობის ყანა გაცუდდა:
 ქერი, სიმინდი, შვრია, ხორბალი...
 ცა ვერ აღვივებს გზათ, უკაცურთა,
 სევდის ღრუბელში ვარ ამომბალი.

ჩემი ბავშვობის ხალხი ნავიდა:
 ბიჭიკო, ბაჯა, კოტე, დავითი...
 არ გაბრწყინდება ის დრო თავიდან,
 გადაქცეულა ქვად მარგალიტი.

ჩემი ბავშვობის სუნთქვა გაჩერდა:
 ფიქრი, ოცნება, ნატვრა, ნადილი...
 მივყავარ ბილიკს სხვა განაჩენთან,
 წელში გამტყდარი და თავდახრილი.

მაგრამ ვერაფრით ველარ გახუნდა,
 ველარ მოასწრო ფერმა გაშრობა
 და ამ ანმყოსთან, ხვალეს მსახურთან,
 ისევ თამაშობს ჩემი ბავშვობა.

დაპურება

წინაპარმა რომ პირველად მიწას
 ანდო მარცვალი, აი, იმ პურში
 რაც მაღლი ჩანდა, ის დღესაც გიცავს,
 როგორც უკვდავი გენის იმპულსი.

თუკი ის მაღლი შენში კვლავ უფლობს
 და თვალს უსწორებ ჟამს, მეთვალყურეს,
 ეს იმას ნიშნავს, რომ პურზე უფრო
 სწორედ წინაპრის გენი გაპურებს.

ღრუბელთა მსკრივი

მიწას სჭირდება პატრონად, თორემ
 რალად სჭირდება ჰაერს ოსტატი...
 თავს დაგადგება ჩუმად და მდორედ
 ღრუბელი, როგორც აეროსტატი.

კვლავ ჩაირთვება ბრიალა მნათი
 და გაიღვრება დილის ჟამი მით,
 იქ სხვა ღრუბელი ქარების ხათრით
 ამოძრავდება დირიჟაბლივით.

ახალ ზეცაში ახალ გზებს ველით,
 ჩვენაც ღრუბელთა მსკრივი ჩავებით
 და გახაზავენ ცას კაცის ხელით
 გაკეთებული თვითმფრინავები.

იმათთვის ოსტატს შეუსხამს ფრთანი,
 ვიცით, გვთავაზობს ვისი ნიჭი რას...
 მივანდეთ სივრცეს ბედი, ვით ფრანი,
 რომლის ბანარიც ხელში გვიჭირავს.

მზის წყალი

ჩამოაბნელა ღამემ სერი და
დაფარა ველიც ფიქრის ნარგავთა,
მაგრამ ხომ ხედავ, მთვარის ფსკერიდან
მზის წყალი ისევ წამოკამკამდა.

იცვალეს ფერი ღრუბლის გიშრებმა,
ვარსკვლავთა ზვრებმა და ვენახებმა...
სანამ მთვარის ჭა არ დაგიშრება,
ამ ბნელში ფიქრიც დაგენახება.

თითქოს ნავიდა დასაძინებლად, –
მზე დაგიმალეს თითქოს ქედებმა,
მან კი ფხიზელი ძილი ინება, –
მთვარის ფსკერიდან თან იხედება.

ღამე დღის ნაშლას თუკი ეცადა
და გამოგტაცა შინა, გარე ცა, –
დე, დაგრჩეს შენი წილი მზეცა და
იმ მზის წყლით სავსე შენი მთვარეცა.

თუ გორახივით ხარ მწყურვალი და
გზას ველარ იგნებ ახლო სახლამდეც,
არ შეიძლება, შენი მთვარიდან
მზის წყალი რომ არ წამოკამკამდეს.



რაისა მუზიჩენკო

პარსკვლავებს იქით

გოგოს მხრებზე კვლავაც ემჩნეოდა ადლერის ზღვის ნაპირზე მიღებული გარუჯვის მკრთალი ნაკვალევი. აბრეშუმის მოკლე კაბა ვერ ფარავდა მის გრძელ და ლარივით სწორ ფეხებს. იყო ტანადი და მომხიბვლელი; უფრო კალმით ნახატს ჰგავდა მისი სხეულის მოყვანილობა. ეს გასაკვირი არც უნდა ყოფილიყო. ტამიტაის ძარღვებში ჩქეფდა ყველა მისი წინაპრის შერეული სისხლი, ცოცხლობდნენ მათი გენები: ალბანური, პოლონური, თურქული, ინგლისური... გოგონას თავად სურდა ყოფილიყო არაბი და მთელი ცხოვრება გაეტარებინა მოყვითალო უდაბნოს შუა გაჩენილ ოაზისში. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გოგონამ იხილა და შეიგრძნო რალაც იდუმალი და ჩვეულებრივ მოკვდავთათვის შეუცნობელი გარემო, გუმანით ხვდებოდა, რომ სადღაც სულ ახლოს არსებობდა პარალელური სამყარო, ადამიანთა თვალთაგან დაფარული და დიდი საიდუმლოებებით მოცული. თითქოს ეს მოდა რალაც არამინიერი, ენით აუწერელი კოსმიური ხმები და მუსიკა ვარსკვლავთა. ვინც კი ტამიტაის დაუახლოვდა, ყველას გაუჩნდა ეჭვი, თითქოს ჩვეულებრივ ადამიანთა ქცევისგან ხომ არ გადაუხვია, თითქოს რალაც ძალა აძლევდა მას ბიძგს ყოფილიყო არაორდინარული და არაჩვეულებრივი... ამიტომაც უჩვეულო იყო მისი მუსიკა და სიმღერაც...

ივერია... ტაშს უკრავენ ფეხზე ადგომით. აქამდე გოგოს არავინ იცნობდა. როცა გამოაცხადეს, ტამიტაი, დარბაზი დუმდა. დარბაზი თამამი ნათქვამია, ვინაიდან კონცერტი ღია ცისქვეშ მიმდინარეობდა, პარკში, რომელსაც ამშვენებდა ბუნებრივი რელიეფი. შემოდგომის კონტრასტული ფერები უფრო შთამბეჭდავს ქმნიდა გარემოს, ლანდშაფტს ამშვენებდა ჩქარი პატარა მდინარე, რომელიც სამხრეთის მხრიდან მოედინებოდა, რომლის ნაპირთან იყო აწყობილი დიდი სცენა.

ტამიტაი მღეროდა. მისი ხმა თავისთავად ამოდიოდა ყელიდან, საოცარი სინმინდითა და სიანკარით. ეს ხმა არ ჰგავდა იმ ხმებს, რომელიც აქამდე მოესმინათ ადგილობრივ მცხოვრებლებს. ამ ხმას მსმენელები სადღაც შორეულ სივრცეში, შეუცნობელ სამყაროში გადაჰყავდა. მათი სხეულები რჩებონენ მინაზე, ხოლო სულები სადღაც უსაზღვროებაში მისდევდნენ მომაჯადოებელ ბგერებს. სწორედ ისე ემართებოდათ მსმენელებს, როგორც ემართებათ ხოლმე მთვარეულებს, როცა მონუსხულებს თავისკენ იზიდავს მთვარის მრგვალი ყვითელი დისკო.

„ბრავო! ბრავო!“ – ხმამალა ყვიროდა პუბლიკა. ვერავინ ვერ გრძნობდა, რა შორეული სიმაღლიდან ბრუნდებოდა სული დედამინაზე. ისინი სულ სხვა სამყაროში, სხვა განზომილებაში იყვნენ და ვერც კი გრძნობდნენ ამას. რწმენას, ლოცვას, სიმღერასა და პოეზიას, შეუძლია გააბას უხილავი ძაფები ცისა და მიწას შორის.

ნაკურთხი ნყალი

აგვისტოს დღე თავისებურად მშვენიერია ზღვისპირეთში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბათუმის ცაზე, როგორც ეს ხშირად ხდება, მუქი კვამლისფერი ღრუბლის ფთილები გამოჩნდებიან ხოლმე. ეს იმის ნიშანია, რომ წუთი წუთზე შეიძლება განვიმდეს. ხანდაზმულმა ჯიმშერმა ყავისფერი კოკერსპანიელი თავის ჯიხურში შეიყვანა და მერე სტუმრის ბიჭებთან – დათუმა და ლუკასთან ჭადრაკის სათამაშოდ მაგიდას მიუჯდა.

ქრისტიმ, მოზარდების ბებია, სასწრაფოდ ჩამოხსნა ბაზრიდან გასაშრობად დაკიდებული საცურაო კოსტიუმები და თეთრეული. მას უყვარდა ყველაფერი თეთრი ფერისა, უხდებოდა კიდევ სპორტული თეთრი კოსტიუმი, რომელზედაც გვერდებზე თოლიები იყო მიხატული მიუხედავად ასაკისა, ეს კოსტიუმი მის აღნაგობას უფრო ახალგაზრდულ ასაკს აძლევდა.

მისმა მხატვარმა დაქალმა განმინდა ფუნჯი,

რომელიც ნატურმორტზე მუშაობდა და გადან-
ყვიტა, ყველასთვის მოეხარმა არომატული ყავა.
სახლის დიასახლისი კი, რომელიც პროფესიით
ფიზიკოსი იყო, სკოლაში ჩამორჩენილ ორ მერ-
ვეკლასელს ამეცადინებდა...

შუალამე მოახლოებული იყო, როცა კარებზე
კაკუნს გაისმა. სახლში ქარივით შემოვარდნენ
მარინა და მისი მეგობარი, რომა, და განაცხა-
დეს, რომ ღამით წმინდა პანტელეიმონის ტა-
ძარში, რომელიც გორაკზე იდგა, ჩატარდებოდა
ლოცვა და გამაჯანსაღებელი წყლის კურთხევა.
გვარწმუნებდნენ, რომ ყველა ჩვენთაგანს რა-
მე მაინც აქვს ორგანიზმში გასაჯანსაღებელი
და აუცილებელია იქ წასვლა და იმ ნაკურთხი
წყლის წამოღება.

ქრისტი ბებომ მაშინვე განაცხადა იქ წას-
ვლის სურვილი. მას არ აშინებდა წვიმა, არც
ღამეული სიბნელე, არც შორი მანძილი, ის
მხატვარ ნინიკოს მოელაპარაკა და წასვლაზე
ადვილად დაითანხმა. მხოლოდ მერიმ განაც-
ხადა უარი და შინ დარჩა.

ორიოდე წუთში ისინი გავიდნენ ქუჩაში და
ტაქსით გაუდგნენ ტაძრისკენ მიმავალ გზას.
ტაქსის მძღოლი ფაზიფი ენაწყლიანი კაცი გა-
მოდგა, მოკლევნერებიანი, თოვლივით თეთრი
თმით, საშუალო სიმაღლის, მაგრამ სპორტული
აღნაგობის. მძღოლი ერთი შეხედვით ტყიურ
მორჩენებას მოგაგონებდათ. გაიარეს ძველი
ციხესიმაგრეები, გალავნები, ეკვალიპტების
ხეივანები და მთები უფრო და უფრო გამოკვეთ-
ნენ სიბნელიდან თავიანთი მედიდურობითა და
სიდიადით. ხანდისხან ცაზე გაიფლავებდა და
წამით გაანათებდა იდუმალებით მოცულ გა-
რემოს. მოულოდნელად გამოიკვეთა აგრეთვე
თხემზე გაშლილი ძველი სასაფლაო. აქვე ახლოს
იყო ტაძარიც.

ირგვლივ ბნელოდა და იდგა მონყენილი
მდუმარება. ახლომახლო კაცის ჭაჭანება არ
იყო. იქნებ დაავიანეს? ბალი დამთავრდა?

რას არ გააკეთებ ახლობლებისთვის. ზოგ-
ჯერ ხიფათიც საინტერესო ხდება. ტაძარი
მდებარეობდა აღმართზე. მისკენ ადიოდა საფე-
ხურები, უძველესი და ან უკვე ჩატეხილ-აცვენი-
ლი. ეტყობოდა, რომ ეს გაცვეთილი ფილები აქ
უძველეს დროში დააგეს. ქვევით ბუჩქებსა და
ეკალბარდებს შორის მიედინებოდა პატარა წყა-

რო. მიდიოდნენ ბრმეპივით, ინსტინქტითა და
გუმანით, მაგრამ ჯერ კიდევ ჰქონდათ იმედი,
რომ ტაძრამდე მიაღწევდნენ და, აი, მივიდნენ,
მაგრამ ტაძრის კარები ბოქლომით დაკეტილი
დახვდათ. არავინ მღვდელთაგანი არ ჩანდა.
ტაძარი ცარიელი იყო.

უკან გამობრუნდნენ და სიბნელეში მოდი-
ოდნენ ერთმანეთს ჩაჭიდებულნი. მადლობა
ღმერთს, რომ ტაძრის მძღოლი შეხვდათ, რი-
გიანი და საიმედო ადამიანი. თანაც სწამდათ,
რომ ასეთ თავგამოდებას დაუფასებდათ წმინდა
პანტელეიმონი და ყოველგვარ ხიფათს აარი-
დებდა მათ. ნანა მოდიოდა მძიმედ და სიბნე-
ლეში თითქოს რალაცას დაჟინებით ეძებდაო,
ფართოდ გახელილი თვალებით იხედებოდა
აქეთ-იქით. უცებ მან რალაც მბრწყინავი წერ-
ტილივით შენიშნა. რატომღაც მოუნდა ხელით
შეხებოდა და იმედივით ჩააჭიდებოდა, მაგრამ
ეს შეუძლებელი იყო; მანათობელი „ნაკვერ-
ჩხალი“ მოუხელთებელი იყო. თუმცა ის მაინც
რალაცნაირ იმედს აღძრავდა ამ ბნელ ღამეში.

ქრისტი უკან მოდიოდა და მან კარგი მხედ-
ველობის წყალობით შენიშნა, თუ როგორ გა-
მოკრთა სიბნელიდან ბილიკის შუაში ვილაც
ბრგე მამაკაცის სილუეტი. ის არაამქვეყნიურ
არსებას უფრო გავდა.

ქრისტიმ არ იცოდა, ეთქვა თუ არა ქალების-
თვის, ბოლოს გაჩუმება არჩია, რათა არ შეში-
ნებოდათ. ნანას მიერ შემჩნეული მანათობელი
წერტილი თურმე პატარა ფანარი აღმოჩნდა,
რომელსაც სუსტი გამოსხივება ჰქონდა, მაგრამ
ამ კუნაპეტ ღამეში მაინც შეიმჩნეოდა.

„უცხოპლანეტელს“ ალბათ დაავიწყდა, თუ
როგორ იყო ჩაცმული. მას თეთრი, თაფლისფე-
რი მოსასხამი ეცვა. მის ირგვლივ ყველაფერი
ბრწყინავდა, თუმცა თეთრი ჰქონდა, ოღონდ იგი
სულაც არ ჰგავდა ბებერს. „მხრებზე ფრთები
ხომ არა აქვს“, უნებურად გაიფიქრა ქრისტიმ.

– ბატონო, რა გინდოდა? – წარმოთქვა მან
ბოხი ხმით.

– არაფერი, არაფერი! – მიუგო ქრისტიმ
ჯერ რუსულად, მაგრამ წაანყდა რა მის რა-
ლაცნაირ ცივ გამომეტყველებას, ქართულად
მიმართა იმავე სიტყვებით.

ქალებმა იგრძნეს, რომ მამაკაცი მათ არა-
ნაირ ზიანს არ მიაყენებდა, ისიც ნახეს, რომ

ტაძარი დაკეტილი იყო და ირგვლივ ყველაფერი მიტოვებულსა და ურწმუნოებისგან გაოხრებული ჰგავდა.

– ჩემი გზა სულ აქეთკენ მოდის, მე დიდი ხანია აქ დავდივარ და გთხოვთ, გზა დამითმოდით, – თქვა უცნაურმა კაცმა და გაიარა. მერე მოჩვენება უეცრად გაქრა. ქრისტიმ შეამჩნია, თუ როგორ წამიერად გაუჩინარდა იგი ღამეულ სიბნელეში.

აქ საფლავების ირგვლივ ცარიელი ბოთლები ეყარა. ყველაფერს დაუდევრობისა და უწესრიგობის კვალი ეტყობოდა.

ქვემოთ, სადაც ფანარი ანათებდა, მათ შეამჩნიეს, თუ როგორ შეჩერდა ქიშკართან ოთხი შავი ფერის მსუბუქი მანქანა. იქიდან მამაკაცები ჩამოვიდნენ და ერთმანეთს ხმამაღლა დაუწყეს ყვირილი და მუქარა. ეტყობოდათ, რომ ამ მიყრუებულ ადგილას ცდილობდნენ თავიანთი ბნელი და საიდუმლო საქმეების გარჩევას.

ფაზიფმა ქალებს უთხრა, რომ მანქანაში ჩამსხდარიყვნენ და ისინიც უსიტყვოდ დაემორ-

ჩილნენ ტაქსის მძღოლს. ამ დროს მაფიოზებმა სროლა ატეხეს. ფაზიფმა სასწრაფოდ დაძრა მანქანა და გზატკეცილზე გავიდა. ყველანი უვნებელნი იყვნენ. მაფიოზები, რომლებიც ალბათ რალაცაში ვერ მორიგდნენ, ერთმანეთს ესროდნენ.

მეორე დილით, როცა რიმა სკოლაში აცილებდა პატარებს, ქიშკართან ახლოს ყვავილოვან ბუჩქებთან ჩამწკრივებული ნახა მბრწყინავი ბოთლები, რომლებშიც წმინდა პანტელეიმონის ნაკურთხი წყალი ესხა. ბოთლი იმდენი იყო, რამდენიც ამ წყლის მოსატანად იმყოფებოდნენ კაცთაგან ზურგშექცეულ და გამოკეტილ ტაძარში. რიმამ სიხარულით მოურბენინა მეგობრებს ნაკურთხი წყალი და სათითაოდ ჩამოურიგა.

რამ მოიტანა და როგორ გაჩნდა ეს წმინდა წყალი მათ ეზოში, ეს ამბავი საიდუმლოდ დარჩა.

რუსულიდან თარგმნა
გიორგი სიჭინავაძე

გოგი ხაფთანის გახსენება

კიდევ ერთი თავის ქვეყანაზე, მის უმშვენიერეს კუთხეზე – აფხაზეთზე უზომოდ შეყვარებული კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან და თან გაიყოლია იქ დაბრუნების აუხდენელი ოცნება და ტკივილი.

ორიოდე თვის წინ გარდაიცვალა აფხაზეთში ცნობილი ჟურნალისტი, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, აფხაზეთის ომის ვეტერანი, კეთილშობილი და თავმდაბალი პიროვნება გოგი ხაფთანი...

1976 წელს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ გოგი ხაფთანმა ჟურნალისტური საქმიანობა აფხაზეთში დაიწყო. თავიდან გულრიფშის რაიონის გაზეთ „დროშის“ რედაქციაში სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ მუშაობდა, 1982 წელს კი ახალგაზრდა ჟურნალისტი, რომელიც საზოგადოებაში უკვე ცნობილი იყო საინტერესო სტატიებითა და ნარკვევებით, საოლქო გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ (შემდგომში „აფხაზეთის ხმა“) პასუხისმგებელი მდივნის მოადგილედ მიიწვიეს, ორიოდე წლის შემდეგ გოგი ხაფთანი ამ გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად დააწინაურეს.

საოლქო გაზეთში მუშაობის პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც საგაზეთო საქმის შესანიშნავად მცოდნე, პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით გამორჩეულმა პიროვნებამ, რომელიც ამ გამოცემის „შტაბის“ უფროსად მუშაობის პარალელურად ხშირად ახარებდა მკითხველს მახვილგონივრული ფელეტონებითა და იუმორისტული ტექსტებით, რომლებიც მის სავიზიტო ბარათად იქცა.

80-იან წლებში, საქართველოში ეროვნულ-



ნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებისთანავე გოგი ხაფთანი თავის მეგობრებთან გიორგი სიჭინავასთან, რამაზ კუპრავასთან, ანზორ გვარამიასთან, გოჩა ბახიასთან, მურმან ზაქარაიასთან, რევაზ კემულარიასთან და სხვებთან ერთად აფხაზეთში განვითარებული მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა, სადაც უკვე იყვნენ ამ მოძრაობის გამოკვეთილი ლიდერები და სახეები: ვოვა ვეკუა, ნუგზარ მაგალობლიშვილი, თემურ მჟავია, თემურ ლორთქიფანიძე, ჯემალ შონია, ბესო ნაყოფია და სხვები, „აკრძალულ ლიტერატურას“ ჯერ კიდევ სტუდენტური წლებიდან ნაზიარები გოგი ხაფთანი მზად იყო, თუნდაც რიგითი ჯარისკაცის როლი შეესრულებინა თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ეს იყო განუმეორებელი წლები მის ცხოვრებაში, რომელიც აღბეჭდილი იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სოხუმში ჩასვლით, თანამოაზრეთა მცირე წრეში მათთან შეხვედრითა და ურთიერთობით. ათასი დაბრკოლების მიუხედავად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვებით და ამ გზაზე ქვეყნის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯების სიხარულით, რომელიც სულ მალე სახელმწიფო გადატრიალებით, კანონიერი პრეზიდენტის დამხობითა და განდევნით დასრულდა.

მიუხედავად საქართველოში განვითარებული პროცესებისა, ხუნტის მიერ კანონიერი პრეზიდენტის მომხრეებზე გამოცხადებული დევნისა და ნადირობისა, იყვნენ ადამიანები, ვინც ამ უსამართლობას არ შეეგუა და სიტყვით თუ საქმით იბრძოდა მის წინააღმდეგ. ასე შეიქმნა სოხუმში წინააღმდეგობის მოძრაობა

და მისი პერიოდული ორგანო „აღდგომა“. დამფუძნებლები ანზორ გვარამია, მურმან ზაქარაია, სერგი საჯაია, გიორგი სიჭინავა. გაზეთის ირგვლივ გაერთიანდნენ ჟურნალისტები გოგი ხაფთანი, ნონა და ნანა ქობალიები, რამაზ კუპრავა, რენე კალანდია, გოჩა ბახია და სხვები, რომლებმაც მიზნად დაისახეს ემხილებინათ კოლაბორაციონისტები, ადამიანებისთვის მიეწოდებინათ სწორი ინფორმაცია მომხდარის შესახებ, არ ჩაექროთ მათში თავისუფლებისკენ სწრაფვის ცეცხლი.

მერე იყო მტრის მიერ ინსპირირებული აფხაზეთის ომი, უამრავი დახოცილი და დაჭრილი ადამიანი, დაბომბილი და განადგურებული აფხაზეთის ქალაქები და სოფლები. გოგი ხაფთანმა ამ დროს გადაწყვეტილება მიიღო იქ დამდგარიყო, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა მის ქალაქს, იქ მცხოვრებ ადამიანებს. ის გუმისთის ფრონტის ხაზზე იბრძოდა...

სოხუმის დაცემის შემდეგ მასაც საკენჭუბერის გზით მოუწია აფხაზეთის დატოვება და ამ გზაზე ათასი დაბრკოლების გადალახვა.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, რომელიც ომის შედეგად გაუბედურებული და სახლკარდაკარგული ადამიანებით იყო სავსე, თავის ოჯახთან – მეუღლესთან, შვილებთან ერთად ცდილობდა ცხოვრება თავიდან დაეწყო, განსაცდელს გამკლავებოდა, გაეცნობიერებინა, რომ მოდუნების და იმედის დაკარგვის დრო არ იყო. აქ, თბილისში ისევ მოძებნეს თანამოაზრეებმა ერთმანეთი და „აღდგომის“ მთავარი რედაქტორისა და გამომცემლის მურმან

ზაქარაიას მიწვევით ისევ ჩაება ამ გაზეთის საქმიანობაში.

შემდგომ წლებში გოგი ხაფთანი გაზეთ „გულრიფშის“ რედაქტორად მუშაობდა და კოდორის ხეობის საკითხებზე წერასთან ერთად დევნილი ადამიანების ყოფას, მათ სოციალურ პრობლემებს აშუქებდა, ცდილობდა ომით, დევნილობის მწარე ხვედრით დათრგუნული ადამიანებისთვის ხვალინდელი დღის იმედი ჩაენერგა...

მძიმე სენმა ნაადრევად შეწყვიტა მისი სიცოცხლე, ზეციურ საქართველოში გადასახლდა მისი სპეცაკი სული...

გოგი ხაფთანი კეთილშობილებით, პატიოსნებით და თავმდაბლობით გამორჩეული პიროვნება იყო. მას სვანი კაცისთვის დამახასიათებელი პირდაპირობა და პრინციპულობა ახასიათებდა, უყვარდა მეგობრების წრეში ყოფნა, მათთან ურთიერთობა, ხშირად იგონებდა მზით სავსე სოხუმის ქუჩებს, იქ გატარებულ წლებს, ოცნებობდა აფხაზეთში დაბრუნებაზე...

ცხოვრების არც ერთ რთულ პერიოდში არ დაუკარგავს მიმტევებლობის, მოყვასისადმი თანაგრძნობისა და სიყვარულის უნარი.

ის ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის საქმეში, იყო უღალატო, ერთგული და ღირსეული პიროვნება, რომელიც დიდხანს დარჩება მათ ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა და აფასებდა...

აღდგომელები

ტექნიკური რედაქტორი: ლუარა გამყრელიძე

კომპიუტერული მომსახურება: თეანა ზაქარაია, ემა ჩიბიროვი

დამკაბადონებელი: ნანა ყანდაშვილი

დიზაინი: ირაკლი უშვერიძე

ავტორებს ვთხოვთ, მოგვანოდონ მასალების ელექტრონული ვერსია

აინყო და დაკაბადონდა შპს „გამომცემლობა „მიჯნაში“

☒ ტაშენტის ქ. №25, ბ.1, ტელ. 2-38-03-11

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალის“ სტამბაში

☒ ა. პოლიტკოვსკაიას, №4, ტელ. 5-99-33-52-02

თუ თქვენ დაგაინტერესათ ჩვენმა ჟურნალმა,
მაშინ შეგიძლიათ მისი ელექტრონული ვერსია
მოიძიოთ:

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



ივერიელი

ციფრული ბიბლიოთეკა

dspace.nplg.gov.ge





„წამყენის 25“-ის ფილოსოფიას სამშობლოს
გადასწრებისთვის, თვითღენწობისთვის,
დამოუკიდებლობის შენახვისთვის თავგანწირვას



იღვას - ერთგულთა და პატივგულთა ღირსებისა
და თავისუფლებისთვის მარადიული ღვაწივას

